ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## ხელისუფლება რკინიგზის გაყიდვას გეგმავს?

რა მიზანს ისახავდა პარლამენტში სააკაშვილის გამოსვლა


გვ.6

ხუთშაბათი, 8 ოქტომბერი, 2009 | №263 (5004) | ფასი: 30 თეთრი

# ბაღაფშს უკვე ორი კონკურენტი გამოუჩნდა

აფხაზები ისტორიული არჩევნების ჩატარებას აპირებენ


გვ.4

## ბალათურია, ცაგარეიშვილი და ლორთქიფანიძე ერთმანეთს დაერივნენ

ვის სურს ელენე თევდორა ის სკამის დაკავება




გვ.3



## ნინო ბურჯანაძის წყნეთის აგარაკის აუქციონი ჩაიშალა

გვ.6

## ოპოზიციამ გაერთიანება ისევ დაიწყო

აგვისტოს ომის გამომწვევი მიზეზები ხელახლა უნდა გამოვი იოთ


გვ.5

## აკაკი ბობოხიძეს ფირმის ლობირებაში ადანაშაულებენ


გვ.2



## შამბამ ევროკავშირს პირობა წაუყენა

## სააკაშვილმა სკანდალის გადასაფარად შეიძლება ახალი ომი დაიწყოს


გვ.2

## მთავრობა ჩვენ თავად უნდა გავასამართლოთ!

გვ.2

ომის დროს ხელისუფლებამ ქვეყანას უღალატა




გვ.8

## ევროსაბჭოდან გარიცხვით რუსეთი არ დაზარალდება


გვ.7

## ბურჯანაძის გვერდით დადგომა სამარცხვინო არ არის


გვ.5

## აფხაზეთში საერთაშორისო დამკვირვებლებს არ შემოვუშვებთ!

ქართველებს შავ ზღვაზე მეკობრეობის უფლებას არ მივცემთ


გვ.6

## ჟირინოვსკი ევროსაბჭოში ხმის უფლების ჩამორთმევით გვემუქრება

**2** „კონსერვატორები" გახმაურებულ მკვლელობებს გამოიძიებენ

**7** აფხაზი ჟურნალისტები თბილისში მიმდინარე კონფერენციას არ დაესწრნენ

**6** აშშ საქართველოს 50 მილიონი დოლარით დაეხმარება

**8** „მგზავრებმა" ბულორუსიაში გაიმარჯვეს

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# აკაკი ბობოხიძეს ფირმის ლობირებაში ადანაშაულებენ




საქართველოს ტრანსპორტის პროფკავშირების წარმომადგენლები ქუთაისში მიკროავტობუსის მძღოლების პრობლემების მოუგვარებლობასი ადგილობრივი ხელისუფლებას ადანაშაულებენ.

როგორც „მედიანიუსს" საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტთა გზების მუშათა პროფესიული კავშირის თავმჯდომარე ლავრენტი ალასანიამ განუცხადა, ქუთაისში კატასტროფული მდგომარეობაა. ქუთაისის მერმა ნუგზარ შამუგიამ გუშინდელი გადაწყვეტილებით მიკროავტობუსის ხაზები კიდევ გაანახევრა, რომლის საფუძველზე პირველ და ორ ნომერ სამარშრუტო ხაზზე მხოლოდ 5-5-მა სატრანსპორტო საშუალებამ უნდა იმოძრაოს.

ლავრენტი ალანია ქუთაისის მაჟორიტარ დეპუტატს აკაკი ბობოხიძეს აკრიტიკებს და მის განცხადებებს სისულელედ აფასებს.

— ბობოხიძემ ბრალი დამდო იმაში, რომ თითქოს მე სატენდერო კომისიის წევრი ვარ და ვლობირებ ნათესავების კომპანიებს, რაც სისულელეა. თვითონ არის ლობისტი ფირმა „ავტოტრანს კორპორაციის". მისი გუბერნატორობის დროს გაიხსნა 8 მარშრუტი, — აღნიშნა ალანიამ.

მისივე თქმით, ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ სააშკარაოზე გამოიტანონ ქუთაისში ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ჩადენილი დანაშაულები.

ამასთან, როგორც ალანიამ აღნიშნა, აღნიშნულ პრობლემებთან დაკავშირებით ქუთაისში ოქტომბრის ბოლოს საქართველოს მასშტაბით მძღოლების ფორუმი მოეწყობა.

**მედიანიუსი**

# ქართულ-აფხაზური კონფლიქტი მოგვარებადია

აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე გიორგი ბარამია გუშინ დანიის საგარეო საქმეთა მინისტრს სტიგ მიოლერს შეხვდა.

შეხვედრაზე აფხაზეთში მიმდინარე მოვლენები და კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების საკითხები განიხილეს, ასევე დანიის საგარეო საქმეთა მინისტრის აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებასთან შეხვედრის დეტალებზე ისაუბრეს.

— დანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებასთან შეხვედრის დეტალები გაგვაცნო. საუბარი ასევე შეეხო სამომავლო გეგმებს. აღსანიშნავია, რომ ჩვენი ხედვა კონფლიქტის მოგვარების საკითხში ერთმანეთს ემთხვევა. საერთაშორისო საზოგადოების ჩართულობა მნიშვნელოვანია და დანიაც უფრო აქტიურად ჩაებმება ამ პროცესში, — განაცხადა გიორგი ბარამიამ.

თავის მხრივ, დანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა აღნიშნა, რომ „ქართულ-აფხაზური კოფლიქტი ადრე თუ გვიან მოგვარებადია".

**პირველი**

# მთავრობა ჩვენ თავად უნდა გავასამართლოთ!



**ლეიბორისტული პარტია სააკაშვილის და მისი ხელისუფლების მამხილებელ კვირას აგრძელებს და გენერალური პროკურატურისგან იმ მაღალჩინოსნების წინააღმდეგ სისხლის სამართლის აღძვრას ითხოვს, რომელთა ქმედებაც აგვისტოს ომის დღეებში კონსტიტუციით და სისხლის სამართლის მოქმედი კანონმდებლობით დასჯადია.**

## ომის დროს ხელისუფლებამ ქვეყანას უღალატა

შორენა კოწოწაშვილი

— აგვისტოს ომის დაწყების დროს მიხეილ სააკაშვილი აცხადებდა, რომ ცეცხლის გახსნის მთავარი მიზანი გახლდათ საქართველოს ტერიტორიების და მისი მოსახლეობის დაცვა, — განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ლეიბორისტული პარტიის გენერალურმა მდივანმა სოსო შატბერაშვილმა და მასმედიას ის ფაქტები წარუდგინა, რომელიც მისი ინფორმაციით, სააკაშვილის მაღალჩინოსანთა დანაშაულებრივ ნაბიჯებს ადასტურებს.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, ეს ინფორმაცია კიდევ ერთხელ იმიტომ გაჟღერდა, რომ მოსახლეობამ დაინახოს იმ რეალობის სიმძიმე, რომელშიც ხალხი და ქვეყანა სააკაშვილის ხელისუფლების უპასუხისმგებლო პოლიტიკის შედეგად აღმოჩნდა.

— ყველამ კარგად ვიცით, თვითონ მთავარსარდალმა როგორ გამოკურცხლა საბრძოლო მოქმედებების მიმდებარე ტერიტორიებიდან. გარდა არსებული ფაქტისა, კიდევ ცნობილია ისიც, რომ სააკაშვილის პირადი თვითმფრინავი „ჩელენჯერი" 24-საათიან მზადყოფნაში იყო, რათა საჭიროების შემთხვევაში სააკაშვილს თავის ოჯახთან ერთად საქართველო დაეტოვებინა. როგორ იქცეოდა გენერალური შტაბი. იმ დროს, როდესაც იკარგებოდა საქართველოს ძირძველი ტერიტორიები და ჩვენი მეომრები იღუპებოდნენ სამშობლოს სიყვარულით გულანთებულნი, ამ დროს გენერალური შტაბის უფროსი და მისი მოადგილეები დაკავებული იყვნენ ტაბახმელაში ნაკვეთების გადაფორმებით, — განაცხადა სოსო შატბერაშვილმა.

ლეიბორისტების ინფორმაციით, არანაკლებ მიუღებელი იყო ომის დღეებში საქართველოს მთავრობის წევრთა ქმედება.

— იმ დროს, როდესაც ჩვენი მეომრები დაუმარხავები იყვნენ და რუსეთის ე.წ. სანიტარულმა როტამ, რომელიც საქართველოში შემოვიდა, გადაწვა და ფერფლად აქცია ჩვენი მეომრების გვამები, ამ დროს საქართველოს მთავრობის თითქმის 90% იმყოფებოდა ზაქათალაში, ალიევის სახელობის ხუთვარსკვლავიან სპორტულ კომპლექსში და თავს აფარებდა იქ ოჯახის წევრებთან ერთად, — აღნიშნა შატბერაშვილმა და იქვე დაამატა, რომ მინისტრების მსგავსად საკუთარი თავის გადარჩენით იყო დაკავებული პარლამენტარების 60%.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, დეპუტატების უდიდესი ნაწილი ზოგი სარფის საბაჟოზე, ზოგი — წითელი ხიდის საბაჟოს, ზოგი კი — ლაგოდეხის საბაჟოს მეშვეობით ტოვებდა საქართველოს და თან გაჰქონდათ ოჯახური განძი. ხოლო იმისათვის, რომ მესაზღვრეებს ისინი არ გაეჩხრიკათ, სოსო შატბერაშვილის თქმით, 5-დან 10 000 დოლარამდე აძლევდნენ ქრთამის სახით სომხეთისა და აზერბაიჯანის მებაჟეებს და მესაზღვრეებს.

როგორ იქცეოდნენ ამ დროს კონფლიქტის ზონის გუბერნატორები? — დასვა კითხვა ლეიბორისტული პარტიის გენერალურმა მდივანმა და თავადვე უპასუხა.

— ყველასთვის ცნობილია, რომ პრეზიდენტის რწმუნებული სამეგრელო-ზემო სვანეთში ზაზა გოროზია რუსეთის სარდლის მძღოლად გადაიქცა. შიდა ქართლის გუბერნატორი ვარძელაშვილი ისე აორთქლდა და ისე მიატოვა გორი, რომ რუსმა გენერალმაც ვერ იპოვა. ხოლო რაც შეეხება ცეზარ ჩოჩელს, მან ერთი კვირით ადრე, თავისი საქონელიც კი გადადენა დუშეთის რაიონში, დაცალა თავისი სახლი და ჭაღებიც კი ჩამოხსნა. მან წინასწარ იცოდა, რომ მოხდებოდა კონფლიქტი და ახალგორის აკუპაცია. აი, ასე მიატოვა გუბერნატორმა ჩოჩელმა თავისი ხალხი. როგორც ჩანს, მას საქონელი უფრო ძვირად უღირდა, ვიდრე საკუთარი რაიონის მოსახლეობა, — განაცხადა სოსო შატბერაშვილმა.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, ზემოთ ნახსენები უპასუხისმგებლო ქმედებები საქართველოს მოქმედ ხელისუფლებას იოლად არ უნდა შერჩეს. ლეიბორისტები დარწმუნებული არიან, რომ ეს ამ ხელისუფლებას არც შერჩება, უბრალოდ დროის საქმეა, ვის მიერ და რომელიც ხელისუფლების პირობებში იქნებიან დასჯილები სააკაშვილი და მისი მაღალჩინოსნები.

— მსგავსი ქმედება საქართველოს კონსტიტუციით და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით, ანუ ქმედება, რასაც ჰქვია საკუთარი მოსახლეობის სასიკვდილო განსაცდელში მიტოვება, კვალიფიცირდება, როგორც სამშობლოს ღალატი და სამუდამო პატიმრობას ითვალისწინებს. ჩვენ მოვითხოვთ, სააკაშვილის და მისი ხელისუფლების დასჯას. თუ გენერალური პროკურატურა მათ არ დასჯის, მათ ადრე თუ გვიან მაინც მოუწევთ დასჯა საქართველოს სახელით, თუ მანამდე სააკაშვილი და მისი ხელისუფლება ჰააგის ტრიბუნალმა არ გაასამართლა, — განაცხადა ბოლოს სოსო შატბერაშვილმა.

# სააკაშვილმა სკანდალის გადასაფარად შეიძლება ახალი ომი დაიწყოს

**რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის თაობაზე საერთაშორისო კომისიის დასკვნის გამოქვეყნების შემდეგ საზოგადოებამ სხვადასხვა შეფასებები მოისმინა. სამხედრო ექსპერტი და პოლიტოლოგი კახა კაციტაძე კი აცხადებს, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები შეგნებულად და ურცხვად ტყუიან, როცა აცხადებენ, ე.წ. ტალიავინის კომისიის დასკვნა ჩვენ გვამართლებსო.**



გულიკო ბალა ე

*— ბატონო კახა, აგვისტოს ომთან დაკავშირებით გამოქვეყნებული საერთაშორისო კომისიის დასკვნაზე სხვადასხვა მოსაზრებები გამოითქვა. თქვენი შეფასება როგორია?*

— ნამდვილად ცალსახა დასკვნაა. გადახედონ დასავლეთის პრესას, სადაც ნათლად ჩანს, როგორ წაიკითხეს — რუსეთი ამზადებდა პროვოკაციას, საქართველომ დაიწყო სამხედრო მოქმედებები. პრინციპში ისეთი, რაც საზოგადოებამ არ იცოდა, ამ დასკვნაში არ არის. არ ვგულისხმობ იმას, როდესაც ხელისუფლების წარმომადგენლები შეგნებულად და ურცხვად რომ ტყუიან, თითქოს ეს დასკვნა მათი გამამართლებელი საბუთი იყოს.

*— ანუ თქვენ ამბობთ, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები ტყუიან?*

— სიტყვა „ტყუიან" ნაკლებად გამოხატავს იმას, რაც სინამდვილეში ხდება. ასეთი ურცხვი ტყუილები, რაც სამი სახელმწიფო ტელეარხიდან იფრქვევა, მას შემდეგ არ მომისმენია ტელეეკრანიდან, საბჭოთა კავშირმა რომ განაცხადა, ავღანეთში დანაკარგი არ არის და ხალხი არ იხოცებაო.

*— სააკაშვილი ამბობს, პირველად ისტორიაში გაეროს უშიშროების საბჭოს წევრი დაადანაშაულეს აგრესიაშიო.*

— სად არის დადანაშაულებული? არ ვაპირებ სააკაშვილზე და ვიღაც დამღუპველ პირებზე საუბარს. პოლიტიკურად ეს დასკვნა იყო ბოლო ლურსმანი სააკაშვილის კუბოზე. ამ დასკვნის შემდეგ სააკაშვილის პოლიტიკური საქმიანობა დასრულებულია. „რუსთავი-2"-ში ვინ რას იტყვის, ჩემთვის სრულიად არ არის საინტერესო. ლაპარაკია იმაზე, ამ ვითარებაში საქართველომ შემდეგ როგორ უნდა იმოქმედოს.

*— როგორ უნდა იმოქმედოს?*

— არ ვიცი. მე პირადად გამართლებულად არ მივიჩნევ, ბატონი სააკაშვილი ჰააგაში გასამართლდეს.

*— სააკაშვილის ჰააგაში გასამართლება მოსალოდნელია?*

— „ჰუმან რაით ვოტჩმა" უკვე გამოაქვეყნა მოხსენება და ამას წერს. მაგრამ ჯერ ოფიციალურ დონეზე ამაზე საუბარი არ არის. აღნიშნული დოკუმენტი იურიდიული დასკვნა არ არის, ანუ ფაქტების დადგენა არ წარმოადგენს ფაქტების იურიდიულ კვალიფიკაციას. თუმცა, ფაქტები უკვე დადგენილია, რის საფუძველზეც სათანადო უფლებამოსილების მქონე

გაგრძელება მე-3 გვერდზე

# „კონსერვატორები" გახმაურებულ მკვლელობებს გამოიძიებენ



„კონსერვატორების" ინიციატივით, ძალოვნების მიერ მოკლულთა საქმეებთან დაკავშირებით, საზოგადოებრივი კომისია იქმნება. როგორც პრესკონფერენციაზე „კონსერვატორების" ერთ-ერთმა ლიდერმა ლაშა ჩხარტიშვილმა განაცხადა, გახმაურებული მკვლელობის საქმეებთან ერთად არის ისეთი საქმეებიც, რომლებშიც ძალოვნების უკანონო ქმედებები და დანაშაული იკვეთება. აქედან გამომდინარე, მისი თქმით, უნდა შეიქმნას საგამოძიებო კომისია, რომელიც ყველა გახმაურებულ და გაუხმაურებელ მკვლელობის საქმეს გამოიძიებს.

ლაშა ჩხარტიშვილის თქმით, ამ კომისიაში აქტიურად ჩაერთვებიან ადვოკატები, მოკლულთა ახლობლები და არასამთავრობო ორგანიზაციები.

პრესკონფერენციას მოკლულთა ახლობლები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

როგორც ზურაბ ვაზაგაშვილის მამამ იური ვაზაგაშვილმა განაცხადა, ისინი მიესალმებიან ასეთი კომისიის შექმნას.

— ცოტა ადრეც რომ შექმნილიყო ცუდ შედეგს არ მივიღებდით. გახმაურებული მკვლელობები არ არის მხოლოდ ის საქმეები, სადაც ძალოვნების დანაშაული იკვეთება. ძალიან ბევრი ისეთი საქმეა, რომელიც საზოგადოებამ არ იცის, — განაცხადა იური ვაზაგაშვილმა და აღნიშნა, რომ მკვლელობის საქმეებთან დაკავშირებით არც ერთი მაღალჩინოსანი არ დასჯილა. ზურაბ ვაზაგაშვილის მკვლელობის ერთ-ერთი მონაწილე გიორგი ხიზანიშვილი ცოტა ხნის წინ თბილისის პოლიციის სამმართველოს უფროსად დაინიშნა.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები — ადამიანის უფლებებისთვის" თავმჯდომარის ნანა კაკაბაძის განცხადებით, მნიშვნელოვანია ასეთი კომისიის შექმნა.მისი თქმით, ხელისუფლებამ პასუხი უნდა აგოს ყველა ამ დანაშაულთან დაკავშირებით. „კომისია კიდევ ერთხელ დააყენებს დამნაშავეთა პასუხისმგებლობის საკითხს", — აღნიშნა ნანა კაკაბაძემ.

**ინტერპრესნიუსი**

# შამბამ ევროკავშირს პირობა წაუყენა



აფხაზი სეპარატისტები კონფლიქტის ზონაში ევროკავშირს დამკვირვებლების შეშვების სანაცვლოდ, აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას მოითხოვენ.

ამ საკითხთან დაკავშირებით, ოკუპირებული სოხუმის დე-ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენელს იოჰან ვერბეკეს ესაუბრა.

შამბას განცხადებით, იმისათვის, რომ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია აფხაზეთის ტერიტორიაზე შევიდეს, ჟენევის კონსულტაციებზე აფხაზეთის სტატუსის განხილვა და მათი დელეგაციის შემადგენლოის გაფართოება უნდა მოხდეს.

**მედიანიუსი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

**დამფუძნებლები:** ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
**მთავარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი
**რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი
**რედაქტორის მოადგილე** – შორენა მარსაგიშვილი

**კონსულტანტები**
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
**საფინანსო სამსახური** – კლარა ბალავაძე

**სარეკლამო სამსახური** – 84-92-55
**გავრცელების სამსახური** – მერაბ ლევერაშვილი
**დირექტორი** – ზურაბ ბერიძე

**დაკაბადონება** – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

**მისამართი:** ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24, თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# სააკაშვილმა სკანდალის გადასაფარად შეიძლება ახალი ომი დაიწყოს

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ტრიბუნალმა შეიძლება სამართლებრივი პროცედურები დაიწყოს.

***— მხოლოდ სააკაშვილის მიმართ თუ რუსეთის მიმართაც შეიძლება აამოქმედონ სამართლებრივი პროცედურები?***

— იგივე „ჰუმან რაით ვოტჩის“ მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტში ძალიან ნათლად არის საუბარი არა მხოლოდ სააკაშვილზე, არამედ კონკრეტულ სამხედრო პირებზეც რუსეთის მხრიდან, ვინც ოსური რაზმების მარადიორობები არ შეაჩერა. რასაკვირველია, პასუხისმგებლობა მხოლოდ ერთ პირზე არ იქნება.

***— პუტინისა და მედვედევის პასუხისმგებლობის საკითხი არ შეიძლება დადგეს?***

— ვერ გეტყვით, ეგ იურისტებს უნდა ჰკითხოთ. რუსული მედიის ინფორმაციით, სააკაშვილმა განაცხადა, რომ ამ დასკვნის საფუძველზე პუტინისა და მედვედევის პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლება დადგესო. ბატონი მიხეილის ეს განცხადება მისი იურიდიული განათლების იმედად დავტოვოთ. ერთი რამ ფაქტია, ფაქტების დადგენის შემდეგ, მათი იურიდიული კვალიფიკაციის საკითხი ბუნებრივად დადგება. „ჰუმან რაით ვოტჩმა“ ეს გააკეთა. მათი დასკვნა ორი დღეა რაც გამოქვეყნდა. უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ შაბათ-კვირას დასავლეთში სამუშაო სიტუაცია არ არის, ყველა ისვენებს. მგონი, რაც „ჰუმან რაით ვოტჩმა“ გააკეთა, ბუნებრივია. ჯერ უბრალოდ კომისიის დასკვნის გადახარშვა ხდება. რასაკვირველია, ეს დასკვნა პოლიტიკურ რეალობას კიდევ უფრო შეცვლის და დაამძიმებს სააკაშვილისთვის და სხვათა შორის, მთელი საქართველოსთვისაც. როგორც არ უნდა ვეცადოთ, სააკაშვილისა და საქართველოს გამიჯვნა ძალიან ძნელია. ამბობენ, პირველი მსოფლიო ომი კაიზერმა დაიწყოო. მაგრამ მსოფლიო ომით გერმანელი ხალხი დაზარალდა. გინდა-არ გინდა, ძალიან ძნელია შენი ხელისუფლება შენგან გამიჯნო. თუმცა, ღრმად ვარ დარწმუნებული, ქართველი ხალხის უმრავლესობა კონფლიქტის სამხედრო გადაწყვეტის მომხრე არ იყო.

***— სააკაშვილის თქმით, ამ დასკვნით არ დადასტურდა „ოსების გენოციდის“ თაობაზე რუსებისა და სეპარატისტების განცხადებები, პასპორტიზაცია უკანონოდაა მიჩნეული და მესამე, სამშვიდობოებთან დაკავშირებით ამბობს, არავინ დაღუპულა და დასკვნითაც დადგინდაო...***

— აბსოლუტურად არ მაინტერესებს, ბატონი სააკაშვილი რას ლაპარაკობს. აქ მთავარია ის, რაც კომისიის დასკვნით ცალსახად დადასტურდა. კერძოდ, საქართველოს სამხედრო მოქმედებები რუსეთის მსხვილმასშტაბიანი აგრესიის საპასუხოდ არ დაუწყია, რასაც ამდენი ხნის განმავლობაში ხელისუფლება გვატყუებდა. ვინც საქმის კურსში ვართ, ამაზე ვლაპარაკობდით. პრეზიდენტის მხრიდან საუბარი იმაზე, რომ რუსეთი 3 ათასი ტანკით დაგვეცა, ანუ იმდენი ტანკით დაგვეცა რუსეთი, რამდენი ტანკითაც ჰიტლერი დაეცა სტალინს, უბრალოდ, სასაცილოა. ასეთი რაღაცეები პრეზიდენტმა არ უნდა ილაპარაკოს.

***— სხვათა შორის, იაკობაშვილი ამბობდა... ალბათ, თქვენ მოუსმინეთ...***

— არა, მე მათ არ ვუსმენ. მათი ლაპარაკის მოსმენას არავითარი აზრი არ აქვს — არც თეორიული და არც პრაქტიკული. მოლაპარაკე გვამების მოსმენას მე არ ვაპირებ.

***— ფაქტების თვალსაზრისით, ჩვენ რასაც ვამბობდით, ის დადასტურდა, მაგრამ შეფასების ნაწილში არ ვეთანხმებითო.***

— მოიცათ, რა! ეგ იმას ჰგავს, კაცი ქვევრში რომ არის და ჯერ ფეხები გამოვიტანოთო. მერე ამას ტანი არ მოჰყვებაო. ასეა აქაც, რა ეგონათ, ფაქტები რომ დადასტურდებოდა, მერე შეფასებები არ მოჰყვებოდა ამ ფაქტებს?!

***— ე.ი. ბატონო კახა, ამ ხელისუფლების თქმით, დასკვნაში ფაქტები არასწორადაა შეფასებული.***

— დამიჯერეთ, მალე ეს ხელისუფლება გამოვა და გვეტყვის, ზაფხულში თოვლი მოდის, ზამთარში ძალიან ცხელა, მიზიდულობის კანონი არ არსებობს, ჩვენს ხელისუფლებას კი შეუძლია, ცაში აფრინდესო. ცოტა ვაცალოთ და ამ დონეზეც მივლენ.

***— თქვენ რა მომენტებს გამოყოფდით დასკვნაში? იაკობაშვილი აცხადებს, ვინც უარყოფითად აფასებს, მას დასკვნა კარგად არ წაუკითხავსო.***

— კონკრეტულ პიროვნებებზე საუბარი არ მინდა. უმარტივეს რაღაცას ვამბობ — დასკვნაში დაკვალიფიცირებული არის თუ არა საქართველოს მოქმედება როგორც რუსეთის მსხვილმასშტაბიან აგრესიაზე პასუხი? მე გპასუხობთ, არა; ანუ საქართველოს სამხედრო მოქმედებების წარმოება არ დაწყებულა რუსეთის მსხვილმასშტაბიანი აგრესიის საპასუხოდ. ეს არის მთავარი ფაქტის დასკვნა. ეს შეფასება კი არა, დადგენილი ფაქტია.

***— ხელისუფლება აცხადებს, აგრესია 7 აგვისტოს არ დაწყებულა, არამედ 1 აგვისტოს და მანამდეც დიდი ხნის დაწყებული იყოო. აბა, არ გვეპასუხაო? ამ კითხვას სვამენ.***

— როცა ადამიანი დავას გიწყებს, ღრუბლებში ვცხოვრობო, რა უნდა უპასუხო? ექიმთან უნდა გადარეკო და უნდა უთხრა, ჩემი „მეზობელი“ ამბობს, ღრუბლებში ვცხოვრობო. თუ საზოგადოებისთვის საშიშია, საჭიროა მისი სამედიცინო თვალსაზრისით იზოლირება. მე კონკრეტულ ადამიანს არ ვგულისხმობ. თუ ეს არის ხელისუფლების კოლექტიური აზრი, მაშინ საქმე გვაქვს კოლექტიური ფსიქოზის რაღაც ძალიან საინტერესო ფორმასთან. ასეთი რამ არის ჩრდილოეთის ხალხებში, მაგალითად, ჩუქჩებში, ევენგებში. ხდება ხოლმე, როცა ლაპარაკში მთელ თემს შეიპყრობს ერთი და იგივე კოლექტიური ფსიქოზი და დახტიან, რაღაცეებს იძახიან. ერთი სიტყვით, გიჟებივით იქცევიან. თან ყველა ერთი და იგივეს ამბობს, ერთნაირად იქცევა. შეიძლება ასეა. ხშირად ვიმეორებ ბატონი ცისკარიშვილის ფრაზას, რომ ამ ხელისუფლების ქმედებებში რაღაცეები გასაანალიზებელია, რაღაცეები კი სადიაგნოზო. დიაგნოსტიკოსად არ გამოვდგები, მაგრამ როდესაც აცხადებენ, ამ დასკვნამ საქართველო გაამართლა, ხოლო რუსეთს პასუხისმგებლობა დააკისრაო, ვკითხულობ, დასკვნაში სად წერია, რომ მსხვილმასშტაბიანი სამხედრო მოქმედებები რუსეთმა დაიწყო და საქართველომ უპასუხა. დამისახელონ კონკრეტული გვერდი. მე ვასახელებ ამ დასკვნის პირველ ნაწილს (44 გვერდიანი რომ არის), სადაც თეთრით შავზე წერია, ცხინვალის დაბომბვამ, რომელიც არ არის კვალიფიცირებული, როგორც პასუხი რუსეთის მსხვილმასშტაბიან აგრესიაზე, გამოიწვია მსხვილმასშტაბიანი სამხედრო მოქმედებები ორ სახელმწიფოს შორის. ამის შემდეგ რა წაკითხვა-არწაკითხვაზეა ლაპარაკი! უბრალოდ, ამდენ ხანს რომ ტყუოდნენ, ახლა ხომ არ იტყვიან, ვაიმე, ვტყუოდითო. ახლა, თავიანთი ჭკუით, მაგარი ტაქტიკა აირჩიეს, კი არ ამბობენ, არასწორი დასკვნააო, არამედ აცხადებენ, ამ დასკვნით გავმართლდითო. ვერ გავიგე, ამ ადამიანებს რა ჰგონიათ, 21-ე საუკუნე არ არის, ინტერნეტი არ გვაქვს, გაზეთებს არ ვკითხულობთ, თუ რა?! ხომ არ ჰგონიათ, რომ საქართველო ინფორმაციას „რუსთავი-2-იდან“ ღებულობს. რასაც ქართული ტელევიზიები აკეთებენ, უბინძურესი ქმედებაა. როდესაც ბატონი სააკაშვილი აღარ იქნება, მარტო ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხი კი არა,არამედ იმ ჟურნალისტების პასუხისმგებლობის საკითხიც დაისმება. ნურავის ჰგონია, მათ პასუხს არავინ მოსთხოვს. ასე ეგონათ ჰიტლერის დროსაც. ჟურნალისტებმა თქვეს, ჩვენ პატარა ხალხი ვიყავით, რასაც გვიმზადებდნენ, იმას ვაკეთებდითო. მაგრამ ამან არ უშველა. დანაშაულის ხარისხის მიხედვით პასუხისმგებლობა ყველას დაეკისრა. თუმცა, პირადად მეც არ ვარ მომხრე, სააკაშვილი საერთაშორისო ტრიბუნალმა საერთაშორისო კანონებით გაასამართლოს. სჯობს სისხლის სამართლის საქმე საქართველოში აღიძრას და სასამართლომ მიუკერძოებლად განიხილოს.

***— ეს შესაძლებელია?***

— ამ შემთხვევაში მე ვახდენ შეფასებას. ჩემი შეფასება რამდენად რეალიზებადია, სხვა საკითხია. შეიძლება სააკაშვილმა ახალი ომი დაიწყოს იმისთვის, რომ გადაიფაროს სკანდალი.

***— სანამ ახალი ომის წამოწყების შესაძლებლობებზე ვისაუბრებდეთ, მინდა გკითხოთ, რუსეთს ჰქონდა უფლება, თუნდაც სააკაშვილის მიერ ცხინვალის დაბომბვის საპასუხოდ, ფართომასშტაბიანი ომი ეწარმოებინა?***

— ამაზე ტალიავინის დასკვნაშიც არის საუბარი. ტალივინის დასკვნაში რუსეთის ქმედებების აგრესია (უშუალო აგრესიაზეა საუბარი, თორემ მანამდე ჩამოთვლილია რუსეთის აგრესიული ქმედებები, პასპორტების დარიგება და ა.შ.) იწყება მაშინ, რაც მისმა ჯარებმა კონფლიქტის ზონა გადმოკვეთა.

***— კონფლიქტის ზონაში?***

— კონფლიქტის ზონაში, ეს არის იურიდიული სადავო საკითხი და იქ კონსტატაციაა, რომ ქართველების ცეცხლის შედეგად დაიღუპნენ სამშვიდობოები, რაზეც რუსეთს რეაგირების უფლება ჰქონდა, მაგრამ ეს რეაგირება როგორი იქნებოდა, სხვა საკითხია.

***— ხელისუფლება აცხადებს, ტალიავინის დასკვნით დადასტურდა, რომ სამშვიდობოები არ დაღუპულანო...***

— 15 კაცია მკვდარი და კონკრეტული გვარებია ჩამოთვლილი...

***— ანუ ხელისუფლება ამ ნაწილშიც ტყუის.***

— რა თქმა უნდა. იმ სამშვიდობოებს რატომ არ მოუხსნეს სტატუსი.

***— ე.ი. სამშვიდობოებზე სტატუსის არ მოხსნით იურიდიულად სადავო დატოვეს ცხინვალის რეგიონში რუსეთის მოქმედების სისწორე?***

— დსთ-დან ომის შემდეგ რომ გამოვიდნენ, მანამდე რას მიკეთებდნენ? ოპოზიცია დსთ-დან გამოსვლას რომ ითხოვდა და საპასუხოდ ჭკუას გვარიგებდნენ, იქ ყოფნა საჭიროა, იქ რაღაც მისტიკური გათვლები გვაქვს, თქვენ, უბრალო ადამიანები, ვერ იგებთ, თორემ იქ ყოფნა საჭიროაო, ქვეყანა დსთ-დან ვერ გამოიყვანეს.

# ბაღათურია, ცაგარეიშვილი და ლორთქიფანიძე ერთმანეთს დაერივნენ

## ვის სურს ელენე თევდორა ის სკამის დაკავება







**საპარლამენტო ოპოზიციის წევრები ერთმანეთს დაერივნენ. დიმიტრი ლორთქიფანიძისა და ჯონდი ბაღათურიას დაპირისპირებას გუშინ გიორგი ცაგარეიშვილი შეუერთდა.**

ნანა მიშელაშვილი

ლორთქიფანიძესა და ბაღათურიას შორის კამათი ორი დღის წინ პარლამენტის სხდომაზე დაიწყო და ლამის ფიზიკურ დაპირისპირებამდე მივიდა. ორი მოკამათე დეპუტატი მაშინ გიორგი თარგამაძემ და გიორგი ცაგარეიშვილმა დააშოშმინეს. უფრო მეტად კი მანდატურმა იმარჯვა და ორი მოკამათე ერთმანეთისკენ არ გაუშვა.

ეს კამათი იმ დღეს მოხდა, როდესაც პარლამენტში პრეზიდენტი იმყოფებოდა. პრეზიდენტს საკუთარი მოხსენება ახალ ეკონომიკურ ინიციატივებზე დასრულებული ჰქონდა და წასულიც იყო, როცა ლორთქიფანიძე და ბაღათურია ერთმანეთს წაეკიდნენ.

შეკამათება იმ დროს მოხდა, როდესაც დიმიტრი ლორთქიფანიძემ დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნა მოითხოვა. ლორთქიფანიძე კარგა ხანია მოითხოვს, რომ გაირკვეს, ვინ შეუტანა პრეზიდენტს ხელმოსაწერად სია, რომელშიც რატი რეხვიაშვილის გვარიც იყო. რატი რეხვიაშვილი უზნაძის ქუჩაზე პოლიციელის მკვლელობის ფაქტზეა ამჟამად ბრალდებული.

პარლამენტში გამოსვლისას, ჯონდი ბაღათურიამ აღნიშნა, რომ ოპოზიციამ ისე არ უნდა გააკეთოს, რომ შეწყალების პროცესი შეჩერდეს.

— თქვენმა ასეთმა ატორლიალებამ, მაპატიეთ, ამ საკითხის მიმართ შეიძლება გამოიწვიოს უკურეაქცია, ხელისუფლებამ შეაჩეროს შეწყალებების პროცესი და შემდგომში ჩვენ ყველანი ერთად გავხდებით პასუხისმგებელი აი, ამ 22 ათასი პატიმრის და მათი ოჯახების წინაშე, — აღნიშნა ბაღათურიამ პარლამენტის სხდომაზე.

ოპოზიციონერ დეპუტატთა ნაწილს ჯონდი ბაღათურიას ეს გამოსვლა არ მოეწონა და მას დაუპირისპირდა. უკმაყოფილო ოპოზიციონერები ამბობენ, რომ ბაღათურიამ ხელისუფლების წისქვილზე დაასხა წყალი.

ბაღათურიამ არც დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნას დაუჭირა მხარი. ეს ფაქტიც უკმაყოფილების მიზეზი გახდა.

გუშინ გიორგი ცაგარეიშვილმა ღიად განაცხადა, რომ ჯონდი ბაღათურიას არც ერთ ინიციატივას მხარს აღარ დაუჭერს.

— ბაღათურია აღარ შეწუხდეს და აღარ მომაკითხოს. მის ინიციატივებზე ჩემს ხელმოწერას ველარ ნახავთ, — განუცხადა ჟურნალისტებს გიორგი ცაგარეიშვილმა.

ცაგარეიშვილის ამ განცხდებას ბაღათურიას პასუხი მოჰყვა. მართალია, ბაღათურიამ ჟურნალისტებს თავიდან უთხრა, რომ ცაგარეიშვილისთვის პასუხის გაცემას არ აპირებდა, თუმცა, საკმაოდ ბევრი მინიშნება და შედარება „დაახვავა“.

— არიან ადამიანები, რომლებიც ყურადღების მიქცევის მიზნით ადამიანს აირჩევენ და მერე ცდილობენ ამ ადამიანთან „პინკ-პონკს“. მე არ ვაპირებ ვინმეს პრომოუშენის კეთებას, ვფიქრობ, რომ არასერიოზული განცხადებების კომენტარება არასერიოზულია, — აღნიშნა ჯონდი ბაღათურიამ.

რაც შეეხება პარლამენტის სხდომაზე მომხდარ კამათს, ჯონდი ბაღათურია ამასაც საკუთარ შეფასებას აძლევს: „ისე არ დაემართოს ვინმეს, გააქეზეს მურია და შეაჭამეს დათვსო. შეჭმული მარტო მურია კი არ იქნება, შეიძლება გამქეზებელიც ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდეს. ყველა იყოს ჭკუით, ენას კბილი დააჭიროს“.

კიდევ ერთი შედარება, რომელიც ბაღათურიამ მოიყვანა ასეთია: „მგელი რომ სანადიროდ მიდის, იმას ფიქრობს, ისეთს დავესხა თავს, აქეთ არ შემჭამოსო. მგელსაც თუ აქვს ამდენი ტვინი, სხვამაც უნდა იქონიოს“.

ბაღათურია მხოლოდ ამ კომენტარით არ იფარგლება და „შეტევაზე“ გადადის. ბაღათურია ამბობს, რომ პარლამენტს შიგნით დაწყებულია ბრძოლა ელენე თევდორაძის სკამის დასაკავებლად.

შეგახსენებთ, რომ ელენე თევდორაძეს ამჟამად შეწყალების კომისიის თავმჯდომარის პოსტი უკავია. კონკრეტულად ვის სურს ელენე თევდორაძის სკამის დაკავება, ამას ჯონდი ბაღათურია არ აკონკრეტებს. ბაღათურია ამბობს, რომ რამდენიმე თვეა „ჩალიჩობენ“ შეწყალების კომისიის თავმჯდომარის სკამისთვის.

ბაღათურია აქვე განმარტავს, რომ არ შეიძლება პატიმრების ბედით სპეკულაცია.

— სამარცხვინოდ მიმაჩნია სპეკულაცია პატიმრის ბედით. სამარცხვინოდ მიმაჩნია, რომ შენ თუ რაიმე თანამდებობა და ელენე თევდორაძის სკამის დაკავება გინდა, ამის გამო სახიფათო პროცესების დაწყება. ჩემი კოლეგების შიდა ინტრიგებში, ერთმანეთში განხეთქილებებში არ ვერევი. მოხარული ვარ, რომ პარლამენტში არსებობს ერთიანი უმცირესობა, ე.წ. თორთლაძე-თარგამაძის გუნდი. არანაირად არ შევეცდები ამ გუნდის შიგნით რაიმე განხეთქილებების შეტანას, მაგრამ მათ მოვუწოდებ: მიხედონ თავიანთ საქმეებს, საქმით იყვნენ დაკავებული და თავი დაანებონ ჩემს კრიტიკას, — ასეთია ბაღათურიას მიმართვა გიორგი თარგამაძისა და გია თორთლაძის ფრაქციების წევრებისადმი.

რაც შეეხება შეწყალების თემას, ჯონდი ბაღათურიას თქმით, 2500-ზე მეტი პატიმარი იქნა შეწყალებული, განეორებითი დანაშაული სულ რამდენიმემ ჩაიდინა, მათ შორის რეხვიაშვილმა.

— ამის განზოგადება და ეჭვქვეშ დაყენება იმ პროცესის, რომ თუ ვინმე შევიწყალეთ, ხვალ შეიძლება დანაშაული ჩაიდინოს, ავტომატურად იმას ნიშნავს, რაც ხელისუფლებას უნდა, რომ გადახედოს შეწყალების პროცესს, — ასეთია ბაღათურიას არგუმენტაცია.

ბაღათურიას პასუხს გიორგი ცაგარეიშვილის პასუხის პასუხი მოჰყვა. გიორგი ცაგარეიშვილის განცხადებით, პარლამენტის სხდომაზე ისე მოხდა, რომ რატომღაც ნაციონალურ მოძრაობას ხმა არ

გაგრძელება მე-4 გვერდზე

გააგზავნეთ სმს „ჯეოსელიდან“, „მაგთიდან“, „ბილაინიდან“
ნომერზე 30-30 და 1 ლარით ყოველთვიურად
დაეხმარებით მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს.
ერთჯერადი დახმარებისათვის დარეკეთ ნომერზე 30-30 და
ფონდ „იავნანას“ ანგარიშზე ავტომატურად ჩაირიცხება 1 ლარი.
შემოგვიერთდით, ერთად დავუბრუნოთ
ბავშვები თავიანთ ოჯახებს!
ფონდი „იავნანა“, გაზეთი „ახალი თაობა“

# ბაღაფშს უკვე ორი კონკურენტი გამოუჩნდა

თეა მარხვაი ე



**სოხუმში საპრეზიდენტო არჩევნებისთვის მზადება უკვე ოფიციალურად დაიწყო. გუშინ აფხაზეთის სახალხო კრებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც საპრეზიდენტო არჩევნები მიმდინარე წლის 12 დეკემბერს ჩატარდება. უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, სახალხო კრებამ ბაღაფშის გადაწყვეტილებას მწვანე შუქი აუნთო. იმ უკანასკნელმა აფხაზეთში საპრეზიდენტო არჩევნების თარიღი ჯერ კიდევ ივლისის თვეში გამოაცხადა.**

ამის გამო მაშინ ბაღაფშს ოპოზიცია აუშარდა. მათი განცხადებით დე ფაქტო პრეზიდენტმა კანონი დაარღვია და არჩევნების თარიღი არაკონსტიუციური ფორმებით გამოაცხადა.

დეკემბერში დანიშნულ არჩევნებთან დაკავშირებით გუშინ სოხუმში განცხადებები გაკეთდა. მომავალ არჩევნებს აფხაზეთის სახალხო კრების თავმჯდომარემ ნუგზარ აშუბამ ისტორიული უწოდა.

— არჩევნები, რომელიც დეკემბერში ჩატარდა, ნამდვილად ისტორიული იქნება. აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ ჩვენ პირველ არჩევნებს ვატარებთ; ეს ძალიან მნიშვნელოვანია, — განაცხადა აფხაზმა სპიკერმა.

ნუგზარ აშუბას განცხადებით რაკიღა ეს ისტორიული არჩევნებია, ყველაფერი კარგად ჩაივლის. აფხაზეთის ხელისუფლებაში არჩევნების მშვიდად ჩატარებაზე სხვაც ბევრი ოცნებობს. თუმცა, ამის იმედი არავის აქვს, რადგანაც ყველა წინაწარ არის შეგუებული იმ აზრს, რომ არჩევნებს შესაძლოა დიდი დაპირისპირება მოჰყვეს.

დაპირისპირება უკვე დაწყებულია. ოპოზიცია არჩევნებამდე ლამის ორი თვით ადრე ბაღაფშს არჩევნების გაყალბებაში ადანაშაულებს. ამ ზაფხულს გალის მოსახლეობის პასპორტიზაცია დაიწყო. ეს იმას ნიშნავს, რომ გალელები უპრობლემოდ მიიღებენ მონაწილეობას საპრეზიდენტო არჩევნებში.

ეს კი ოპოზიციისთვის მიუღებელია. მათი განცხადებით, ხელისუფლება გალში ადმინისტრაციულ რესურსს აამოქმედებს და გალელებს ხმას ბაღაფშისთვის მიაცემინებს. აღსანიშნავია ისიც, რომ გალელები ადმინისტრაციული რესურსის გარეშეც მხარს უჭერენ ბაღაფშს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ის მათი სიძეა. წინა არჩევნები ბაღაფშმა სწორედ მათი ხმებით მოიგო.

## აფხაზები ისტორიული არჩევნების ჩატარებას აპირებენ

გალელების იმედი ბაღაფშს წლეულსაც აქვს. თუმცა, მარტო ცარიელი იმედის იმედად ყოფნას არ აპირებს. დე ფაქტო პრეზიდენტმა ციხეში გაამგზავრა ის ადამიანი, ვისაც გალელების ხმების წართმევა შეეძლო.

ზაფხულში ოჩამჩირესთან დააკავეს აფხაზეთის ეროვნული გმირი ვალმერ ბუთბა, რომელიც აფხაზეთის ეკონომიკის განვითარების პარტიის წევრია. ის გალში ამ პარტიის ლიდერს ბესლან ბუთბას უწევდა პროპაგანდას. ამის გამო მას სერიოზული პრობლემები შეექმნა და გისოსებს მიღმა აღმოჩნდა.

ის იარაღის ტარების ბრალდებით დააკავეს. მას მანქანის საბარგულში ავტომატი და არძინბას ნაჩუქარი პისტოლეტი აღმოუჩინეს. მისი დაკავება ოპოზიციამ პოლიტიკური რეპრესიების დაწყებად შეაფასა.

გუშინ ცნობილი გახდა, რომ ბესლან ბუთბა საპრეზიდენტო არჩევნებში აპირებს მონაწილეობის მიღებას. გამოდის, რომ ბაღაფშმა კარგად გათვალა, როცა ვალმერ ბუთბა დააპატიმრებინა. ბუთბას თავისი მოგვარისთვის მარტო გალელების ხმების მოტანა არ შეეძლო. ვალმერ ბუთბა აფხაზ მეომრებში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. არჩევნებზე ისინი მის აზრს აუცილებლად გაიზიარებდნენ.

ომის ვეტერანებს მეორე ფავორიტიც ჰყავთ. ეს რაულ ხაჯიმბაა, რომელიც ასევე აპირებს არჩევნებში მონაწილეობს. წინა არჩევნებში ომის ვეტერანებმა მხარი ხაჯიმბას დაუჭირეს, თუმცა, ბევრს ვერაფერს გახდნენ. გალელების წყალობით პრეზიდენტი ბაღაფში გახდა.

საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეთა ზუსტი რაოდენობა და ვინაობა ორსამ კვირაში გაირკვევა. არ გამორიცხავენ, რომ არჩევნებში მონაწილეობა სერგეი შამბამაც მიიღოს.

აფხაზური დიპლომატიის მამამ საპრეზიდენტო არჩევნებში ბედი 2004 წელსაც სცადა, მაგრამ მას მაშინ ხელი მოეცარა და მეორე ტურში უკვე ბაღაფშის გუნდში გაერთიანდა. აფხაზებს წინა არჩევნებში პრეზიდენტის ვინაობის გასარკვევად ორი ტურის ჩატარება დასჭირდათ.

არ არის გამორიცხული, საქმე ამჯერადაც მეორე ტურამდე მივიდეს. მართალია ბაღაფშის პრეზიდენტობისას რუსეთმა აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარა, მაგრამ მის მიმართ მაინც არ არის ნდობა.

ბაღაფში ისევ პროქართული ორიენტაციის ადამიანად აღიქმება. ახლა კი მას უკვე აფხაზეთის რუსეთისთვის მიყიდვას აბრალებენ. ამის გამო სოხუმში არაერთი საპროტესტო განცხადება გაკეთდა. აფხაზეთში რუსებს ისევ მადლობას უხდიან, თუმცა, ახლა ნამდვილ დამოუკიდებლობაზე ალაპარაკდნენ.

წინა არჩევნეზე ბაღაფშის კონკურენტ რაულ ხაჯიმბას კრემლი ღიად უჭერდა მხარს. კეგებეს გამოზრდილმა ხაჯიმბამ შეიძლება ახლაც მოიპოვოს ეს მხარდაჭერა. ეს მითქმა-მოთქმა პუტინის სოხუმში ვიზიტს მოჰყვა.

პუტინი სოხუმს აგვისტოში ეწვია. ამ ვიზიტის ფარგლებში ის იქაური ხელისუფლების წარმომადგენლებს შეხვდა. მერე კი მოულოდნელად მოუთხოვია, სასწრაფოდ ოპოზიციასაც შემახვედრეთო. ბაღაფშს ბარემ არ უნდოდა პუტინი ოპოზიციას შეხვედროდა, მაგრამ უარს როგორ შეჰკადრებდა. ოპოზიციასთან გამართულ შეხვედრაზე პუტინს განსაკუთრებული ყურადღება რაულ ხაჯიმბას მისამართით გამოუჩენია. აი, მაშინ გაჩნდა მოსაზრება, რომ ხაჯიმბა ისევ კრემლის ფავორიტი იქნება.

ის რომ არჩევნებში მონაწილეობას მიიღებდა, უკვე მაისის თვეში იყო ცნობილი. მან ვიცე-პრეზიდენტის პოსტი სწორედ მაისში დატოვა და ბაღაფშს ღია ოპოზიციაში ჩაუდგა. ბაღაფშის ოპოზიციაში გადავიდა სტანისლავ ლაკობაც, რომელსაც ამა წლის 18 აგვისტომდე უშიშროების საბჭოს მდივნის პოსტი ეკავა. არ არის გამორიცხული, კენჭი მანაც იყაროს.

სავარაუდოდ რამდენიმე უცნობი პერსონაჟიც გამოჩნდება, რომლებსაც სხვადასხვა მიზეზების გამო რეგისტრაციაში არ გაატარება აფხაზური ცესკო. წინა არჩევნებზე ალექსანდრე ანქვაბი აფხაზური ენის სათანადოდ არცოდნის გამო დაბრაკეს. ვნახოთ, წელს რა მიზეზით მოხდება კანდიდატების დაბრაკვა. როგორც აფხაზური მედია იუწყება, წინ საინტერესო მოვლენები გველოდება.

# ბალათურია, ცაგარეიშვილი და ლორთქიფანიძე ერთმანეთს დაერივნენ

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ამოულია და ამ ამბავზე ვინ იყო „ატორლიალებული“, ძალიან კარგად გამოჩნდა.

რაც შეეხება ბალათურიას განცხადების იმ ნაწილს, რომ პატიმრების ბედით სპეკულირებას არ დაუშვებს, ცაგარეიშვილს აინტერესებს: ვინ არიან სპეკულანტები? ის ადამიანები, ვინც ამბობდა, რომ გამოსაძიებელია საქმე, რატომ უშვებენ მკვლელებს ქუჩაში? ეს სპეკულანტობაა? ცაგარეიშვილი ამბობს, რომ შეწყალების პროცესი უნდა გაგრძელდეს, მაგრამ არა მკვლელების ქუჩაში გამოშვების პროცესი.

— შეწყალება სხვა არის და დამნაშავეების ქუჩაში გამოდევნა — სხვა. დამნაშავეების ქუჩაში გამოდევნა არის დანაშაული. ამას ჯონდი ბალათურიას გასაგონად ვამბობ. „ვეფხისტყაოსანი“ წაიკითხოს და დაასკვნის, რა არის შეწყალება,

— აღნიშნა ცაგარეიშვილმა.

გიორგი ცაგარეიშვილი ფიქრობს, რომ ბალათურია ვერ გაერკვია თუ რას ითხოვდა დიმიტრი ლორთქიფანიძე. „ამიტომ რადგანაც ბალათურია ვერ თუ არ გაერკვია, რას ითხოვს დიმიტრი ლორთქიფანიძე, ამის შემდეგ, არც ერთ ინიციატივას, რომელსაც ბალათურია შემოიტანს, ხელს აღარ მოვაწერ“, — აღნიშნა ცაგარეიშვილმა.

ჯონდი ბალათურიას გუშინ დიმიტრი ლორთქიფანიძეც გამოეხმაურა.

— ჯონდის სამარცხვინო გამონათქვამებზე მე კომენტარის გაკეთებას აღარ ვაპირებ. მან მთლიანად მოახდინა თავისი პიროვნული ლუსტრაცია, როდესაც გადაეფარა პროკურატურას, პროკურატურაში განხორციელებულ კამპანიას, რაც უკავშირდება მსჯავრდებული პირების შეწყალებასთან დაკავშირებულ მოქმედებებს. რისი ნათელი მაგალითიც იყო 2008 წლის 17 დეკემბერს საქართველოს ანტიკრიზისული საბჭოს მიერ წარდგენილ მსჯავრდებულთა სიებთან ერთად 300 განსაკუთრებით მძიმე და მძიმე დანაშაულში მსჯავრდებული პირების შეწყალების აქტი, რომელთა შორის იყვნენ გირგვლიანის მკვლელები და რომელთა შორის იყო რატი რეხვიაშვილი, — აღნიშნა დიმიტრი ლორთქიფანიძემ.

მისივე განმარტებით, ჯონდი ბალათურია ანტიკრიზისული საბჭოს წევრია და ურიგო არ იქნება, თუ გაიხსენებს, როდის და რა ვითარებაში ხდებოდა აღნიშნული მოქმედებები.

— თუმცა, მე მას ვპირდები, რომ დადგება დრო, როდესაც ყველაფერი იქნება გახსენებული, არავინ და არაფერი არ იქნება დავიწყებული. იგი გახლავთ ხელისუფლების ხელში მართვადი რაკეტის სახეობა და რაც უფრო ახლოვდება ეს არჩევნები, მით უფრო გამოიკვეთებიან ასეთი ადამიანები. მადლობა ღმერთს, ერთხელ და სამუდამოდ გაკეთდება წყალგამყოფი და გვეცოდინება ჩვენ და საზოგადოებას ვინ ვინ არის და ვინ რით სუნთქავს, — აღნიშნა დიმიტრი ლორთქიფანიძემ.

იგი პარლამენტის სხდომაზე მომხდარ შეკამათებაზეც საუბრობს და ასეთ შეფასებას აკეთებს: „ჩემი აღშფოთება გამოიწვია იმ მოულოდნელობამ, რასაც არ ველოდი ბატონი ჯონდი ბალათურიასგან, რომ ასე ღიად, მშვიდად, გადაეფარებოდა პროკურატურას და გახდებოდა მისი უფასო ადვოკატი“.

რაც შეეხება ჯონდი ბალათურიას განცხადებას იმის შესახებ, რომ ვიღაცას ელენე თევდორაძის სკამის დაკავება უნდა, დიმიტრი ლორთქიფანიძე ამ საკითხზეც აკეთებს კომენტარს.

— თუ საუბრობს ბატონი ჯონდი, ალბათ, პირველ რიგში თავის თავს გულისხმობს და იმ წარსულში ნანატრს, რაზეც არ იტყოდა უარს, რომ აესრულებინა. ჩემთვის პრიორიტეტული არის და იქნება ის გაუბედურებული ადამიანები, რომლებიც სიკვდილის პირას არიან ციხეებში მიყვანილი. მე მოვუწოდე სახალხო დამცველს, რომ ეროვნული პრევენციის მექანიზმის ფარგლებში მიხედოს მათ და სასწრაფოდ მოახსენოს პარლამენტს, რა მდგომარეობაში არიან ისინი, ეს არის ჩემთვის პრიორიტეტი, საზოგადოება, ალბათ, უკეთ განსჯის, ვინ ვინ არის, — აღნიშნა „ახალ თაობასთან“ საუბარში დიმიტრი ლორთქიფანიძემ.

ამდენად, პარლამენტში ოპოზიციის სიმცირის მიუხედავად, ოპოზიციამ ერთ რამეს მაინც მიაღწია. იმდენი გააკეთა, რომ ოპოზიციის წარმომადგენლები ერთმანეთს დაერივნენ.

## ტალიავინის დასკვნები საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებაზე გავლენას არ მოახდენს

რუსეთ-საქართველოს ომის მიზეზების შემსწავლელი კომისიის მიერ გამოტანილი დასკვნები საქართველოსა და უკრაინის ნატო-ში გაწევრიანების პერსპექტივებზე გავლენას არ მოახდენს.ამის შესახებ ნატო-ს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

— დასკვმა ნატო-ს მიერ უკვე მიღებულ გადაწყვეტილებაზე ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენს, — განაცხადა რასმუსენმა და განმარტა, რომ საქართველოსა და უკრაინის ალიანსში გაწევრიანება 2008 წელს ნატო-ს ბუქარესტის სამიტზე გადაწყდა.

**პირველი**

## საფრანგეთი და ყაზახეთი მხარს უჭერენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას



საფრანგეთის პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზის განცხადებით, საფრანგეთს საკუთარი პოზიცია საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან არ შეუცვლია.

ეს განცხადება ყაზახეთში ოფიციალური სამუშაო ვიზიტით მყოფმა სარკოზიმ ადგილობრივი ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში გააკეთა.

— მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა რამდენიმე ქვეყანამ აღიარა, საერთაშორისო საზოგადოებრიობა არ ცნობს ამ გადაწყვეტილებას და ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს, — განაცხადა სარკოზიმ.

მისი თქმით, ამ საკითხთან დაკავშირებით, საფრანგეთისა და ევროკავშირის პოზიცია შეუცვლელია.

**მედიანიუსი**

## ციხის ბუნტის ორგანიზებაში ბრალდებულმა პატიმარმა თავი მოიწამლა

ციხის ბუნტის ორგანიზებაში ბრალდებულმა პატიმარმა ხატია გუთიაშვილმა თავი მოიწამლა.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ განსასჯელების ადვოკატმა თამარ წერეთელმა განუცხადა. მისი თქმით, პატიმარი ქალთა და არასრულწლოვანთა №5 დაწესებულებიდან სასწრაფოდ ღუდუშაურის სახელობის კლინიკაში გადაიყვანეს.

ადვოკატი პატიმრის მიერ თავის მოწამვლის მიზეზად ასახელებს მოსალოდნელ სასჯელს, რომელიც ბუნტში ბრალდებულებს ემუქრებათ.

ხატია გუთიაშვილის გამოუცხადებლობის გამო გუშინ თბილისის საქალაქო სასამართლოში პროცესი ჩაიშალა. სასამართლო სხდომა 9 ოქტომბერს, 10:30 საათზე განახლდება. პროკურატურამ განსასჯელებს საპროცესო გარიგების გაფორმება შესთავაზა, რომლის მიხედვითაც აღიარების შემთხვევაში ბრალდებულებს 2-დან 8 წლამდე პატიმრობა მიესჯებათ. დანაშაული, რომელშიც მათ ბრალი ედებათ, 15 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

ციხის ბუნტისთვის 38 ქალია განსასჯელი. ბუნტი ქალთა და არასრულწლოვანთა №5 დაწესებულებაში 2009 წლის 19 აპრილს მოხდა.

**ინტერპრესნიუსი**

## „მაესტროს“ მაუწყებლობა, შესაძლოა, საკაბელო არხებმა შეწყვიტონ

ტელეკომპანია „მაესტროს“ მაუწყებლობა, შესაძლოა, საკაბელო არხებმა შეწყვიტონ.ამის შესახებ „მაესტროს“ დამფუძნებელმა მამუკა ღლონტმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. როგორც მან აღნიშნა, მსხვილ საკაბელოებზე ხელისუფლების მხრიდან მიმდინარეობს ზეწოლა, რათა მოხდეს „მაესტროს“ მაუწყებლობის შეწყვეტა.

მამუკა ღლონტის თქმით, ზეწოლის შესახებ მას საკაბელოების ხელმძღვანელებმა განუცხადეს, რომელთა ვინაობასაც ვერ დაასახელებს.

— თუკი მაუწყებლობის გათიშვა მოხდება დაასახელებენ იმას, რომ მათთვის მომგებიანი არ არის, ბიზნესთან ან ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს მოიყვანენ საბაბად, რაც ტყუილი იქნება,— განაცხადა ღლონტმა და აღნიშნა, რომ საკაბელოებზე ზეწოლას კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისია ირაკლი ჩიქოვანის ხელმძღვანელობით ახორციელებს.ღლონტის თქმით, საკაბელოებმა რამდენიმე თვეა ახმეტაში და რუსთავში “მაესტროს“ მაუწყებლობა გათიშეს.

მამუკა ღლონტმა ასევე ისაუბრა „მაესტროს“ შენობასთან მომხდარ აფეთქებაზე და აღნიშნა, რომ ეს საქმე დღემდე გამოძიებული არ არის.

— არავინ დასჯილა ამისთვის. ზუგდიდში ცარიელი ვაგონის აფეთქება თურმე ტერორისტული აქტი ყოფილა და დამოუკიდებელი არხის შენობასთან, პირდაპირი ეთერის დროს ხელყუმბარის აფეთქება — შენობის დაზიანება. სწორედ ასეთი კვალიფიკაცია მისცეს „მაესტროსთან“ აფეთქებას, — განაცხადა ღლონტმა.

**ინტერპრესნიუსი**

## საქართველოს ნატო-ს დღეების ფარგლებში რობერტ სიმონსი ეწვევა

ნატო-ს დღეების ფარგლებში, თბილისში ხვალ ალიანსის გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი კავკასიაში და ცენტრალურ აზიაში რობერტ სიმონსი ჩამოვა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ნატო-ს საინფორმაციო ცენტრიდან აცნობეს, სიმონსი მთავრობის წარმომადგენლებს, საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციას, ეთნიკურ უმცირესობასა და სტუდენტებს შეხვდება.

შეხვედრების მიზანს წარმოადგენს ქართული საზოგადოების აზრის გაცნობა საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციასთან დაკავშირებით.

სიმონსის ვიზიტი სამი დღე გაგრძელდება. ნატო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი საქართველოს 11 ოქტომბერს დატოვებს.

ნატო-ს დღეები საქართველოში 5 ოქტომბერს გაიხსნა და 10 ოქტომბერს დაიხურება.

**ინტერპრესნიუსი**

## ოსები ახალგორში ხეთაგუროვისა და პუშკინის ძეგლების დადგმას აპირებენ

სეპარატისტებმა ახალგორის რაიონის კულტურული ოკუპაციაც გადაწყვიტეს და ახალგორის ცენტრში ოსი მწერლის კოსტა ხეთაგუროვისა და პუშკინის ძეგლების დადგმას გეგმავენ.

როგორც სააგენტო „რეს“ ახალგორის რაიონის სეპარატისტული ადმინისტრაციის უფროსმა ალან ჯუსოევმა განუცხადა, “ხეთაგუროვის ძეგლის დადგმა ლენინგორის რაიონის მოსახლეობისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან იქ მცხოვრები ოსები დიდი ხნის მანძილზე სამხრეთ ოსეთისგან და ოსური კულტურისგან მოწყვეტილები იყვნენ.“

— სამხრეთ ოსეთის კულტურის სამინისტროს ძალებით ძეგლი ლენინგორის კულტურის პარკში დაიდგმება. ასეთი აქციების მეშვეობით წინაპრების კულტურული მემკვიდრეობა რაიონში დაბრუნდება, ხალხი ოსურ კულტურასთან კავშირს იგრძნობს. ამასთან, ეს ესთეტიკური თვალსაზრისით ძალიან ლამაზია, — განაცხადა ჯუსოევმა და დასძინ, რომ ახალგორში შოთა რუსთაველის ძეგლის დადგმაც იგეგმება.

**მედიანიუსი**

# ოპოზიციამ გაერთიანება ისევ დაიწყო

## აგვისტოს ომის გამომწვევი მიზეზები ხელახლა უნდა გამოვიკვლიოთ

ნათია ხურცილავა

**„კონსერვატორი" ბიძინა გუჯაბიძე აფხაზეთის და ცხინვალის ომის მიზეზების შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის შექმნას ითხოვს. თუმცა, სანამ ამ საკითხებზე ვთხოვდეთ კომენტარს ბიძინა გუჯაბიძეს, მანამდე ოპოზიციაში მიმდინარე პროცესებზე ესაუბრება „ახალ თაობას".**

*— ბატონო ბიძინა, ბურჯანაძე ახალი ინიციატივით გამოვიდა ოპოზიციური დემოკრატიული ფრონტის შექმნასთან დაკავშირებით. რა მოსაზრება გაქვთ ამაზე?*

— ჯერ არ ვარ ჩამოყალიბებული თუ რა სახელი დაერქმევა ამ გაერთიანებას. ნინო ბურჯანაძე კი გამოვიდა ინიციატივით, მაგრამ არ არის აუცილებელი, რომ ზუსტად ეს სახელი დავარქვათ პოლიტიკური ძალების ერთობას. ჩვენი ინიციატივა ძალაში რჩება პრაიმერის გამართვასთან დაკავშირებით. მოვუწოდებთ ყველა პოლიტიკურ ძალას, აუცილებელია პრაიმერის ჩატარება პოლიტიკური ლიდერების გამოვლენისთვის. სწორედ ამ გზით გვეტყვის მოსახლეობა, რომელ პოლიტიკურ ლიდერს, ან არალიდერს უჭერენ მხარს. ამავე დროს ნებისმიერი არჩევნებისთვის უნდა ვემზადოთ. არჩევნების ჩასატარებლად ჯერ საარჩევნეო გარემოს გაუმჯობესება არის აუცილებელი. ეს გულისხმობს საარჩენო კანომდებლობის გაუმჯობესებას, ვანო მერაბიშვილის და შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყების ამ პროცესიდან ჩამოცილებას. არჩევნებზე ზეგავლენის მიზნით სამთავრობო სტრუქტურების და მთავრობის არჩევნებიდან ჩამოცილება, რომ მათ სამთავრობო რესურსი არ გამოიყენონ არჩევნების გაყალბებისთვის, აგიტაციისთვის. ეს ყველაფერი თუ გაკეთდა, შეიძლება ჩვენ მონაწილეობა მივიღოთ ნებისმიერ არჩევნებში.

*— თუმცა, როგორც ამბობენ, საარჩენო კოდექსზე მომუშავე კომისიას, რომელსაც რამდენიმე არასაპარლამენტო ოპოზიციაც შეუერთდა ჯერ არანაირი შეთანხმებისთვის არ მიუღწევია...*

— დიახ, ჩვენ ეს ვიცით და სანამ არ მივაღწევთ ამ ცვლილებებს, არაფერი არ იქნება. ჩვენ დავაკვირდებით ამ ცვლილებებს, როგორი ფონი შეიქმნება წინასაარჩევნოდ. ვიმეორებ, ნებისმიერ არჩევნებზე შეიძლება წასვლა ეტაპობრივად თუ საარჩევნო გარემო „გასუფთავდება". იმ მოთხოვნების 95 პროცენტს თუ მივაღწიეთ, რაც ჩვენ დაყენებული გვაქვს, მაშინ შეიძლება არჩევნებში მონაწილეობა.

*— ამ შემთხვევაში ოპოზიციას უნდა ჰყავდეს თუ არა არჩევნებში ერთი კანდიდატი?*

— ერთი კანდიდატი ვერ ეყოლება ოპოზიციას. თუმცა, გააჩნია, რომელ არჩევნებს გულისხმობთ. საპრეზიდენტო არჩევნებზე ერთი კანდიდატურა უნდა ჰყავდეს.

*— ადგილობრივ არჩევნებს ვგულისხმობ?*

— ქალაქის მერების, რაიონების გამგებლების, საკრებულოს თავმჯდომარეების პოსტებზე თითო კანდიდატი სასურველია.

*— მიაღწევს ამას ოპოზიცია?*

— პრაიმერი რატომ არის შეთავაზებული დანარჩენი ოპოზიციისთვის, რომ სწორედ ამ გზით აირჩეს საუკეთესო.

*— მაგრამ უარს ამბობენ პრაიმერზე...*

— ჩვენი შეთავაზება ეს არის. თუნდაც ბურჯანაძის მოწოდებაზე თანახმა ვართ იმ შემთხვევაში, თუ ჯერ ამ საკითხზე შევთანხმდებით და ამისთვის მოხდება ეს ერთობა. თუმცა, არ გამოვრიცხავ, რომ ალიანსი, სხვა გაერთიანებები, „ლეიბორისტები" „ფორუმი" სხვა ძალები დათანხმდებიან პრაიმერში მონაწილეობას და არც იმას გამოვრიცხავ, რომ ნინო ბურჯანაძემაც მიიღოს მონაწილეობა. ამ გზით გაირკვევა, ვინ შეიძლება დასახელდეს საპრეზიდენტო არჩევნებში, ადგილობრივ არჩენებში, ვინ შეიძლება იყოს მერის კანდიდატურა. ყველგან, ყველა ქალაქში შეიძლება ოპოზიციამ თავისი ძალები გაშალოს. ამაში თანხმობის მიღწევა არ უნდა იყოს ძნელი თუ ამბიცია არ გადააჭარბებს შესაძლებლობებს და პოლიტიკურ კონიუნქტურას, იმ აუცილებლობას, რაც გასაკეთებელია ქვეყანის გადასარჩენად.

*— ბატონო ბიძინა, რამდენად არის შესაძლებელი, რომ ოპოზიცია ისევ გაერთიანდეს თუ ეს წარმოუდგენელია?*

— არა, არ არის წარმოუდგენელი. ეს პროცესი მიმდინარეობს, მართალია მტკივნეულად, მაგრამ მაინც მიმდინარეობს. ვეცდებით, რომ ეს ბოლომდე მივიყვანოთ.

*— რა საკითხებს აყენებენ, რა არის მათი წინაპირობა?*

— უბრალოდ ფორმალური დეტალებია.

*— ლევან გაჩეჩილაძე სად მოიაზრება?*

— ლევან გაჩეჩილაძეც აქ მოიაზრება, სადაც ჩვენ ვლაპარაკობთ.

*— რას გულისხმობთ?*

— იგივე პრაიმერის სისტემაში.

*— ის არსი თანახმა?*

— ჯერ ამაზე თანხმობა არც ერთი პოლიტიკური ძალის მხრიდან არ არის. გვქონდა კონსულტაციები „ახალ მემარჯვენეებთან", ისინი თანახმანი იყვნენ, ახლა გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომ ალიანსიც თანახმა არის პრაიმერში მონაწილეობაზე. ასე რომ, ეს ძალები არ არის პრაიმერის ჩატარების წინააღმდეგ. ვფიქრობ, არც ლევან გაჩეჩილაძეც არ უნდა იყოს.

*— ალიანსის პოზიციაა, რომ კანდიდატები დასახელდნენ...*

— ეს იქნება ერთობლივი შეთანხმების შედეგი. პარტიები დაასახელებენ თავიანთ კანდიდატებს და შემდეგ მოხდება არჩევა ხალხის მხრიდან. ჩვენ გვინდა პრაიმერით კანდიდატები, ლიდერები შევარჩიოთ და პოლიტიკური ძალები.

*— თუ ვერ მიაღწევს ოპოზიცია ერთიანობას, თქვენ დაუჭერთ მხარს ალასანიას კანდიტატურას?*

— ჩვენ ვეცდებით, რომ ყველა შესაძლო ვარიანტი განვიხილოთ, მაგრამ ასე ხელაღებით იმის თქმა, თუ რომელ კანდიდატს დავუჭერთ მხარს, არ შემიძლია. მე არ მაქვს მყარი ინფორმაცია, რომ ირაკლი ალასანია გაიმარჯვებს საქართველოს მასშტაბით საპრეზიდენტო არჩევნებში, თბილისის მასშტაბით მერის არჩევნებში. ნურავის ნუ ექნება იმის ილუზია, რომ მე თუ არ ვიქნები მერის ან პრეზიდენტობის კანდიდატი ქვეყანა დაიქცევა.

*— მოლაპარაკებების პროცესი როდისთვის დასრულდება?*

— წლის ბოლომდე პრაიმერი უნდა ჩატარდეს. შეიძლება თანხმობა გაზაფხულზე იყოს მიღწეული.

*— ამბობენ, რომ შეიძლება თებერვალში დანიშნოს არჩევნები სააკაშვილმა?*

— არაფერი არ არის გამორიცხული და ამის შესაბამისად უნდა ვიმოქმედოთ.

*— ოპოზიცია ისევ ცაიტნოტურ სიტუაციაში ხომ არ აღმოჩნდება?*

— არ არის გამორიცხული. თქვენ გახოვთ ხელისუფლებამ წინა არჩევნები როგორ დანიშნა მოულოდნელად ყოველგვარი პროგნოზების და გათვლების გარეშე. მათი გათვლებით, მათთვის მომგებიან პირობებში.

*— რას იტყვით პრეზიდენტის ახალ ეკონომიკურ ინიციატივაზე?*

— ეს არის მისი მორიგი პიარი. არავითარი გაუმჯობესება ეკონომიკის მიმართულებით არ მოხდება, რადგან ეს სააკაშვილს გაპიარებისთვის სჭირდება. ყველა გადასახადის ასე ხელაღებით დაწევა ანუ არგაზრდა და ამის დაკანონება შეიძლება შემაფერხებელიც კი იყოს ქვეყნის განვითარებისთვის. რა თქმა უნდა, სოციალური გადასახადები უნდა შემცირდეს. რა თქმა უნდა, ბიზნესს შეღავათი უნდა გაეწიოს, მაგრამ არის სფეროები, სადაც გადასახადების დაწევა წამგებიანი შეიძლება იყოს. ამ საკითხის დიფერენცირება უნდა მოხდეს. სოციალურად ორიენტირებული უნდა იყოს გადასახადების სისტემა.



*— ბატონო ბიძინა, თქვენ მოითხოვეთ სახელმწიფო კომისიის შექმნა, რომელიც ომის მიზეზებს შეისწავლის, ჰაიდი ტალიავინის კომისიის დასკვნის საფუძველზე ითხოვთ ამას?*

— სახელმწიფომ უნდა შექმნას შესაბამისი კომისია, რომელიც დაადგენს ორივე ომის, აფხაზეთის და ცხინვალის ომის მიზეზებს, შედეგებს. ამ შემთხვევაში ორივე რეჟიმი, შევარდნაძის და სააკაშვილის ორივე დამნაშავეა. შევარდნაძეს უნდოდა პოლიტიკური კრიზისი გადაეფარა, სააკაშვილსაც უნდოდა პოლიტიკური კრიზისი გადაეფარა. რუსეთი აგრესორია, მაგრამ სააკაშვილი ამ აგრესიის პროვოცირებას წამოეგო. მისი დანაშაული იმაშია, რომ მასაც უნდოდა ამ ომში ჩაეთრია ქართველი საზოგადოება ეს რუსეთის სურვილიც იყო. ჩვენმა ქვეყანამ გამოძიება უნდა დაიწყოს. ამ კომისიაში მონაწილეობა უნდა მიიღოს საზოგადოებამ.

# აფხაზეთში საერთაშორისო დამკვირვებლებს არ შემოვუშვებთ!

## ქართველებს შავ ზღვაზე მეკობრეობის უფლებას არ მივცემთ



**აფხაზეთის საზღვაო და სახმელეთო საზღვრებს მთლიანად რუსული მხარე აკონტროლებს. კრემლი პირობას დებს, რომ აფხაზეთში უცხოური გემების შესვლას უზრუნველყოფს. ისინი ქართულ მხარეს ემუქრებიან, თუკი თბილისი იქ უკანონოდ შემოსული უცხოური გემების დაკავებას გააგრძელებს. ამ საკითხს რუსული მედია დიდ ყურადღებას უთმობს.**

**„ჩვენ აფხაზეთში გემების შესვლას უზრუნველვყოფთ", — ინტერვიუს ამ სათაურით აფხაზეთში რუსული „ფეესბეს" სასაზღვრო სამმართველოს უფროსთან, 47 წლის გენერალ-მაიორ იური ზვიროკთან „ვრემია ნოვოსტეი" აქვეყნებს. მასალას მცირედი შემოკლებით გთავაზობთ.**

გერა მამულაშვილი

*— აფხაზეთში რუსი მესაზღვრეების წინაშე რა კონკრეტული ამოცანები დგას?*

— პირველ რიგში, აფხაზეთის სახელმწიფო საზღვრების ტერიტორიული ურღვევობა. ასევე კარგი პირობების შექმნა ამ ქვეყნის ეკონომიკური აყვავებისთვის. და ბუნებრივია, რუსეთის სამხრეთი საზღვრებისთვის უსაფრთხო პირობების შექმნა. რუსეთში 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მომზადების და ჩატარების პერიოდში, ეს ყველაზე აქტუალურია. ეკონომიკური და საკადრო თვალსაზრისით, აფხაზეთს სრულად არ შეუძლია საზღვრის საიმედო დაცვის უზრუნველყოფა. აქ, მათ შორის ბანდფორმირებების მხრიდან სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთა ხორციელდებოდა. იყო კონტრაბანდაც, რაც სახელმწიფოს ეკონომიკურ სიძლიერეს არღვევს. არცთუ იშვიათად იარაღის და ნარკოტიკული საშუალებების კონტრაბანდის შემთხვევები იყო, რომლებიც რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზეც ხვდებოდა.

*— თქვენ ამას უკვე ბოლო მოუღეთ?*

— სასაზღვრო სამმართველოს განვითარება გრძელდება. მიმდინარეობს იმ სამხედრო ქალაქების, საინჟინრო-ტექნიკური ნაგებობების მშენებლობა, რომლებიც საზღვრის დაცვის დაცვის საიმედოობას უზრუნველყოფს. ჩვენ ასპროცენტიან შედეგს ჯერ ვერ მივაღწიეთ. აფხაზეთში სასაზღვრო სამმართველოს მშენებლობის დასრულება 2011 წლისთვის არის დაგეგმილი.

*— საზღვაო საზღვარიც თქვენს განკარგულებაშია; რას მოიმოქმედებთ ქართულ გემებთან, რომლებიც აფხაზებისთვის ტვირთის გადამტან უცხოურ სავაჭრო ხომალდებს აკავებენ?*

— აღნიშნული დაკავებები ნეიტრალურ წყლებში ხდება; ასე რომ, ეს ერთგვარი სახის მეკობრეობაა, რაც ქართული მხრიდან ხორციელდება. დამუშავდება ძალოვანი და პოლიტიკური ხასიათის ღონისძიებების მთელი კომპლექსი, რომლებიც ამ მოქმედებებს აღკვეთს. ჩვენ გემების მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფას მოვახდენთ. ამას არა მარტო ჩვენ, არამედ შავი ზღვის ფლოტიც გააკეთებს.

*— გემების დაცვის ქვეშ გაცილებაც მოხდება?*

— გასაგებ ენაზე რომ ვთქვათ, ეს შეიძლება ხომალდების დაცვის ქვეშ გაცილების სახითაც მოხდეს. საზღვაო აკვატორიის განსაზღვრულ მონაკვეთს დავიცავთ, რომელზეც მშვიდობიანი გემები დასახული კურსით გაივლიან.

*— ანუ ჩვენი სამხედრო გემები ამ ზონის პატრულირებას მოახდენენ?*

— დიახ, ასე თქმაც შეიძლება.

*— და რას გააკეთებენ ისინი, თუკი ქართული ხომალდი სავაჭრო გემის დაკავებას გადაწყვეტს?*

— ვფიქრობ, რომ არანაირი ზომის მიღება საჭირო არ გახდება. ზღვაზე ჩვენი ძალოვანი სტრუქტურის ყოფნა ქართულ მხარეს უფლებას არ მისცემს, რომ ასე იმოქმედონ.

*— რიცხობრივად რამდენი მესაზღვრეა დღეს აფხაზეთში და რამდენის დამატება იგეგმება?*

— დღეს ათასზე ცოტა მეტია. გეგმებში მათი რაოდენობის 1500 საშტატო ერთეულამდე აყვანაა; როგორც ეს აფხაზეთის ხელმძღვანელობასთან შესაბამისი შეთანხმებით გამომდინარეობს.

*— როგორ ურთიერთობენ თქვენთან აფხაზი მესაზღვრეები? რამდენად მომზადებულნი არიან?*

— აქ იყო და არის აფხაზეთის რესპუბლიკის სასაზღვრო რაზმი. ამჟამად ისინი დასახულ ამოცანას შეუზღუდავად ასრულებენ. ჩვენ საზღვრის უშუალო დაცვა 15 ივლისს დავიწყეთ. თუმცა, შეთანხმების თანახმად, ჩვენ გამშვები პუნქტების ერთობლივ დაცვას ვახორციელებთ; ანუ აფხაზეთში მოქალაქეების გადაადგილების კონტროლს აფხაზ მესაზღვრეებთან ერთად ვახდენთ. აფხაზი მესაზღვრეები მომზადებას ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში გაივლიან. აქ ადგილზე მათ პროფესიულ მომზადებას ვუტარებთ. რათა დროთა განმავლობაში მათ აფხაზეთის საზღვრის დაცვა საკუთარ თავზე აიღონ.

*— რუსეთის და აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრებმა სერგეი ლავროვმა და სერგეი შამბამ 2 ოქტომბერს სოხუმში მოქალაქეების უვიზო გადაადგილების შესახებ შეთანხმებას ხელი მოაწერეს. მაგრამ ცნობილია, რომ აქამდეც რუსები აფხაზეთში უვიზოდ გადაადგილდებოდნენ, ხოლო ბევრ აფხაზს რუსული საზღვარგარეთის პასპორტი აქვს. რას ცვლის ეს შეთანხმება?*

— ყველაფერი ეს უკვე კანონმდებლობით გაფორმდება, ამას სამართლებრივი საფუძველი ექნება. ამასობაში ადგილი აქვს გადაუდებელ საკითხებს, მაგალითად, ავადმყოფების ექსტრემალურ გაყვანას კრასნოდარში, როსტოვში. არიან მოსწავლეები, რომლებმაც რუსეთის ტერიტორიაზე, უმაღლეს სასწავლებლებში ჩააბარეს. მაგრამ ბევრს აფხაზური პასპორტი აქვს, რაც საზღვრის გადაკვეთისთვის არასაკმარისი იყო. აფხაზეთის ყველა მოქალაქემ ხომ ვერ მოასწრო რუსული უცხოური პასპორტების მიღება. დღეს კი, უვიზო გადაადგილების შეთანხმების შემდეგ განისაზღვრება ის დოკუმენტები, რომელთა საშუალებითაც ასევე შესაძლებელი გახდება საზღვრის გადაკვეთა.

*— ხმები დადის, რომ აფხაზებს ამასთანავე საკუთარი შიდა პასპორტების გამოყენება შეეძლებათ.*

— რატომაც არა, თუკი ეს სამთავრობო დონეზე დაკანონდება.

*— რუსეთ-აფხაზეთის საზღვარზე ხშირად რიგებია, განსაკუთრებით საკურორტო პერიოდში. ასეთი სიტუაცია შენარჩუნდება?*

— არა. ჩვენ უკვე რამდენიმე თათბირი ჩავატარეთ ყველა იმ უწყების წარმომადგენლებთან, რომლებზეც საკონტროლო-გამშვებ პუნქტებზე რიგების შემცირება არის დამოკიდებული. მუშაობა მიდის. რიგები შემცირდება.

*— რამდენად ხანგრძლივად დარჩებიან აქ რუსი მესაზღვრეები? სოჭში ოლიმპიადა 2014 წელს დასრულდება, ანუ მესაზღვრეები მინიმუმ ხუთ წელს დარჩებიან; მაქსიმუმ რამდენ ხანს?*

— მთავრობათაშორისი შეთანხმება პირველ ვადას ხუთი წლით განსაზღვრავს. შემდგომში აუცილებლობის მიხედვით ჩვენ ან გავაგრძელებთ საკუთარი ამოცანების შესრულებას, ანდა თუკი აფხაზური მხარე მზად იქნება, მათ საზღვრის დაცვის ფუნქციას გადავაბარებთ.

*— გჭირდებათ თუ არა თქვენ აქ საერთაშორისო დამკვირვებლები? საქართველოში ისინი მოქმედებენ და ამჟამად აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში შესვლას ცდილობენ.*

— რუსეთის „ფეესბეს" სასაზღვრო სამმართველოს თანამშრომლებს საერთაშორისო დამკვირვებლები არ გვჭირდება, მაგრამ ამავე დროს ისინი ჩვენ ხელს ვერ შეგვიშლიდნენ. ამის შესახებ გადაწყვეტილება პოლიტიკური ხასიათისაა. აფხაზეთის მთავრობა გადაწყვეტს, ეს მათ რამდენად სჭირდებათ.

*— როგორ იქცევიან ქართველები აფხაზეთთან სახმელეთო საზღვარზე?*

— საკმარისად კორექტულად და თავშეკავებულად როგორც რუს მესაზღვრეებთან, ასევე ადგილობრივ მოსახლეობასთან. ამასთან, არ უნდათ იმის ჩვენება, რომ ეს უკვე სახელმწიფო საზღვარია. ისინი სასაზღვრო დაცვას არ ახორციელებენ. ისინი საკუთარ სასაზღვრო რაიონებს საჯარისო და პოლიციური ქვედანაყოფებით იცავენ. მაგრამ ვფიქრობ, რომ დროთა განმავლობაში ჯანსაღი აზრი ამბიციებზე გაიმარჯვებს.

# ჟირინოვსკი ევროსაბჭოში ხმის უფლების ჩამორთმევით გვემუქრება

**ნანა მიშელაშვილი**

ვლადიმერ ჟირინოვსკი საქართველოს წინააღმდეგ ისევ გააქტიურადა. ამჯერად მან საქართველოსთვის ანგარიშის გასასწორებლად ევროსაბჭოს გამოყენება მოინდომა.

რუსეთის ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი ჟირინოვსკი ევროსაბჭო საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს დელეგაციისთვის ხმის უფლების ჩამორთმევის ინიციატივით გამოდის. რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ვიცე-სპიკერი ამ წინადადებას ჯერ სათათბიროს ქვედა პალატას გააცნობს, შემდეგ კი ევროსაბჭოს ზამთრის სესიაზე დააყენებს.

ჟირინოვსკი არც მალავს, რომ ეს იქნება პასუხი ქართული დელეგაციისთვის იმ საქციელზე, როცა რუსეთისთვის ხმის უფლების ჩამორთმევას ითხოვდნენ.

საქართველოს პარლამენტის წევრები ჟირინოვკის ამ წინადადებას აბსურდულს უწოდებენ. რუსეთის ეს წინადადება განუხორციელებელი რომ არის, ამაში ქართველი დეპუტატები დარწუმუნებელი არიან.

ვლადიმერ ჟირინოვსკი თავისი წინადადების გასამყარებლად ამბობს, რომ საქართველომ მოითხოვა სექტემბრის სესიაზე რუსეთისთვის ხმის უფლების შეჩერება, მაგრამ ეს რეზოლუცია არ მიიღეს, რადგან არგუმენტი სწორედ საქართველოს წინააღმდეგ იყო.

— ახლა კი, ევროკავშირის დასკვნაზე დაყრდნობით შესაძლებლობა გვაქვს ჩვენი მხრიდან გამოვიდეთ ინიციატივით, არ ვაღიაროთ საქართველოს დელეგაციის უფლებამოსილება და 2010 წლის იანვრის სესიაზე რეკომენდაციით მივმართავთ კომიტეტს, დააყენოს ეს ინიციატივა სტრასბურგის სესიაზე, — განაცხადა ჟირინოვსკიმ.

საპარლამენტო ოპოზიციისა და უმრავლესობის წევრები დარწმუნებული არიან, ჟირინოვსკის წინადადება უპერსპექტივოა და ნულის ტოლი.

ევროსაბჭოში საქართველოს პარლამენტის დელეგაციის წევრი გიორგი თარგამაძე მიიჩნევს, რომ ვლადიმერ ჟირინოვსკის პოზიცია გალმა შეედავეს, გამოღმა შეგრჩებას პრინციპის მცდელობაა.



გიორგი თარგამაძის თქმით, ევროსაბჭოში მსგავსი საკითხის დაყენების უფლება ნებისმიერ დეპუტატს აქვს, მაგრამ, პროცედურულადაც კი ამ საკითხის დაყენების პერსპექტივა თითქმის ნულის ტოლია.

— თავად ევროსაბჭოს რეზოლუციები ადასტურებს იმას, რომ თუკი ვინმეს მიმართ შეიძლება ჰქონდეს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეას პრეტენზია, ეს არის მხოლოდ და მხოლოდ რუსეთი. ევროპის საბჭოში დღეს განიხილება საკითხი მხოლოდ იმასთან დაკავშირებით, რომ რუსეთის ფედერაცია კი იმსახურებს უმკაცრეს სანქციებს, მაგრამ თავად რუსეთის გამოსასწორებლად, უკეთესი იქნება მათი გარიცხვა თუ პირიქით დატოვება, რომ ამ ევროპულმა ორგანიზაციამ ზეგავლენის უფრო მეტი ბერკეტები შეინარჩუნოს, — აღნიშნა გიორგი თარგამაძემ.

რაც შეეხება ზამთრის სესიას, გიორგი თარგამაძე მიიჩნევს, რომ ევროსაბჭოს იანვარში ძალიან რთული დილემის წინაშე აღმოჩნდება.

გიორგი თარგამაძის თქმით, ევროპის საბჭოს დეპუტატებიდან ზოგიერთი თვლის, რომ რუსეთი რამენაირად დაუახლოვდეს ევროპულ სტანდარტებს, მაგრამ ეს იმედიანობა დაახლოებით 10 წელია გრძელდება, ანუ მას შემდეგ, რაც რუსეთი მიიღეს ევროპის საბჭოში.

— ევროპის მაშინდელი პოლიტიკური ლიდერების განცხადებები ამოვიღე და ვნახე, რომ ევროპის საბჭოში რუსეთის მიღებით იმედს გამოთქვამდნენ, რომ ევროპა რუსეთს შეცვლიდა. დღეს იმის საფრთხე დგას, რომ რუსეთმა თავის თამაშის წესები უკარნახოს ევროპას. იანვარში აღარ დგება საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობების პრობლემა, იანვარში განიხილება ევროპის მიერ საკუთარი სახის და საკუთარი ღირებულებებისადმი ერთგულების საკითხი. ევროპის საბჭომ იანვარში უნდა გადაწყვიტოს, რა ელის ევროპულ თანამეგობრობასა და რუსეთს შორის მომავალს: იღებს იმ თამაშის წესებს, რომელსაც რუსეთი სთავაზობს? თუ პირიქით, ირჩევს აქტიური მოქმედების ტაქტიკას, ეს ყველაფერი იანვარში გამოჩნდება, — ასეთია გიორგი თარგამაძის შეფასება.

ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ, ევროსაბჭოში საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის წევრი დავით დარჩიაშვილი ვლადიმერ ჟირინოვსკის განცხადებას საქართველოსთვის ევროპის საბჭოში ხმის ჩამორთმევასთან დაკავშირებით განცხადებას მორიგ აბსურდად აფასებს.

— თუკი საკითხი დადგა ევროპის საბჭოში ხმის ჩამორთმევაზე, ეს უნდა გამომდინარეობდეს ევროპის საბჭოს წინაშე აღებული ვალდებულებების არშესრულებაზე, ასეთ რამეს ადგილი არა აქვს. ამას თავად ევროპის საბჭო ადასტურებს თავის ბოლო რეზოლუციით. როდესაც ეყრდნობა წინა რეზოლუციებს, ამბობს, რომ საქართველო თითქმის ყველაფერს ასრულებს, რუსეთი კი არაფერს ასრულებს, პირიქით, აუარესებს მდგომარეობას. ამ დროს, გაღმით შეედავე, გამოღმა შეგრჩებაო, ეს ჟირინოვსკისთვის ნაცნობი ლოგიკაა, მაგრამ ევროპის საბჭოსთვის — არა, — აღნიშნა დავით დარჩიაშვილმა.

იგი მიიჩნევს, რომ ჟირინოვსკი შიდა პოლიტიკურ საზოგადოებაზე მუშაობს და ჰგონია, რუსეთში რაღაც ქულებს მოიპოვებს.

პროცედურის მიხედვით, იმისათვის, რომ საკითხი ევროსაბჭოს დღის წესრიგში შევიდეს, 20 ხმა სჭირდება, სანამ საკითხი განსახილველად გავა, უნდა გაიაროს მონიტორინგის კომიტეტი და სხვა კომიტეტები, საკითხის გასვლას კი დეპუტატთა ორი მესამედის მხარდაჭერა სჭირდება.



# ნინო ბურჯანაძის წყნეთის აგარაკის აუქციონი ჩაიშალა

თბილისის საგადასახადო ინსპექციაში "დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს" ლიდერისთვის ნინო ბურჯანაძისთვის ჩამორთმეული წყნეთის აგარაკის აუქციონი ჩაიშალა.

როგორც „მედიანიუსს"ფინანსთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განუცხადეს, აუქციონის ჩაშლის მიზეზი მყიდველთა განაცხადების არ არსებობობა გახდა. მათი თქმით, მეორე აქციონი ორი კვირის შემდეგ დაინიშნება და აგარაკის ფასი განახევრდება, ხოლო თუ მანადე შესაბამის სამსახურში აგარაკის შესყიდვის მსურველთა განაცხადები ისევ არ შევა, აუქციონი მეორედ ჩაიშლება და აგარაკი სახელმწიფო საკუთრებაში გადავა.

ნინო ბურჯანაძისთვის ჩამორთმეული, აუქციონზე გასაყიდი ქონების ფასი ამჟამად 11 494 249 ლარად არის შეფასებული.

აღნიშნული აგარაკი ნინო ბურჯანაძეს 2008 წელს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა პირადად გადასცა.

**მედიანიუსი**

# აშშ საქართველოს 50 მილიონი დოლარით დაეხმარება

აშშ-ის მთავრობა საქართველოს 50 მილიონი აშშ დოლარით დაეხმარება. აშშ-ის განვითარების სააგენტოს ინფორმაციით, ეს თანხა აშშ-ის მიერ საქართველოსათვის შეპირებული ერთი მილიარდი დოლარის ნაწილია, რომელიც საშუალებას მისცემს ქვეყანას 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ისევ სტაბილური გახდეს და ეკონომიკა ააღორძინოს.

აღნიშნული თანხიდან 9 221 000 დოლარი სკოლების რეაბილიტაციას, 1 558 000 დოლარი იძულებით გადაადგილებულ პირთა რეინტეგრაციას, 16 550 000 დოლარი ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის განხორციელებას, 12 300 000 დოლარი შიდა ქართლში აგრარული სფეროს განვითარების პროგრამის მეორე ფაზის დაფინანსებას, 2 144 000 დოლარი ომის შემდეგ ნაღმებისა და ფეთქებადი ნარჩენებისაგან შესაბამისი ტერიტორიების გაწმენდას, 872 000 დოლარი კი საზღვაო დაცვის სფეროს დაფინანსებას მოხმარდება.

**მედიანიუსი**

# ლაგოდეხში წყლის ონკანებზე მრიცხველებს ამონტაჟებენ

ლაგოდეხში წყლის ონკანებზე მრიცხველების დამონტაჟება დაიწყო. ამჯერად მრიცხველის დაყენება მხოლოდ სახელმწიფო დაწესებულებებს და კერძო კომპანიებს ევალება.

აღნიშნული გადაწყვეტილება „აღმოსავლეთის წყალმა" მიიღო, რომელიც თავის მხრივ სასმელი წყლის ხარისხზეა პასუხისმგებელი.

როგორც რადიო „ჰერეთს" ლაგოდეხის გამგებელმა გია გოზალიშვილმა განუცხადა, კომპანია იღებს ვალდებულებას, რომ მოსახლეობას სასმელად ვარგისი წყალი მიაწოდოს.

წინასწარი ინფორმაციით, სახელმწიფო დაწესებულებები და კერძო კომპანიები ერთ კუბურ მეტრ წყალში 50 თეთრს გადაიხდიან.

როდის დაიწყება მრიცხველების დამონტაჟება უშუალოდ მოსახლეობაში, ამის შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება, თუმცა გამგებლის განცხადებით, რიგითი ოჯახების გადასახადი შედარებით იაფი იქნება და სავარაუდოდ ერთი კუბური მეტრი წყალი 5 თეთრი ეღირება.

**მედიანიუსი**

# ხელისუფლება რკინიგზის გაყიდვას გეგმავს?

## რა მიზანს ისახავდა პარლამენტში სააკაშვილის გამოსვლა

**გიორგი უ ილაური**

საქართველოს პრეზიდენტმა გუშინწინ პარლამენტში წარადგინა ეკონომიკის ლიბერალიზაციის პროექტი, იგივე ეკნომიკური თავისუფლების აქტი, რომელიც, მისი აზრით, იქცევა ქვეყნის უკეთესი განვითარების გარანტად და ქვეყანას კიდევ უფრო გახსნის გლობალიზაციისთვის.

პრეზიდენტი ირწმუნება, რომ საქართველოს გზა არის ლიბერალური განვითარება, ხოლო მოქმედების ტაქტიკა იგივეა, როგორც ერთი დიდი კომპანიის, სადაც ყველა, მიუხედავად პარტიული ან ეთნიკური კუთვნილებისა ერთად მუშაობს ამ კომპანიის წარმატებაზე. პრეზიდენტმა ჩვეული შემართებით ახალი და საზოგადოებისთვის სასიამოვნო დავალებები მისცა სოცუზრუნველყოფის მინისტრს, რომელიც მზადაა კიდევ უფრო დაეხმაროს გაჭირვებულებს. ფინანსთა სამინისტროს დაევალა ვალების შემცირება, მთლიანად ხელისუფლებას ქამრების შემოჭერა და გადასახადების განსაზღვრის დათმობა ხალხისთვის, რომელიც თავად, რეფერენდუმის გზით გადაწყვეტს ოდენობას. სახელმწიფო უარს იტყვის წილებზე ისეთ დაწესებულებებში, როგორიც ბანკებია, ვალი და დეფიციტი შეიზღუდება; მოკლედ, ლიბერალური რეფორმები ღრმავდება, ქვეყანა მეტად იხსნება ინვესტიციებისთვის და ბიუჯეტი ორიენტირებული ხდება ჩვეულებრივ ხალხზე. ხოლო იმისთვის, რომ ლიბერალური ორიენტაცია მომავალში არ შეირყეს, პრეზიდენტის ნოვაცია აისახება კონსტიტუციაში. პრეზიდენტის ამ გამოსვლასაც, რა თქმა უნდა, მოჰყვა პარლამენტის ტაში ფეხზე დგომით, აღფრთოვანება და უმრავლესობის დაუფარავი სიამაყე.ოფიციალური ტონის გარეშე კი პრეზიდენტის, თუ მისი გუნდის ეკონომიკური „შედევრი" სრული აბსურდი და გაუგებრობაა. პრეზიდენტის ლოგიკით, 2004 წლიდან 2010 წლამდე არსებული ბიუჯეტები არ ყოფილა ხალხზე ორიენტირებული, სიმართლე ითქვას, ეს მართლაც ასეა, რადგან ბიუჯეტი ხმარდებოდა ძირითადად მილიტარიზაციას, ხოლო სოციალურ ინიციატივებში ითვლებოდა 1 ან 3 თვიანი „დასაქმების პროგრამები", რომლებიც რეალურად იყო ბიზნესმენებისთვის ფულის ერთჯერადი შეწერვები. „ვარდების რევოლუციის" შემდეგ მოსახლეობის მდგომარეობა ყოველწლიურად უარესდებოდა, რასაც ხელს უწყობდა ხელისუფლებაში მიმდინარე „ოპტიმიზაციების" შედეგად ზრდადი უმუშევართა არმია.

პრეზიდენტის ახალი ინიციატივა კი კიდევ უფრო გაზრდის ამ არმიის რაოდენობას. რამდენად სასიხარულო უნდა იყოს ეს ამბავი მოსახლეობისთვის გაუგებარია, მით უმეტეს, რომ ოპტიმიზაცია ეხება არა ელიტებს და მმართველ ჯგუფებს, არამედ უბრალო ადამიანებს, პროტექტორებისა და „კრიშების" გარეშე. ამ ნაბიჯით სააკაშვილს სურს დაარწმუნოს ხალხი, რომ იზიარებს მის გაჭირვებას და თვითონაც იჭირვებს, თუმცა, ყველამ იცის, რომ ოპტიმიზაციის პარალელურად სახელმწიფო დაწესებულებების ხელმძღვანელები არ ივიწყებენ საკუთარი თავისა და ერთგული მოადგილეებისთვის ათასიანი და ათობით ათასიანი პრემიების დანიშვნას. უბრალო ხალხის გაშვებით კი თავისუფლდება დამატებითი ხარჯები ამ პრემიების უზრუნველსაყოფად. ახალი მილიტარიზაციისთვის ფული არ არის იმიტომ, რომ სააკაშვილის აგვისტოს ავანტიურამ დააფრთხო ინვესტორები, შესაბამისად საჭირო ხდება ახალი შემოსავლების ძიება, თუმცა, ახალი შემცირებები სახელმწიფო სტრუქტურებში სიტუაციას ვერ შველის, ამიტომაც სააკაშვილმა „მეტი ლიბერალიზაციის" ლოზუნგით გადაწყვიტა გაყიდოს სახელმწიფოს ის აქტივებიც, რომელიც შემორჩენილი ჰქონდა. ახლო მომავალში ისინიც გაიყიდება, ხელები გაეხსნება ხელისუფლებას რკინიგზის გაყიდვაზეც, ახლო მომავალში კი შეიძლება ცალკეული სტრუქტურებიც გაიყიდოს. ასევე მოსალოდნელია არსებული, მაგრამ სხვადასხვა მიზეზებით არარენტაბელური საწარმოების ეროვნული გაკოტრება და მათი თავიდან გაყიდვა. ამას ემატება საგადასახადო სამსახურის მიერ ბაზრობებისთვის შეწერილი მილიონები და დაპირება გადასახადების გაზრდაზე, სახელმწიფო ნარკობიზნესიდან შემოსული მოგება და საპროცესო შეთანხმებები, რაც საბოლოოდ საკმარისი უნდა იყოს მომავალი არჩევნებისთვის და მორიგი ტრიუმფალური გამარჯვებისთვის.

ამ თაიგულში საპატიო ადგილი უკავია სრულიად აბსურდულ ინიციატივას — გადასახადები მოსახლეობამ განსაზღვროს რეფერენდუმის გზით. ამ ინიციატივას სიბრიყვის გარდა სხვა არაფერი ჰქვია. ხალხი, ანუ უმრავლესობა მუდმივად და ბუნებრივად ილვწის გადასახადების შემცირებისა და გაუქმებისთვის, ხოლო ხელისუფლება, ანუ მმართველი კლასის უმცირესობა მუდმივად უწევს წინააღმდეგობას მას, რათა სიკვდილივით გარდაუვალად აქციოს გადასახადები. სააკაშვილის ინიციატივა კი თეორიულად უშვებს ამ აქსიომის რღვევას, რადგან შესაძლებლობის შემთხვევაში, ყველა ნორმალური და მით უმეტეს, საქართველოს მკვიდრი ხმას მისცემს გადასახადების საერთოდ გაუქმებას. ჯერ ერთი, საეჭვოა, რომ ეს ინიციატივა განხორციელდეს და მეორეც, საეჭვოა, რომ განხორციელებისას მან შედეგი გამოიღოს ხალხისთვის. თუ ეს აბსურდი განხორციელდება, მაშინ მხოლოდ იმისთვის, რომ ხელისუფლებამ ფაქტის წინაშე დააყენოს ხალხი — თქვენვე გადაწყვიტეთ ასეთი გადასახადი და გადაიხადეთო!

პრეზიდენტის ეკონომიკურ აბდაუბდაში გამოირჩეოდა კორუფციის ხსენება, აქამდე სააკაშვილი ტრაბახობდა, რომ მის რეჟიმში კორუფცია არ არის, ახლა კი ახალი ეკონომიკური პროექტით თურმე ვილაცებს აღარ შეეძლებათ სახელმწიფოს კუთვნილი ქონების მითვისება, რადგან სახელმწიფო ამ ქონებაზე უარს ამბობს. მაგრამ პრობლემა ისაა, რომ საქართველოში კორუფცია იწყება არა საწარმოს დირექტორობიდან, არამედ ბევრად ადრე, სანამ დაიწყება აუქციონები და ტენდერები, რომლებშიც გამარჯვება შეუძლია მხოლოდ ვიწრო ჯგუფს და ისიც პატივისცემით, ხოლო დირექტორები არსებობენ იმისთვის, რომ საჭიროებისას მათ შეეწმინდოთ ხელები. სააკაშვილის ახალ ეკონომიკურ პროექტში კორუფცია შეზღუდული კი არა წახალისებულია, მაგრამ არა საერთოდ, არამედ მხოლოდ კორუმპირებული ელიტისთვის. სახელმწიფო უარს იტყვის თავის წილზე, მაგრამ ვინც მოინდომებს მის ყიდვას, მან პატივი უნდა სცეს ჩინოსანს, თუ მყიდველი თავად ჩინოსანია, ის გადაიხდის მიზერს, მაგრამ საჭიროებისას მზად იქნება ფული შეიწეროს ლიბერალური დემოკრატიისთვის. სოციალური



პროგრამები კორუფციის ცნობილი კერაა და ყველამ იცის, როგორ მუშაობს ის. როგორ დაისჯებიან ურჩი ან სუსტი ორგანიზაციები, ესეც ცნობილია, შესაბამისი დავალებით ზემოდან. მოკლედ, სააკაშვილის ახალი, ეკონომიკის ლიბერალიზაციის პროექტით მდიდრები უფრო გამდიდრდებიან, ხოლო ღარიბები უფრო გაღარიბდებიან, კორუფცია კი გაიზრდება. და ბოლოს, თავად პათოსზე — ლიბერალური დემოკრატიის არჩეულ გზაზე. ლიბერალურმა დემოკრატიამ თავისი თავი ამოჭამა, ბაზრის თავისუფლებამ და სახელმწიფო რეგულირებისა და კონტროლის მოხსნამ შედეგად მოიტანა 2008 წელს დაწყებული მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, რომელმაც თავის მხრივ აიძულა ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნები შეეცვალათ ჩვეული შეხედულებები და კვლავ სახელმწიფო რეგულირების გზები ეძიათ. სააკაშვილის ეკონომიკური ინიციატივები პრინციპულად ჩამორჩება მსოფლიო ტენდენციებს და მიუხედავად იმისა, რომ საქართველო, როგორც ჩამორჩენილი ქვეყანა, სრულად არ არის მიბმული მსოფლიო ეკონომიკურ დინებებს, ამგვარი ექსპერიმენტები არამარტო მოძველებული, საშიში და სასაცილოცაა. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს ინიციატივა რეალურად მიზნად ისახავს არა ქვეყნის განვითარებას, არამედ სააკაშვილის რეჟიმის გადარჩენასა და ეროვნული ქონების გასხვისებას, მაშინ გასაკვირი არაა, რომ პარლამენტი ამ იდიოტიზმს ფეხზე დგომით უკრავდა ტაშს.

# საქართველოში ბიზნესმენები დაუცველები არიან

შორენა გონგლა ე

## ინტერვიუ პარტია „მომავალი საქართველოს“ ლიდერ გიორგი ლაღიძესთან

***— ბატონო გიორგი, საქართველოში გაეროს მისიამ ფუნქციონირება შეწყვიტა, როგორ ფიქრობთ, ხომ არ გაიზრდება პროვოკაციების საფრთხე?***

— სამწუხარო ფაქტია, რომ საქართველოში შეწყდა გაეროს მისიის ფუნქციონირება. მაშინ, როდესაც ქვეყანაში არ არსებობს უსაფრთხოების არანაირი გარანტიები, კიდევ ერთი საერთაშორისო მისიის შეწყვეტა ქვეყანაში, რა თქმა უნდა, გაზრდის პროვოკაციის საფრთხეს. სიმართე გითხრათ, ეს ყველაფერი არის ჩვენი ხელისუფლების უნიათობის ბრალი, მათ ძალიან გვიან ამოიღეს ხმა, როდესაც გაერომ ჯერ კიდევ ერთი თვის წინ მიიღო შუალედური დოკუმენტი, სადაც აფხაზეთი არ იყო საქართველოს შემადგენელ ნაწილად მოხსენიებული. ამ დოკუმენტის მიღებამდე უნდა დაეწყოთ ქართველ დიპლომატებს აქტიური პროტესტი და შესაძლებელია დღეს უფრო გაცილებით მყარი პოზიციები გვქონოდა. ისიც გასათვალისწინებელია, რა თქმა უნდა, რომ თვითონ რუსეთი არის გაეროს წევრი ქვეყანა და შესაძლოა ჩვენ საბოლოო სახით მაინც ვერ გაგვეტანა ეს საკითხი, თუმცა, გაცილებით მეტად რეზონანსული იქნებოდა ეს ყველაფერი. საერთო ჯამში მიმაჩნია, რომ ჩვენმა დიპლომატიამ საკმაოდ სუსტად იმუშავა. მე არ ვეთანხმები იმ აზრს, რომ ქართულმა დიპლომატიამ გარკვეულ წარმატებებს მიაღწია, მე ამას ნამდვილად ვერ დავეთანხმები, ფაქტია, რომ ქვეყანაში შეწყდა საერთაშორისო მისიის ფუნქციონირება, რომელიც აქ იყო თხუთმეტი წლის განმავლობაში, მე მაინტერესებს, რა უსაფრთხოების გარანტიები ექნებათ იმ ადამიანებს, რომლებიც ცხოვრობენ კონფლიქტის ზონაში. ამიტომ ჩვენმა ხელისუფლებამ უნდა მოიკრიბოს კეთილგონიერება და მაქსიმალურად გაააქტიუროს მუშაობა საგარეო ურთიერთობებში. სხვა შემთხვევაში კიდევ უფრო გაიზრდება პროვოკაციის საფრთხე. ამ დანაშაულში დიდი წვლილი მიუძღვის ჩვენს ხელისუფლებას, ამ დოკუმენტის მიღებაში.

***— თუმცა, უნდა ითქვას, რომ ეს არ არის რუსეთთან მიმართებაში პირველი უკან დახევა...***

— მე ვიტყოდი, რომ ევროპა და ამერიკის შეერთებული შტატები ცალსახად გვიჭერენ მხარს, ისინი აღიარებენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, თუმცა, ეს არ არის საკმარისი. მე ვფიქრობ, რომ ევროპის მხრიდან პოზიციის დაფიქსირება არის ერთი და მკაცრი და ხისტი პოზიციის დაკავება — მეორე. მაგრამ, სამწუხაროდ, იკვეთება, რომ საქართველოს გამო რუსეთთან თუნდაც დიპლომატიურ კონფლიქტს არავინ არ აპირებს. ასევე ჩვენმა დიპლომატიამ, რომლის სისუსტესაც დღეს მე ვხედავ, უნდა იმუშაოს იგივე საქართველოს მეგობარ ქვეყნებთან, სხვა სახელმწიფოებთან, იმ თვალსაზრისით, რომ მათი პოზიცია იყოს უფრო მკაცრი და უფრო მომთხოვნი რუსეთთან მიმართებაში. დღეს სხვა არანაირი ბერკეტი არ გაგვაჩნია, რომ შევაჩეროთ რუსეთის აგრესია. მუდმივად აპელირებს რუსეთი იმ თემით, რომ კვლავ განახლდება შეიარაღებული დაპირისპირება, ჩვენ ვიცით, რომ ომის დაწყებამდეც სწორედ ანალოგიური განცხადებები ისმოდა რუსეთიდან, ეს ხომ არ არის კიდევ ერთი აგრესიის წინაპირობა? ამიტომ ერთადერთი, რაც ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ, ის არის, რომ დავხვეწოთ საგარეო ურთიერთობები.

***— როგორ ფიქრობთ, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველო დღემდე არის საომარ ვითარებაში, ამ ყველაფერმა, ხომ არ დააკარგვინა საქართველოს საერთაშორისო არენაზე სტრატეგიული პარტნიორის სტატუსი?***

— სამწუხაროდ, აგვისტოს ომის შემდგომ საქართველომ ნაწილობრივ დაკარგა თავისი ფუნქციები, ვხედავთ, რომ მთელი ეს პერიოდი მიმდინარეობს უკუსვლა და ხელისუფლება იმის მაგივრად, რომ გადასული იყოს საგარეო და საშინაო პოლიტიკის ეფექტურად მუშაობაზე, ისინი ძირითადად გადასული არიან პიარზე, რაც რეალურად ქვეყანაში დადებით ფონს ვერც ერთი თვალსაზრისით ვერ შექმნის. თუ ასე გაგრძელდა, საქართველო საბოლოოდ დაკარგავს კავკასიის რეგიონში ლიდერი ქვეყნის ფუნქციას და ამას შეიძლება მოჰყვეს ძალიან ბევრი ნეგატიური მოვლენა. უცხო ქვეყნებისთვის მისაღები იქნება საქართველო მაშინ, როდესაც იქნება ეკონომიკურად მდგრადი, იქნება კარგი საგადასახადო გარემო და ასე შემდეგ. მართალია ბოლო წლებში გაცილებით გაუმჯობესდა საგადასახადო კანონი, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს არ არის საკმარისი და მეტი მუშაობაა საჭირო. ბიზნესმენი, რომელიც ჩამოვა საქართველოში და ჩადებს ინვესტიციებს, მას უნდა ჰქონდეს მყარი გარანტია იმისა, რომ მის კერძო საკუთარება, მის ბიზნესს არავინ არ შეეხება. ჩვენი ხელისუფლების უგუნურმა პოლიტკამ, როდესაც მიადგნენ და ანგრევდნენ შენობებს, არღვევდნენ კერძო საკუთრების უფლებას, სწორედ ამან შეურყია საქართველოს საერთაშორისო იმიჯი, ამ ყველაფერს კარგად ხედავენ საერთაშორისო ორგანიზაციები და პრაქტიკულად ამან დააფრთხო ბიზნესმენები.



***— თუმცა, ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ ამერიკამ და ევროპამ საქართველოში მიმდინარე ორთვიანი აქციები დემოკრატიის უმაღლეს გამოვლინებად მიიჩნია და ამისთვის სააკაშვილმაც არაერთხელ დაიმსახურა უცხოელი მეგობრების შექება.***

— სამწუხაროდ, სახელისუფლებო არხები ძირითადად ახმოვანებენ მხოლოდ იმას, რაც აწყობს ხელისუფლებას. საერთო ჯამში, ხელისუფლებამ ამ აქციებთან დაკავშირებით, როგორც ჩანს, მოუხმო კეთილგონიერებას, თუმცა, სიმართლე გითხრათ, მეეჭვება, რომ ეს ყველაფერი იყოს ჩვენი ხელისუფლების ნააზრევი. რაც შეეხება მიტინგების გამართვას, მე კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ეს აქციები არ არის შედეგზე ორიენტირებული, ეს უფრო მგონია ოპოზიციის მხრიდან ორთქლის გამოშვების პოლიტიკა, ხალხის უკმაყოფილება იღვრება რუსთაველზე და ვდგავართ ფაქტიურად იმ წერტილზე, სადაც ვიყავით. ჩემი აზრით, ეს არის ერთი ადამიანის გამო, ეს არის ნინო ბურჯანაძე, რომელსაც თავისი გადაწყვეტილებების ტყვეობაში ჰყავს ოპოზიციის ლიდერები. ის ხელს უშლის ოპოზიციას, გადავიდეს ბრძოლის სხვა ფორმაზე, ეს არის ძალიან ცუდი და პირად ამბიციებს არ უნდა გადავაყოლოთ ხალხის სამართლიანი მოთხოვნა, რის გამოც ხალხი ორ თვეზე მეტია ითხოვს და ამას დღემდე არანაირი შედეგი არ მოჰყოლია. ეს ე.წ. რადიკალური ოპოზიცია დაკარგავს იმასაც, რასაც ხელისუფლება სთავაზობს. მე მიმაჩნია, რომ თუ გინდა მართვის სადავეების ხელში აღება, ოპოზიციამ თავისი პოლიტიკა უნდა შეცვალოს. ისე ოპოზიცია ვერაფერს ვერ მიაღწევს ამ ხელისუფლების პირობებში.

---

# ლომაიამ გაეროს შეურაცხყოფა მიაყენა

დასაწყისი მე-6 გვერდზე

ზონიდან რომ გამოვიდნენ და გორი და თბილისი დაბომბეს, ამაში არიან ისინი სამართლებრივად დამნაშავენი. ძალის გადამეტებაში დაადანაშაულა რუსეთი საერთაშორისო თანამეგობრობამ, თორემ სროლის უფლება ჩვენ მათ მივანიჭეთ. გავიწყდებათ კახა ლომაიას განცხადებები: ცხინვალი აღგვილია პირისაგან მიწისაო. მერე კი აღმოჩნდა, რომ იქ მხოლოდ რამდენიმე შენობა იყო დანგრეული. რას ისახავდა მიზნად ეს განცხადებები? ამან მხოლოდ ხელი შეუწყო რუსეთს აგრესიაში. ეს არის შულავერის კომიტეტი, ეს არის საქართველოში მეხუთე კოლონა, რომელიც ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ქართული სახელმწიფო დაშალოს და გაანადგუროს.

***— რა ხდება რაჭაში, რა ინფორმაციას ფლობთ? როგორც ჩანს, ხელისუფლება ამ რაიონში რაიმე პრობლემას ვერ ხედავს.***

— ამ კუთხით არანაირი განცხადებები არ კეთდება, ისევე, როგორც თავის დროზე არ კეთდებოდა განცხადებები იმის თაობაზე, რომ ახალგორი მიაკუთვნეს ე.წ. სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციას. აი, იქ იყო ჩადებული ის, რომ ომი უნდა დაწყებულიყო. ეს გადაწყვეტილება მიიღეს მაშინ, როდესაც კრიმინალი სანაკოევი წარმოადგინეს სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტად და ამას პარლამენტიც ტაშს უკრავდა, როდესაც ჯავახეთის, ქვემო ქართლისა თუ ლაგოდეხის სოფლები ისე გადაეცა სხვა ქვეყნის იურისდიქციას, რომ არანაირი განცხადება არ გაკეთებულა ამასთან დაკავშირებით. ახლა მიდის სტრატეგიული სიმაღლეებისა და პრინციპული პოზიციების დათმობა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სასაზღვრო ჯარი 20 კილომეტრის აქეთ რომ არის განლაგებული, ამას ვერავინ უარყოფს.

***— ბატონო მამუკა, გამოდის, რაჭასაც რუსეთს ვუთმობთ?***

— ე.ი. იმ სტრატეგიულ სიმაღლეებს, რომლებიც იქნება გამოყენებული საქართველოს წინააღმდეგ, ეს ხალხი უბრძოლველად თმობს. ამიტომ მოიყვანეს სააკაშვილი ხელისუფლებაში, ამიტომ ინარჩუნებს დღეს რუსეთი სააკაშვილს, რომ მან უნდა შეასრულოს ის ვალდებულებები, რომლებიც აღებული აქვს თავის დროზე რუსეთის წინაშე. ქართველ ხალხს კარგად ახსოვს, რამდენიმე წლის წინ პუტინისა და სააკაშვილის პირდაპირ პრესკონფერენციაზე პუტინმა უთხრა სააკაშვილს: ვალდებულებებს შესრულება უნდა, შეასრულეთ ეს ვალდებულებებიო. შესაბამისად, ხდება ამ ვალდებულებების შესრულება, ხოლო ქართველი საზოგადოება ამას ძალიან მშვიდად და გულგრილად უყურებს. ამ ფაქტებზე არ ვაკეთებთ შესაბამის რეაგირებას და არა ვართ მოვლენების ადეკვატურნი. სააკაშვილი იქცევა ისე, როგორც უნდა იყოს ის ადეკვატური. სააკაშვილი არ უშვებს შეცდომებს, ის სჩადის დანაშაულს. ჩვენ კი ვუშვებთ უდიდეს შეცდომებს, რომლებიც დანაშაულზე მეტია. ამიტომ უნდა გამოვფხიზლდეთ, შესაბამისად, ის ხალხი, რომელიც ამ საფრთხეს გრძნობს, უნდა დადგეს ერთად და უმოკლეს ვადაში გაუშვას სააკაშვილი საქართველოდან. პრაქტიკულად, ის, რაც დღეს ხდება რუსთაველის გამზირზე ან რაც ხდებოდა ორი წლის წინ საქართველოში, არის არა ბრძოლა, არამედ ბრძოლის იმიტაცია სააკაშვილის წინააღმდეგ და ეს იმიტაცია ძალიან ძვირად გვიჯდება. საჭიროა რეალური ბრძლა და არა ბრძოლის ის იმიტაცია, რომელსაც ამჟამად აქვს ადგილი. ხანდახან ისეთი ეჭვიც იქმნება, რომ ეს ბრძოლის იმიტაცია სააკაშვილის რეჟიმის გასახანგრძლივებლად მიმდინარეობს.

***— ბატონო მამუკა, თქვენ მუდმივად საუბრობთ რეალური ბრძოლის აუცილებლობაზე. რატომ ვერ ხერხდება ეს და არის თუ არა ეს ოპოზიციის არასწორი გათვლების ან ნაკლები პოლიტიკური გამოცდილების ბრალი?***

— იმიტომ ვერ წარმოებს, რომ გარკვეულწილად გამოცდილებისა და ცოდნის დეფიციტია. ამ ხალხის ნაწილი სააკაშვილის განაყოფია და იმავე საქმეს ემსახურება, რომელსაც სააკაშვილი. სამწუხაროდ, ჯანსაღი ოპოზიციური ნაწილი შექმნილ სიტუაციაში გამოეკიდა უაზრო, ცრუ ერთიანობას და ვერ ხედავს იმ საფრთხეს, რომ ამ ერთიანობას კრიტიკულ მომენტში, როდესაც სააკაშვილს დასჭირდება, დაშლიან. მრავალი მოტივაცია და მიზანია ე.წ. ოპოზიციურ ბანაკში. ზოგს თავისი კერძო მიზანი აქვს, ზოგი რუსეთს ემსახურება, ზოგი სააკაშვილთან არის შეკრული, ზოგს ღირსება და ტვინი არ ყოფნის, მაგრამ, ვისაც ეს ყველაფერი ყოფნის, ვინც რეალურად იბრძვის სააკაშვილის წინააღმდეგ, ვისაც ქართული ჯიგარი აქვს, იმან დროზე უნდა მიიღოს გადაწყვეტილებები და ჩამოყალიბდეს ის ერთიანი ძალა, რომელიც გადაარჩენს ქვეყანას, სააკაშვილს გაუშვებს ხელისუფლებიდან და საქართველოში ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობას დაიწყებს.

***— სააკაშვილმა რუსულ ინტერესებში ბურჯანაძე ამხილა, ბურჯანაძე კი პრეზიდენტის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებს რუსეთთან მისი კავშირის ბრალდების გამო. შეძლებს სააკაშვილი რადიკალი ბურჯანაძისთვის რუსეთთან ფარული კავშირის დადასტურებას?***

— პირველი — სააკაშვილს გააჩნია ყველანაირი ძალაუფლება იმისათვის, რომ ეს დოკუმენტურად დადოს, დადოს ყველა ის დარღვევა-დანაშაული, რომელიც ჩაიდინა ბურჯანაძემ ან მათ — ერთად. ამიტომ, ელემენტარულად, სააკაშვილის მხრიდან ნებისმიერი ადამიანის მოხსენიებას და ამ კუთხით გამოყოფას უფრო სხვა მიზანი აქვს. ეს პარტნიორის გამორჩევას უფრო ჰგავს. სააკაშვილს აწყობს ამ კუთხით ბურჯანაძის წამოწევა, რადგან იცის, რომ ისინი ერთად მონაწილეობდნენ ქვეყნის დანგრევაში. ბურჯანაძე და სააკაშვილი ერთად ქმნიდნენ სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციას, ერთად ეფერებოდნენ რუსეთის ხელისუფლებას და ერთად აყალბებდნენ არჩევნებს.

***— თუმცა დღეს ბურჯანაძე ოპოზიციაშია და თანაც საკმაოდ რადიკალურია...***

— ვიმეორებ, ხელისუფლებას აწყობს ბურჯანაძისნაირი მოწინააღმდეგე, იმიტომ, რომ ბურჯანაძე ვერ წაუყენებს სააკაშვილს ბრალდებას, რას ნიშნავდა ახალგორის მიკუთვნება სამხრეთ ოსეთისთვის. ბურჯანაძე ვერ წაუყენებს სააკაშვილს ბრალდებას, რას ნიშნავდა საკონსტიტუციო ცვლილებებით 2004 წელს საპრეზიდენტო უფლებამოსილების გაფართოება სააკაშვილისთვის, რას ნიშნავდა 7 ნოემბერი და კოდორისთვის ზემო აფხაზეთის დარქმევა.

***— ბურჯანაძემ ღია ეთერში განაცხადა, რომ დღეს სააკაშვილს ყველაზე მეტად ბურჯანაძის ეშინია. რატომ ეშინია?***

— იმიტომ აცხადებს, რომ იციან, ისინი სპარინგ-პატრნიორები არიან. იმას ხომ არ იტყვის ბურჯანაძე, მე უძალო ვარ და ჩემი არ ეშინიაო. ბუნებრივია, მან თავი უნდა იქოს, მაგრამ, როცა სააკაშვილი გამოყოფს ბურჯანაძეს ოპოზიციური სპექტრისაგან, სწორედ ეს არის საეჭვო. სააკაშვილმა იცის, რომ იმ კანონებზე, რომელმაც დალუპა საქართველო, იმავე ბურჯანაძის ხელმოწერაა.

***— თუკი რეალურად აქვს სააკაშვილს ბურჯანაძის წინააღმდეგ რაიმე მტკიცებულება, რატომ არ აპატიმრებს? დამაპატიმროსო, ბურჯანაძემ ღია ეთერშიც განაცხადა.***

— ამ საკითხებზე სააკაშვილი ბურჯანაძეს ვერ დაიჭერს. ისინი დანაშაულს ერთად სჩადიოდნენ, ამ უკანონობას ერთად ახორციელებდნენ. ეს ერთი მომენტი, მეორეც, დღეს სრულიადაც არ სჭირდება სააკაშვილს ბურჯანაძის დაჭერა. დაჭერილი ჰყავდა ოქრუაშვილი და გაუშვა. რაში სჭირდება სააკაშვილს ბურჯანაძის დაჭერა, პირიქით, აწყობს, რომ ისეთი დესტრუქციული ძალა, როგორიც ბურჯანაძეა, იყოს ოპოზიციაში, რადგან იცის, რომ ეს ძალა ხელს უშლის ჯანსაღ პოლიტიკურ ჯგუფებს გაერთიანებაში. ის, რაც დღეს ხდება ოპოზიციის შიგნით, სააკაშვილს აწყობს. ფაქტია, რომ ბოლო პერიოდში საქართველოში პრორუსული განწყობები მატულობს. რას უნდა დავაბრალოთ ის ანტიდასავლური პიარი, რომელსაც ეწევა დღეს, ერთი მხრივ, ხელისუფლება და, მეორე მხრივ, ოპოზიციის ნაწილი?! ეს ყველაფერი იმ რუსული გეგმის ნაწილია, რის გამოც სააკაშვილი მოიყვანეს ხელისუფლებაში. ამიტომ, ვიმეორებ, ჯანსაღმა ოპოზიციურმა ძალებმა უნდა დავიწყოთ რეალური ბრძოლა. ხალხი მზად არის იმისთვის, რომ რეალურად იბრძოლოს სააკაშვილის წინააღმდეგ. სამწუხაროდ, პოლიტიკოსები არა ვართ მზად, ორგანიზება გავუწიოთ ხალხის ამ სურვილებს.

***— დაბოლოს, ბატონო მამუკა, რას ნიშნავს მედვედევის განცხადება და როგორ მოქმედებს ის დღევანდელ პოლიტიკურ პროცესებზე — სააკაშვილს ჩვენ არ დაველაპარაკებით?***

— სააკაშვილი რუსეთს ყველანაირად უწყობს ხელს ანტიქართულ გადაწყვეტილებებში, თავის მხრივ კი რუსეთი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ სააკაშვილმა ხელისუფლება შეინარჩუნოს. მედვედევის განცხადება ნათელი დადასტურებაა: სააკაშვილს არ დაველაპარაკებით და დაველაპარაკებით მხოლოდ იმას, ვინც კეთილმეზობლურ ურთიერთობას დაამყარებს რუსეთთან, აფხაზებთან და ცხინვალთან. ეს არის სერიოზული მესიჯი ოპოზიციის მიმართულებით. ვინც მზად ხართ, დამელაპარაკოთ აფხაზეთთან და ცხინვალთან კეთილმეზობლურ ურთიერთობებზე, მხოლოდ და მხოლოდ იმას მივეხმარები, მანამდე კი ხელს შევუწყობ სააკაშვილს — აი, ეს განცხადება გააკეთა მედვედევმა რამდენიმე ხნის წინ. ვერ ვიგებ, რატომ არის აგრესია უცხოელი ელჩების მიმართ. დასავლელმა ელჩებმა ძალიან გასაგებად გვითხრეს: თუ იბრძვით, რეალურად იბრძოლეთ და ტყუილუბრალოდ ამ ხალხს ნუ აჭერინებთ სააკაშვილსო. გასაგებად გვითხრეს ევროკავშირის ელჩებმა, თუ იბრძვით, იბრძოლეთ, თუ არადა, ამ მარაზმსა და იმიტაციაში ვერ დაგეხმარებითო. ასე ცალსახად გააკეთეს განცხადება. საქართველოს ეკლესია მოუწოდებს ქართველ პატრიოტებს, ერთიანი პრინციპებით, გამართული იდეოლოგიითა და ჩამოყალიბებული ღირებულებებით დავიწყოთ თუნდაც მარიონეტული რეჟიმის პირობებში ქართული სახელმწიფოსთვის ბრძოლა ამ რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის პარალელურად. ქართველი საზოგადოებაც სწორედ ამას ითხოვს ოპოზიციისგან. სამწუხაროდ, რეჟიმი გადმოვიდა შეტევაზე, რადგან დაინახა ჩვენი სუსტი წერტილები და დარწმუნდა, რომ ვერ შევქმენით ამდენი ხნის განმავლობაში ძალა, რომელიც სააკაშვილს უკან დაახევინებდა. სააკაშვილმა დაიბრუნა პარლამენტი, ჩააცხრო აქციები და დააპატიმრა ახალგაზრდების ჯანსაღი ნაწილი, რომელიც რეჟიმის წინააღმდეგ გამოდიოდა. ეს კონტრშეტევა, ყველამ უნდა ვიცოდეთ, რომ საშიშია და მას შეიძლება საქართველოს საბოლოო დანგრევა მოჰყვეს.

---

## მადლობა

გვინდა გულითადი მადლობა გადავუხადოთ ნა ალადევის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატს, ბატონ მერაბ სამადაშვილს იმ დიდი გულისხმიერებისათვის, რომელსაც იჩენს ნა ალადევის რაიონის, კერ ოდ, ჩვენი სკოლის პრობლემების გათავისებასა და გადაჭრაში დახმარებისათვის.

უფალმა დაგლოცოთ იმ დიდი სიკეთისა და სიყვარულისთვის, რომელსაც მომავალი თაობის აღზრდის საქმეში იჩენთ.

*მე-§ საჯარო სკოლის კოლექტივი*

# აგვისტოს მოახლოება დევნილებში ცუდ განცდებს იწვევს

მერი ნამორა ე

ფსიქოლოგიური ტრავმის მოშუშება არცთუ ისე ადვილია, მით უმეტეს, როცა ადამიანი კარგავს უძვირფასესს — მიწას, სახლ-კარს, ახლობელ ადამიანს და დანაკარგის აღდგენა-დაბრუნების პერსპექტივას ვერ ხედავს. აგვისტოს მოვლენების წლისთავი ახლოვდება და ფსიქოლოგები არ გამორიცხავენ, რომ კვლავ მოხდება დევნილთა რეტრავმატიზაცია. ერთი წლის წინ განცდილი და გადატანილი კვლავ შეახსენებს თავს ჩვენს დევნილებს და გაუმძაფრებს დეპრესიას.

ფსიქოლოგები კვლავ განაგრძობენ მუშაობას დევნილებთან. განსხვავება ერთი წლის თავზე იმაშია, რომ ბენეფიციართა კონტინგენტიც შემცირდა და ინდივიდუალურად ძირითადად იმ ადამიანებთან გრძელდება მუშაობა, რომლებმაც მძიმე ფსიქოლოგიური ტრავმა მიიღეს. წამების მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრის თანამშრომლები დევნილთა პირველი ნაკადის გაჩენისთანავე ჩაებნენ მუშაობაში, თუმცა ფსიქოლოგიურ დახმარებაზე მაშინ ადამიანთა ნაწილმა უარი განაცხადა.

„ახალი თაობა“ წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრის ფსიქოლოგს, ნატო ზაზაშვილს ესაუბრა:



**ნატო ზაზაშვილი:**

— აგვისტოდან მოყოლებული, იანვრამდე დევნილთა დიდ რიცხვთან გვქონდა ურთიერთობა. მათი რაოდენობა ამჟამად შემცირებულია. გამოიკვეთნენ განსაკუთრებული სიმძიმით ტრავმირებული ადამიანები, რომლებთანაც ინდივიდუალურად ვმუშაობთ. აგვისტო ახლოვდება, გადის ერთი წელი და ამ პერიოდის მოახლოება ხელახალ რეტრავმატიზაციას გამოიწვევს. ამისი თვითმხილველნი ვართ, რადგან ზოგს უკვე დაეწყო კოშმარული სიზმრები, უძილობა, სხვადასხვა სიმპტომი. ორიოდე დღის წინ ვიყავით გორში, სადაც რამდენიმე რთული პაციენტი გვყავს. იმ ადამიანების ფსიქოლოგიური მდგომარეობა, რომლებიც მაშინ ყურადღების ცენტრში მოხვდნენ მასმედიის საშუალებებით, განსაკუთრებით ბავშვების, კიდევ უფრო გაუარესდება, იმიტომ, რომ ასეთი ყურადღების ცენტრში მოხვედრის შემდეგ სრულ უყურადღებობაში აღმოჩენა კიდევ უფრო მატრავმირებელია. ეს დიდი გამოცდაა ზრდასრული ადამიანისათვის და მით უმეტეს ბავშვისათვის. რამდენიმე ადამიანი სწორედ ასეთ ფაზაშია. დეპრესიაა წინ წამოწეული ბუფერულ ზონაშიც, სადაც შევდივართ.

*— **ქალბატონო ნატო, ვინ შეძლო უკეთ დაეძლია სტრესი და გამოსულიყო მძიმე ფსიქოლოგიური მდგომარეობიდან, რომელმა სოციალურმა თუ ასაკობრივმა ჯგუფმა მოახერხა ეს უკეთესად?***

— დაკვირვება აჩვენებს, რომ ვინც ფსიქოლოგებთან ურთიერთობაზე წამოვიდა და ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის კურსი გაიარა, უკეთ გადალახა ფსიქოლოგიური პრობლემები. ეს იმაზე მეტყველებს, რაოდენ მნიშვნელოვანია სწრაფი და პროფესიული რეაგირება. ვინც არ წამოვიდა ჩვენთან ურთიერთობაზე, მათაც ვაკვირდებით და დიფერენციაცია თვალშისაცემია.

ადაპტაციის პროცესი უმეტესობამ უკვე გაიარა, თუმცა ზოგიერთი დევნილის მდგომარეობა ისევ მძიმე რჩება. აქ სოციალურ ფაქტორებსაც ვგულისხმობ. როცა ახსენდებათ ადამიანებს, რა დაკარგეს და რა აქვთ ამჟამად... კონტრასტის ეფექტიც არის.

*— **რას გულისხმობთ?***

— როცა დევნილებს პირველად თბილისში ვესტუმრეთ რუსების დროინდელ სამხედრო ჰოსპიტალის ტერიტორიაზე, სადაც ერთსართულიან შენობაში იყვნენ განთავსებულნი, უცხოელებიც გვახლდნენ. ისინი დევნილებთან მომუშავე ორგანიზაციებიდან იყვნენ, რომლებსაც მთელ მსოფლიოში ჰქონდათ ნანახი დევნილთა განთავსების ადგილები. მაგრამ იმდენად მძიმე შთაბეჭდილება დატოვა დევნილთა ყოფამ, აღნიშნეს, ჯერ არ გვინახავს ასეთი ვითარებაო. მერე წავედით წეროვანში, სადაც, ჰოსპიტალის პირობებთან შედარებით, ყველაფერი კარგად გამოიყურებოდა. მაგრამ ერთია ჩვენი შეფასება, მეორე — თავად დევნილების. ეს არის სწორედ კონტრასტი. ჩვენ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ახალია კოტეჯი დევნილებისთვის, საცხოვრებელი გარემო უზრუნველყოფილია ელემენტარული პირობებით, მაგრამ დევნილისათვის ეს ბევრს აღარ ნიშნავს, იმდენი რამ დაკარგა.

*— **თუ გამოთქვამენ პროტესტს ხელისუფლების მიმართ ან უყურადღებობას თუ უჩივიან?***

— ეს არ არის ჩვენი ინტერესის სამიზნე სფერო, მაგრამ პროტესტის გრძნობა უჩნდებათ. საუბარში ეს თემა ხშირად ისმის. განსაკუთრებით ბუფერულ ზონებში მცხოვრები ადამიანები გრძნობენ თავს მიტოვებულად და დაუცველად. მართალია, საკუთარ მიწა-წყალზე არიან, მაგრამ არ აქვთ მოტივაცია და ხალისი იმისა, რომ ან მიწა დაამუშაონ, ისეთივე აქტიურნი იყვნენ, როგორიც ადრე, რადგან არ არის უსაფრთხოების განცდა. მათი პირველი თხოვნა თუ მოთხოვნა ის არის, რომ უსაფრთხოება სჭირდებათ.

*— **უსაფრთხოების განცდის არარსებობის მიუხედავად, არ ტოვებენ ამ ტერიტორიებს?***

— არ ტოვებენ!

*— **რით არსებობენ ჩვენი დევნილები, ერთი შემომტანი მაინც თუ გაჩნდა ოჯახში?***

— მცირე ნაწილმა მოახერხა დასაქმება. თქვენ წარმოიდგინეთ, ზოგს კონფლიქტის ზონაში დარჩენილი ახლობლები უგზავნიან პროდუქტს. არის იმის განცდა, რომ მიტოვებულნი, უყურადღებოდ დარჩენილნი არიან. თუმცა, საბედნიეროდ, ჩვენს კულტურაში არის პოზიტივი, თუნდაც შვილი, რომელიც ჩვენთვის ზეღირებულებაა და შვილების უკეთესი მომავლისთვის აგრძელებენ ცხოვრებას.

# ფილმს ჯილდო ავანტიურისტული ამბის გადმოცემისთვის გადასცეს

## სანგუკოს პროდუქციას მოსკოვში აჩვენებენ

ეკა ირემაშვილი

მოსკოვის 31-ე საერთაშორისო კინოფესტივალში მონაწილეობას სამი ქართული ფილმი მიიღებს და სამივე „სანგუკოს“ პროდუქციაა.

ფესტივალის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა ფესტივალის პროგრამები და იმ 24 პროგრამაში, რომელსაც ფესტივალი წელს თავის მაყურებელს სთავაზობს, ქართული კინო მნიშვნელოვნად არის წარმოდგენილი. ორივე საკონკურსო პროგრამაში ჩართულია ქართული ფილმი: ძირითად კონკურსში მონაწილეობს დიტო ცინცაძის „მედიატორი“, ხოლო „პერსპექტივებში“ — ვანო ბურდულის „კონფლიქტის ზონა“. პროგრამაში „მოსკოვური ეიფორია“ მაყურებელი ნახავს გიორგი ოვაშვილის ფილმს „გაღმა ნაპირი“, რომელმაც მოსკოვის კინოფესტივალამდე არაერთ კინოფესესტივალში მიიღო მონაწილეობა და მნიშვნელოვანი პრიზებიც მოიპოვა.

ჟიურის განცხადებაში ნათქვამია, რომ მათ „გაღმა ნაპირს“ ჯილდო ემოციურად დატვირთული ავანტიურისტული ამბის გადმოცემისთვის გადასცეს. მათი განცხადებით, ფილმში არაჩვეულებრივი ოსტატობით არის მოთხრობილი ომის შემდგომ განვითარებული ისტორია, რომელსაც 12 წლის არაპროფესიონალი ბიჭი ბრწყინვალე არტისტიზმით გადმოსცემს. ფესტივალის პროგრამაში 62 ქვეყნის 203 მხატვრული, 54 დოკუმენტური და 124 მოკლემეტრაჟიანი ფილმი იყო წარმოდგენილი. მათ შორის საკუთარი ფილმების პრემიერები გამართეს ისეთმა ცნობილმა რეჟისორებმა, როგორებიც არიან სპაიკ ლი და ფრენსის ფორდ კოპოლა. „გაღმა ნაპირის“ სცენარის ავტორია ნუგზარ შატაიძე, ადაპტაცია ცნობილ აზერბაიჯანელ დრამატურგ რუსტამ იბრაგიმბეკოვს ეკუთვნის, ოპერატორი კი შაჰრიარ ასადია.

„სანგუკოს“ მიერ წარმოებული ფილმების ჩვენების პარალელურად, ქართული ფილმების ვრცელი რეტროსპექტივაა წარმოდგენილი ასევე სპეციალურ პროგრამაში „ქართული კინო — ფიციდან“ „მონანიებამდე“, რომელიც „გოსფილმოფონდის“ გენერალური დირექტორის მოადგილემ, ვლადიმირ დმიტრიევმა შეადგინა.

მოსკოვის 31-ე საერთაშორისო კინოფესტივალი 28 ივნისს დასრულდება.

# გია ყანჩელის საავტორო კონცერტი ოპერაში გაიმართება

## დღეს, როცა ბელგიაში ვცხოვრობ, ღრუბლიანი ამინდიც შევიგრძენი

ეკა ირემაშვილი

ეროვნული მუსიკალური ცენტრი ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში ცნობილი ქართველი კომპოზიტორის გია ყანჩელის საავტორო კონცერტს გამართავს.

ქართველი კომპოზიტორი და საქართველოს სახალხო არტისტი, გია ყანჩელი, ამჟამად ანტვერპენში ცხოვრობს, თუმცა დღემდე აქტიურად თანამშრომლობს საქართველოში მოღვაწე ხელოვანებთან.

კომპოზიტორმა 1959 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გეოლოგის სპეციალობით, თუმცა დიპლომის აღებისთანავე სწავლა გააგრძელა თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიაში საკომპოზიციო ფაკულტეტზე, რომელიც 1963 წელს დაამთავრა. 1972 წლიდან მუშაობდა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში მუსიკალური ნაწილის გამგედ. 1979 წელს იგი საქარველოს კომპოზიტორთა კავშირის მდივანია.

ოპერისა და ბალეტის თეატრში დაგეგმილ ღონისძიებასთან დაკავშირებით, ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში განაცხადეს:

— დაგეგმილ საავტორო საღამოზე შესრულდება გია ყანჩელის „იავნანა მზეს“, „ვალს-ბოსტონი“ და „სტიქსი“. ეროვნულ სიმფონიურ ორკესტრთან და საგუნდო კაპელასთან ერთად, რომელსაც ნიკა მემანიშვილი უდირიჟორებს, მსმენელის წინაშე სოლისტის რანგში წარდგება ბრიტანელი მაქსიმ რიზანოვი.

„იავნანა მზეს“ არის ნაწარმოები შერეული გუნდისათვის დასარტყამ საკრავთა თანხლებით, რომელიც ეძღვნება რობერტ სტურუას. ეს ნაწარმოები კომპოზიტორმა გასულ წელს დაწერა.

— ჩემი ცხოვრების უმეტესი დრო გავატარე ქვეყანაში, სადაც ზაფხულობით მზე დაუნდობლად მწველია. მაგრამ დღეს, როცა ბელგიაში ვცხოვრობ, ღრუბლიანი ამინდიც შევიგრძენი. მზე ყოველთვისაა, მაშინაც კი, როცა არ ჩანს და მისგან გამოწვეული გრძნობები გახსენებს ცხოვრებას. არ გამიკვირდება, თუკი ბავშვს მზის ჩასვლის დროს გაუჩნდება სურვილი, უმღეროს მას იავნანა. თუკი არ ჩავთვლით ჩემს რესპექტაბელურ ასაკს, მეც გამიჩნდა ასეთი ბავშვური სურვილი. ვიფიქრე, უადვილესი გადაწყვეტილება იქნებოდა სიტყვა „მზის“ გამოყენება. ეს გადაწყვეტილება მივიღე ერთადერთი ფაქტორის № სიტყვის მელოდიური ტონის გამო. ნაწარმოები გახლავთ „იავნანა მზეს“, რომელიც 27 ენაზე იმღერება. ნაწარმოებში გამოყენებულ ენებს შორის არის საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ეროვნულ უმცირესობათა ენები (აფხაზური, ოსური, რუსული, აზერბაიჯანული, სომხური, ქურთული) და ეს შემთხვევითი სულაც არ არის, — აცხადებს გია ყანჩელი.



ნაწარმოები „ვალს-ბოსტონი“ შექმნილია ფორტეპიანოსა და სიმებიანი ორკესტრისათვის, მინაწერით: „ეძღვნება ჩემს მეუღლეს, რომელთანაც არასოდეს მიცეკვია“. ეს ნაწარმოები დაწერილია შტუტგარტის კამერული ორკესტრის შეკვეთით. მისი პრემიერა შტუტგარდში 1996 წლის 20 დეკემბერს შედგა. ფორტეპიანოს პარტიის შემსრულებელი სოლისტისა და კამერული ორკესტრის დირიჟორის ფუნქციებს, კომპოზიტორის ჩანაფიქრის მიხედვით, ერთდროულად ასრულებდა ორკესტრის დირიჟორი დენის რასელ დეივისი.

რაც შეეხება „სტიქსს“, იგი ალტის, შერეული გუნდისა და ორკესტრისათვის არის დაწერილი და იური ბაშმეტს ეძღვნება. ეს ნაწარმოები დაწერილია ედუარდ ვან ბეინუმას ფონდის (ნიდერლანდები) შეკვეთით. მისი პრემიერა შედგა 1999 წლის 7 ნოემბერს ამსტერდამში, მუსიკალურ ფესტივალზე „ათასწლეულის რეკვიემი“.

— ბერძნულ მითოლოგიაში არის მიწისქვეშა წმინდა მდინარე, რომელზეც ეტლით დასრიალებს ქარონი და გარდაცვლილთა სულები აიდის სამყაროში გადაჰყავს.რაც უფრო მეტი დრო გადის, მით უფრო მიღრმავდება ურთიერთობის სურვილი იმ ჩემთვის ძვირფას პიროვნებებთან, რომლებმაც ჩემზე ადრე დატოვეს წუთისოფელი. სულიერი კავშირი მათთან კვლავაც არ შეწყვეტილა. გამოუთქმელი აზრები და გრძნობები სხვადასხვა სიტყვაში თავსდება. სიტყვები იმგვარად გაერთიანდა, რომ შეადგინეს ტექსტობრივი ჯგუფები — ქართული ტაძრების, ხალხურ სიმღერათა და საგალობლების სახელწოდებები, ოჯახი, ბუნება, აწ განსვენებულ მეგობართა სახელები. თითოეული ჯგუფი ჩემთვის მარადიულ ფასეულობას ნიშნავს. „სტიქსის“ ტექსტუალურ საფუძვლად ქართული სიტყვები შევარჩიე. ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო მათი ფონემების ხმოვანება. მხოლოდ ფინალში, როგორც აზრობრივი შეჯამება, ჟღერს ერთი სტრიქონი ინგლისურ ენაზე, რომელსაც შექსპირის „ზამთრის ზღაპრიდან“ წარმოთქვამს ალეგორიული პერსონაჟი — დრო, — აცხადებს კომპოზიტორი.□


## განცხადებები

● მშობელთა საყურადღებოდ!!! ნუ ამოსჭრით შვილებს ღვთისგან ბოძებულ ნუშურა და ფარისებრ ჯირკვლებს!!! ჩიყვის, ჩირქოვანი გლანდების, ადენოიდების ან ხვრინვის დროს მიეცით (დიდებსაც!) ეკოლოგიურად სუფთა, 100%-ით ნატურალური სიროფი „პლანტა“ ან „პლანტა-გლანდა“. მხოლოდ აქ!!! თამარ მეფის 27-ში (1 ბოთლი — 10 დღე. ფასი — 9 ლარი). ტელ: 59-59-82; 858-59-59-82.

● პოლიკლინიკის დირექტორი ლომთათიძე მკურნალობს იაპონური აპარატით და წურბელებით, მალამოებით უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, რადიკულიტს, თმის ცვენას, ბუასილს ოპერაციის გარეშე, განგრენის საწყის ფორმას, წითელ ქარს, ტროპიკულ წყლულს, დაწყლულებულ ფეხებს, ფრჩხილების სოკოს, ფსორიაზს, პიგმენტურ ლაქებს, მეჭეჭებს, პაპილომებს, ცხიმგროვას თვალებზე, პეჰატიტს A,B,C. საერთო მკურნალობის კურსი 5-10 დღიანია.

ტელ: 893-39-04-87; 96-38-27. აღმაშენებლის 93.

● გახდომა-გასუქება 7-20 კგ-მდე, უშიმშილოდ, უდიეტოდ, ნევროზები, შიშები, კლიმაქსი, ჭარბთმიანობა, იმუნიტეტის ამაღლება ონკოლოგიურად დაავადებულთათვის, 100%-იანი შედეგებით. ტელ: 34-02-38 ან 879-49-09-09 ქ-ნი მარინა.

● სხეულზე ნებისმიერი ადგილის კორექცია, წონაში დაკლება თვეში 10-15 კგ, გასუქება თვეში 5 კგ-მდე, სიმაღლეში ზრდა 3-5 სმ. მარილები, ჩიყვი, ჭარბთმიანობა. ტელ: 893-12-77-09 ნონა.

● ოსტეოპარეზის, ოსტეოხონდროზის, ართრიტების, კოქსართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილის აღდგენა და ტკივილის სინდრომის მოხსნა მცენარეული საშუალებებით, უკუჩვენების გარეშე. ტელ: 858-21-77-93 ქ-ნი ფატი.

● სიმაღლეში ზრდა სწრაფად და ეფექტურად თვეში 3-5 სმ-ის მომატებით 25 წლამდე, ძვლის მკვებავი ვიტამინებით, მინერალებით, ზრდის ზონების გააქტიურება ჯანმრთელობისთვის უვნებლად მცენარეული აპრობირებული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 34-02-38; 895-293-299 ექიმი ქ-ნი ინგა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან გათავისუფლება, ორგანიზმისა და ღვიძლის გაწმენდით, დამოკიდებულების მოხსნა, ასევე იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შეკავება-შეუკავებლობა, ტკივილი და წვა შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, 100%-იანი შედეგებით. ტელ: 34-02-38; 858-96-89-15 ექიმი ქ-ნი მეგი.

● შევიძენ ყველა სახის წიგნებს, გამოცემულს 1917 წლამდე, ტელ: 855-29-40-39 ლაშა.

● იყიდება! ნებისმიერი სახეობის, ასაკის, ზომის და რაოდენობის წიწვოვან და ფოთლოვან ხე-მცენარეთა ნერგები. ფასი 5-დან 50 ლარამდე. ტელ: 96-62-96 საღამოს, მობ: 895-97-30-15.

● მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 74-81-41, 871-33-01-61.

● ვმკურნალობთ მამაკაცურ პრობლემებს, იმპოტენციას, პროსტატის ადენომას, შარდის შეკავება-შეუკავებლობას უნიკალური მცენარეული პრეპარატებით ხელმისაწვდომ ფასად. შედეგი 100%-იანია. ტელ: 899-53-68-18, 73-05-59 (საღამოს) ექიმი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა სწრაფად და ეფექტურად 2-დან 25 წლამდე თვეში 3-4 სმ ძვლის მკვებავი ვიტამინებით, ვარჯიშებით, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 858-46-36-74 ექიმი ქეთინო.

● ამერიკაში სტაჟირებული ფილოლოგი-დოცენტი ყველა მსურველს ასწავლის ინგლისურ ენას საფუძვლიანად (ქართულად და რუსულად). ტელ: 95-32-12.

● იყიდება 3-ოთახიანი იზოლირებული ბინა 93 კვ.მ., II სართულზე, მარჯანიშვილის მოედანზე (სუპერმარკეტ „ბი-ფე-სის“ სახლი). ბინა იყიდება სამისდღეშიო რჩენის საწყისებზე. ტელ: 95-32-12.

● მხოლოდ მცენარეულ ნედლეულზე დამზადებული პროდუქციით ვმკურნალობ ალკოჰოლიზმს, ნევროზს, სკლეროზს, უძილობას და გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებებს, 100%-იანი შედეგით. ტელ: 34-02-38; 898-201-101. ირინა.

# ესპანეთი პირველი ნახევარფინალისტია

დასაწყისი მე-12 გვერდზე

დიდი ანგარიშით არ წავაგეთ. ვითამაშეთ დისციპლინირებული ფეხბურთი, ფეხბურთელები ჭკვიანურად ირჯებოდნენ მოედანზე, მაგრამ ესპანეთის ნაკრები მაღალი დონეა და ამას წინ ვერ დავუდგებით. ჩვენი ამოცანა იყო, არ წაგვეგო პირველი მატჩი, ხოლო მეორეში მაქსიმალური შედეგისთვის მიგვეღწია, რაც შევძელით. ჯგუფიდან გასვლის შანსში ჯერ კიდევ გვაქვს, — აღნიშნა მილუტინოვიჩმა.

გაცილებით სიტყვაძუნწი აღმოჩნდა ესპანელთა მწვრთნელი, თუმცა, მისი გუნდის თამაშიდან გამომდინარე, სათქმელიც ბევრი არაფერი ჰქონდა.

— მეტოქემ ღირსების გრძნობით ითამაშა და თამაში აშკარად გაგვირთულეს. ეს მატჩი სრულიად არ შეეფერება ჩვენს წინა თამაშს, — განაცხადა დელ ბოსკემ.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: ხაბი ალონსო (ესპანეთი). ესპანელთა ნახევარმცველმა უამრავი შავი სამუშაო შეასრულა, 10 კილომეტრზე მეტი ირბინა, გააკეთა ყველაზე მეტი ზუსტი გადაცემა — 61, რაც მისი პასების 80 პროცენტზე მეტი აღმოჩნდა.

### სამხრეთ აფრიკა — ახალი ზელანდია 2:0

1:0, 2:0 პარკერი (21, 55)

**ს. აფრიკა:** კუნე, გაკსა, მასილელა, მოკოენა, სიბაია, ბუტი, მოდიშე, დიკგაკოი, ფანტენი (მაჩეგო 62), პარკერი (ჩაბალალა 80), პიენაარი

**ახ. ზელანდია:** მოსი, ლოჩჰედი, ვიჩელიჩი, ელიოტი, ბრაუნი (ოუგტონი 55), შმელცი, კილენი (ვუდი 74), ბერტოსი (ჯეიმსი 66), კრისტი, მალიგანი, ბოენსი

ამ მატჩის ტრანსლაციისას საპატიო სტუმრების ლოჟაში ფიფას პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი და მისი ოპონენტი 2002 წლის არჩევნებში, აფრიკის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტი იასა ჰაიტუ ხშირად ჩანდნენ. აფრიკელი თავისი კონტინენტის გუნდის თამაშით დიდად კმაყოფილი არ იყო, ხოლო ბლატერი ხშირად დასცქეროდა საათს.

მეორე მატჩს აფრიკელი გულშემატკივარი მოუთმენლად ელოდა. ტურნირის მასპინძლებს მაქსიმალურად კომფორტულად უნდა მოეგოთ მეტოქისთვის, რათა შედარებით მშვიდად შეხვედროდნენ ესპანელებთან მესამე მატჩს. სამი ქულის აღება ერთია და მას შემდეგ, რაც ერაყმა მინიმალურად წააგო ესპანეთთან, ბურთების სოლიდური სხვაობაც უნდა დაებევებინათ.

ამოცანის გადაჭრას მასპინძლები პირველივე წუთებიდან შეუდგნენ. ერაყელებთან მშრალი მატჩის შემდეგ, მნიშვნელოვანი იყო, გუნდს საგოლე მომენტები გამოეყენებინა. სანტანამ, პირველი მატჩისგან განსხვავებით, სასტარტო შემადგენლობაში დააყენა ყოფილი აიაქსელი, ამჟამად ინგლისური „ევერტონის“ თავდამსხმელი, სტივენ პიენაარი, რომელმაც მეტი სიმწვავე შემატა.

როგორც ჩანს, სანტანას დავალება სწრაფი გოლი იყო. პარკერმა და დიკგაკოიმ თავიდანვე შეავიწროვეს ახალზელანდიელთა მეკარე, მოსი, რომელიც საუკეთესო იყო სტუმართა შორის. მომენტების გამოუყენებლობამ ისევ იჩინა თავი, მაგრამ ახალზელანდიელთა სუსტმა დაცვამ მაინც ვერ გაუძლო აფრიკელთა მასირებულ შეტევებს. სანტანას ბიჭებმა მხოლოდ ორი ბურთის გატანა მოახერხეს და ორივე იდენტური იყო — მარცხენა ფლანგზე კარგად ირჯებოდა მასილელა, რომელიც დაიბრიყვებდა მალიგანს, ჩააწვდიდა საჯარიმოში, სადაც ბურთს პარკერი დახვდებოდა და გაიტანდა. ერთია, პირველი გოლისას აფრიკელმა ფეხით გამიზნულად დაარტყა, მერისას კი ბურთი ტანზე მოხვდა და ისე გავიდა.

„ბაფანა-ბაფანამ“ იგრძნო, რომ მეტოქის განადგურება მათაც შეეძლოთ და კიდევ უფრო მიაწვნენ მათს კარს. განსაკუთრებით შეცვლაზე შესული მაჩეგო აქტიურობდა, რომელიც ურტყამდა მარცხნივ თუ მარჯვნივ, მეკარესთან პირისპირაც დარჩა, მაგრამ გატანა ვერა და ვერ მოახერხა.

მატჩის საუკეთესო მოთამაშე: ბერნარდ პარკერი (ს. აფრიკა). პარკერის ორმა გოლმა გადაწყვიტა კიდეც მატჩის ბედი. ახლა აფრიკელები ლოცულობენ, იგივე ევროპის ჩემპიონებთანაც გაიმეორონ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ესპანეთი** | 2 | 2 | 0 | 0 | 6:0 | 6 |
| **ს.აფრიკა** | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 4 |
| **ერაყი** | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| **ა.ზელანდია** | 2 | 0 | 0 | 2 | 0:7 | 0 |

კონფედერაციის თასის ტრანსლაციების დროს გამაყრუებლად, მთელი მატჩის განმავლობაში ისმის „ვუვუზელად“ წოდებული საყვირების ხმა. ტრანსლაციის უფლების მქონე ტელეარხები აცხადებენ, რომ მათი ხმა ხელს უშლის მატჩების ჩვენებას და განსაკუთრებით აწუხებთ კომენტატორებს. არხების ხელმძღვანელობა შეშფოთებულია, რომ მსგავსი რამ 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზეც გამეორდება და ისინი ცუდ დღეში აღმოჩნდებიან.

აფრიკული საყვირების შესახებ თავისი პოზიცია დააფიქსირა ფიფას პრეზიდენტმა იოზეფ ბლატერმა.

— გასაგებია, რომ საყვირების ხმა ცოტათი ხელს უშლის გარკვეულ სამუშაოებს, მაგრამ, მეორე მხრივ, ეს ადგილობრივი კოლორიტია. არც კი ვიცი, შესაძლებელია თუ არა ამ საყვირების აკრძალვა. ჩვენ აფრიკაში ვართ და არა სადმე დასავლეთ ევროპაში. მართალია, საყვირი ხმაურს იწვევს, მაგრამ, ამავდროულად, გამოხატავს ენერგიას, რიტმს, მუსიკას, ცეკვას... ერთი სიტყვით, ეს აფრიკაა და ჩვენ ამას უნდა მივეჩვიოთ! — განაცხადა ბლატერმა.

# „მინესოტამ“ მაკჰეილი დაითხოვა

90-იანი წლების ლეგენდარული „ბოსტონის“ ერთ-ერთი წევრი, „დიდების დარბაზის“ წევრი, გასულ სეზონში „მინესოტა ტიმბერვულვზის“ მწვრთნელი, კევინ მაკჰეილი, თანამდებობიდან გაათავისუფლეს. ეს გადაწყვეტილება კლუბის ხელმძღვანელობამ გუშინწინ მიიღო.

— კევინმა ბევრი რამ გააკეთა „მინესოტასთვის“, მაგრამ ვიგრძენი, რომ დროა გუნდში ახალი სისხლის გადასხმა მოხდეს. მაკჰეილმა მოახერხა და გუნდი ერთხელ დასავლეთ კონფერენციის ფინალში გაიყვანა, მაგრამ ეს საკმარისი არ არის — ყველაფერს ხელახლა ვიწყებთ და უახლოეს დროში კონკურენტუნარიანი გუნდი უნდა შევქმნათ, — განაცხადა „მინესოტას“ პრეზიდენტმა დევიდ კანმა.

თავად მაკჰეილს დიდი სურვილი ჰქონდა, გაეგრძელებინა კლუბში მუშაობა, მაგრამ კანთან შეხვედრის შემდეგ მასთან კონტრაქტის გაგრძელება არ ისურვეს, რამაც მაკჰეილი ნაწყენი დატოვა.

— გუნდში დარჩენა მინდოდა, მაგრამ კონტრაქტი არ გააგრძელეს. წინა კვირაშიც მქონდა ხელმძღვანელობასთან საუბარი და მაშინ მითხრეს, რომ კლუბი სხვაგვარი მუშაობით აპირებს მოძრაობას. მაშინ ღიად ვუთხარი, რომ ეს შეცდომაა, მაგრამ რჩევა არ გაითვალისწინეს და ეს მათი ნებაა. ბოლო წლები ძალიან რთული იყო, მაგრამ გუნდი აშკარად პროგრესირებდა, განსაკუთრებით, თუ ჯეფერსონს ტრავმა არ აწუხებდა, — აღნიშნა მაკჰეილმა.

მაკჰეილისგან ნაქები ელ ჯეფერსონიც, შესაძლოა, მასწავლებლის გზას გაუყვეს. მინესოტელები მის გაცვლას „ფენიქსის“ მძიმე ფორვარდ ამარე სტუდემაიერში აპირებენ. თუ გასული სეზონის სტატისტიკას გადავხედავთ, ჯეფერსონს გაცილებით უკეთესი მაჩვენებელი აქვს, ვიდრე სტუდემაიერს.

სტუდემაიერის გარდა, ფენიქსელები კიდევ ერთი ლიდერის, შაკილ ონილის გასხვისებას ცდილობენ და მის შესახებ უკვე 15 გუნდთან გამართეს მოლაპარაკება, მაგრამ აქტიურ სტადიაში ჯერ არც ერთი არ არის.

— მთელი კვირის განმავლობაში 15 კლუბის წარმომადგენლებს შევხვდით, მაგრამ შეთანხმებას ჯერ ვერ მივაღწიეთ. რამდენიმე მათგანი შაკით კი დაინტერესდა, მაგრამ, ჩვენი მხრივ, კლუბის სწორი მიმართულების მიცემას ვაპირებთ, ამიტომ მათი შემოთავაზებები არცთუ სახარბიელო აღმოჩნდა. სეზონის დაწყებამდე ჯერ კიდევ დროა და იმედი გვაქვს, საინტერესო შემოთავაზებასაც მივიღებთ, — განაცხადა ფენიქსელთა გენერალურმა მენეჯერმა სტივ კერიმ.

კალათბურთელების გაცვლას აპირებენ „ფილადეფია“ და „შარლოტიც“. ფილადეფიელები თავიანთ ცენტრს, სამუელ დალამბიერტს ორი კალათბურთელის სანაცვლოდ, ასევე ცენტრ ნაზრს მოჰამედისა და ფორვარდ ვლადიმირ რადვანოვიჩის სანაცვლოდ სთავაზობენ შარლოტელებს.

პრინციპში, გაცვლა ყოველმხრივ თანაბარია — დალამბერტს „ფილადეფიასთან“ კიდევ ორწლიანი კონტრაქტი აქვს, რომლის სანაცვლოდ 12 მილიონი დოლარი უნდა გადაუხადოს კალათბურთელს. თავის მხრივ, შარლოტელებსაც იგივე კონტრაქტი აქვთ და ჯამშიც იმდენივე თანხა უნდა აიღონ, რამდენიც დალამბიერტმა. კალათბურთელების სტატისტიკური მონაცემებიც დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისგან.

# ჩრდილოეთ კორეა მუნდიალზე 34 წლის შემდეგ

ოთხშაბათს დასრულდა 2010 წლის შესარჩევი ეტაპი აზიის ზონაში და გაირკვა კიდევ ერთი მუნდიალის მონაწილე გუნდი — ჩრდილოეთ კორეა. ეს პატივი სახალხო-დემოკრატიული ქვეყნის გუნდს 34 წლის შემდეგ ერგო — ბოლოს ჩრდილოკორეელები მსოფლიოს ჩემპიონატში 1966 წელს მონაწილეობდნენ.

ჩრდილოკორეელებს ბოლო მატჩში საუდის არაბეთთან გასვლით შეხვედრაში ფრეც აწყობდათ, რადგან მასპინძლებს ბურთების დამატებითი მაჩვენებლებით ჯობნიდნენ. სტუმრებმა სასურველ მიზანს მიაღწიეს — 0:0 და ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავეს.

ამ ჯგუფში პირველი ადგილი სამხრეთკორეელებს ერგოთ, რომელთაც საგზური უკვე განაღდებული ჰქონდათ და ბოლო მატჩში ირანთან ფრედ, 1:1 ითამაშეს, რითიც ჩრდილოელ მეზობლებს გაუკეთეს საქმე. ირანელთა მოგების შემთხვევაში (არადა, იგებდნენ 1:0), საგზური მათ დარჩებოდათ. ირანელებმა გადათამაშებაში თამაშიც ვერ აიცილეს და ეს პატივი არაბებს ერგოთ, რომლებიც პლეი-ოფში მეორე ჯგუფის მესამეადგილოსან ბახრეინს შეხვდება, მათ შორის გამარჯვებული კი — ახალ ზელანდიას.

ბახრეინმა ეს ამოცანა უზბეკების ძლევით მოახერხა — 1:0, ხოლო ამ ჯგუფიდან პირდაპირ მუნდიალზე წასვლა ავსტრალიამ და იაპონიამ მოიპოვეს.

ოთხი აზიური გუნდის გარდა, სამხრეთ აფრიკაში წასვლის უფლება ავტომატურად მასპინძლებსა და ევროპის ზონიდან მხოლოდ ჰოლანდიელებს აქვთ მოპოვებული.

# დაუკომპლექტებელი „რეალი“ ფავორიტია

მას შემდეგ, რაც „რეალმა“ რამდენიმე ფეხბურთელის გასხვისება გადაწყვიტა, მათზე მოთხოვნილება გაიზარდა.

ინგლისური „ტოტენჰემი“ კლაას იან ჰუნტელაარის შეძენით დაინტერესდა და მზად არის, მასში 37 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაიხადოს. გაცილებით იაფად არის შეფასებული კიდევ ერთი ჰოლანდიელი ფეხბურთელი, როისტონ დრენტე, რომლის შეძენა „ასტონ ვილას“ სურს და მზად არის, 4 მილიონი გადარიცხოს „რეალის“ ხაზინაში.

თავის მხრივ, „რეალი“ ფეხბურთელებს ინგლისში ეძებს. „სამეფო კლუბს“ დაცვის პრობლემა აქვს მოსაგვარებელი და ლონდონის „არსენალიდან“ განაპირა მცველების გაელ კლიშესა და ბაქარი სანიას შეძენა აქვს გადაწყვეტილი.

კლიშე კატეგორიულად უარყოფს გუნდის გამოცვლას, სამაგიეროდ, სანია კმაყოფილებას გამოთქვამს მადრიდში შესაძლო გადასვლაზე.

— ამ ინფორმაციით გაკვირვებული ვარ, რადგან არაფერი არ ვიცი და არც არაფერი გამიგონია ამ ტრანსფერის შესახებ. სასიამოვნოა, რომ ასეთი გუნდი ჩემით დაინტერესდა და ამ იდეს წინააღმდეგი ნამდვილად არ ვარ. მართალია, „არსენალში“ თავს მშვენივრად ვგრძნობ, მაგრამ, წარმოიდგინეთ, როგორი იქნება ჩემი მომავალი „რეალში“, — განაცხადა სანიამ.

შეგახსენებთ, რომ სანიამ შარშან ივნისში „არსენალთან“ ხანგრძლივი კონტრაქტი გააფორმა, მაგრამ მაინც „სანტიაგო ბერნაბეუსკენ“ მიუწევს გული, თანაც, გასათვალისწინებელია, რომ სანიას პოზიციაზე „რეალში“ სერხიო რამოსი თამაშობს, რომლის ძირითადიდან ამოგდება რთული იქნება.

ჯერ „რეალს“ გუნდი საბოლოოდ არ დაუკომპლექტებია, მაგრამ მისი დაწყებული ტრანსფერები უკვე გაითვალისწინეს საბუქმეიკერო კანტორებმა. ერთ-ერთი პოპულარული საბუქმეიკერო კანტორის „ბეტ ანდ ვინის“ აზრით, მომავალი ჩემპიონთა ლიგის ფავორიტი სწორედ „სამეფო გუნდია“ და მისი ტიტულის მოპოვებას 5,0 აფასებს. „რეალს“ მიჰყვებიან „ბარსელონა“ (5,75), „მანჩესტერი“ (8,0), „ჩელსი“ (8,5), „ლივერპული“ (11,0) და „ინტერი“ (13,0).

შეგახსენებთ, „ბეთ ენდ ვინი“ „რეალის“ ერთ-ერთი სპონსორიც არის.

# უეფამ ზესტაფონს ნება დართო

საფეხბურთო კლუბი „ზესტაფონი“ ევროპის ლიგის თამაშებისთვის კი ემზადება, მაგრამ მის საშინაო მატჩების ჩატარებას საფრთხე დაემუქრა. მიზეზი კოპიტნარის საერთაშორისო აეროპორტის ასაფრენ ბილიკზე დაყრილი შარშანდელი რუსული ბომბები იყო, რომლებმაც დააზიანეს აეროპორტი. უეფას მოთხოვნით კლუბს მეტოქე გუნდის მიღება იმ სტადიონზე შეუძლია, რომლისგანაც აეროპორტი 100 კილომეტრის რადიუსშია განთავსებული.

ამ პრობლემის მოგვარებაში იმერლებს დახმარება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ გაუწია, რომელმაც უეფას წერილით მიმართა, სადაც ახსნილ იქნა შექმნილი ვითარება.

უეფამ განიხილა შექმნილი სიტუაცია და იმერლების გასახარად გუნდს 2009-10 წლის სეზონში ევროლიგის საშინაო მატჩების ზესტაფონში ჩატარების უფლება მისცა. „ზესტაფონი“ სტუმარ გუნდებს ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში მიიღებს.

# „ბარსელონას“ ორი ლივერპულელი უნდა

ინგლისური პრესა აგრძელებს საუბარს „ლივერპულის“ ნახევარმცველ ხავიერ მასკერანოს „ბარსელონაში“ გადასვლის შესახებ. „დეილი მირორის“ ცნობით, არგენტინელი ფეხბურთელის აგენტი უოლტერ ტამარი კატალონიის დედაქალაქში იმყოფებოდა და „ბარსელონასთან“ მოლაპარაკება გამართა.

გასულ კვირაში ლივერპულელთა მწვრთნელმა რაფაელ ბენიტესმა განაცხადა, რომ გუნდის ძირითად ფეხბურთელთან განშორებას არ აპირებს, მაგრამ ტამარმა მისი განცხადება ყურად არ იღო და „ბარსელონას“ ხელმძღვანელობას მაინც შეხვდა.

თავის მხრივ, „ლივერპული“ აგრძელებს იმის მტკიცებას, რომ მასკერანოს გუნდთან ხანგრძლივი კონტრაქტი აქვს და ვალდებულია, შეასრულოს. მასკერანოს კი სურვილი აქვს, თამაში სადღეისოდ ევროპაში საუკეთესო გუნდში გააგრძელოს და, მისი აგენტის მტკიცებით, ეს საქმე გაიჩარხება, თუ „ბარსელონა“ კვალიფიციურ წინადადებას შესთავაზებს „ლივერპულს“.

ბენიტესი კი არანაირი წინადადების განხილვას არ აპირებს. ესპანელმა სპეციალისტმა განაცხადა, რომ მასკერანოს საყიდლად 50 მილიონი გირვანქა სტერლინგიც არ იქნება საკმარისი.

„ბარსელონა“ ლივერპულელთათვის მარტო მასკერანოს „წაგლეჯით“ არ კმაყოფილდება და პეპე რეინას გადაბირებასაც აპირებს, რათა მეკარის პრობლემა საბოლოოდ მოაგვაროს.

საქმე ის არის, რომ კატალონიელები ვერ თანხმდებიან ვიქტორ ვალდესთან კონტრაქტის გაგრძელებაზე, რომელსაც, თავის მხრივ, „მილანში“ გადასვლის სურვილი ამოძრავებს.

კატალონიელები 17 მილიონ გირვანქა სტერლინგს სთავაზობენ „ლივერპულს“ მეკარეში სანაცვლოდ, მაგრამ მერსისაიდელები აქაც კატეგორიულ უარზე არიან.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## შედეგები

### ფეხბურთი

**კონფედერაციის თასი**

ს. აფრიკა-ა.ზელანდია .................. 2:0

**მჩ-2010. შესარჩევი ეტაპი. აზია**

ბახრეინი-უზბეკეთი .................. 1:0
ს. არაბეთი-ჩრ. კორეა .................. 0:0

**ნორვეგია. თასი.**

ალტა-ბოდო გლიმტი .................. 3:0
ასკერი-ლილესტრიომი .................. 0:3
ბრიუნე-ვიკინგი .................. 0:0(პ3:2)
სორტა-ბრანი .................. 2:4
ნოტოდენი-ოდ რელანდი .................. 0:2
ალესუნდი-სტავანგერი .................. 2:1
სტრინჰეიმი-რუსენბორგი .................. 1:7
ტრომსო-ჰონეფოსი .................. 4:0
ჰამ კამი-ლუნი .................. 0:2
ჰონესუნდი-სონგდალი .................. 1:2

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

ვაასა-კუოპიო .................. 1:0
მარიეჰამნი-ჰაკა .................. 2:1
ტამპერე-როვანიემი .................. 3:1

**ირლანდია. თასი**

ლონგფორდი-უეკფორდი 2:1 (დდ)

**ლიბერტადორესის თასი**

**მეოთხედფინალი**

ნასიონალი-პალმეირასი .................. 0:0
გრემიო-კარაკასი .................. 0:0

**აშშ. მლს**

სიეტლი-ვაშინგტონი .................. 3:3

### კალათბურთი

**ეჩ-2009**

**ქალები. მეოთხედფინალი**

ბელარუსი-სლოვაკეთი .................. 70:68
ესპანეთი-იტალია .................. 61:42

**თურქეთი. ფინალი**

ფენერბახჩე-ეფესი .................. 76:79

### ფრენბურთი

**საერთაშორისო ტურნირი**

**ქალები**

ჩინეთი-პოლონეთი .................. 3:1
იტალია-იაპონია .................. 3:1

### ხელბურთი

**ეჩ. შესარჩევი ტურნირი**

**კაცები**

ჩეხეთი-ლატვია .................. 41:29
რუმინეთი-თურქეთი .................. 37:30
სერბეთი-ფარერები .................. 39:20
ჩერნოგორია-პოლონეთი .................. 23:31
სლოვენია-ისრაელი .................. 40:27
ისლანდია-მაკედონია .................. 34:26
ნორვეგია-ესტონეთი .................. 31:23
გერმანია-ბელარუსი .................. 38:27
საფრანგეთი-პორტუგალია .................. 36:23
შვეიცარია-იტალია .................. 28:20
ხორვატია-სლოვაკეთი .................. 34:21
ესპანეთი-ლიტვა .................. 31:21

### წყალბურთი

**მსოფლიოს თასი**

**კაცები**

ავსტრალია-ს.აფრიკა .................. 13:4
სერბეთი-იტალია .................. 6:4
აშშ-იაპონია .................. 14:3
ჩერნოგორია-ხორვატია .................. 12:7

### ჩოგბურთი

**უიმბლდონი. კვალიფიკაცია**

**კაცები**

ლაკო-მაჩადო .................. 1:6;6:2;8:6
არტმირაი პ.-იანი .................. 6:3;5:7;3:6;4:6
ბეცკი კ-გრიული .................. 7:5;6:7;2:6;6:7
კრუნიოლა-გედინი .................. 6:7;3:6;1:6
ლევაინი-ბაჰინგერი .................. 6:2;7:6;6:2
მალისე-მუნიოსი .................. 6:3;7:6;6:0
მანარინო-კავჩიჩი .................. 6:3;6:2;7:6
როჯერ ვასელინი-ტომიჩი .. 7:6;6:4;6:0
ფალა-დე ჩაუნა .................. 6:4;6:4;6:4
დენტი-კუევასი .................. 6:3;7:5;6:7;6:3
სირიანი-გრეგორცი .................. 4:6;4;6;5:7
ლაკო-ძამპიერი .................. 6:2;6:4;6:2

**უიმბლდონი. კვალიფიკაცია.**

**ქალები**

შრუფი-ბეგუ .................. 6:2;2;6;7:5
მანასიევა-კრავერო .................. 6:3;7:6
დიაჩენკო-სილვა ნ. .................. 3:6;5:7
ბრიანტი-ონდრაშკოვა .................. 6:4;6:4
ზაკოპალოვა-სალკიჩი .................. 6:2;6:1
კარატანჩევა-სპირსი .................. 6:3;7:5
კუტუზოვა-პერი .................. 6:0;6:2
მალეკი-ბრენგლი .................. 6:0;6:3
ოუდინი-კუცოვა!კ. .................. 6:3;6:0
სევასტოვა-კუსტოვა .................. 6:0;6:1
ნაკამურა-ლი უოტერსი .................. 6:3;6:3

**ისტბურნი. ატპ. ბალახი**

კიურეი-ისტომინი .................. 6:3;6:7;4:6
ტურსუნოვი-ბოგდანოვიჩი .. 6:7;6:4;7:6
ბენეტო-მაიერი ლ. .................. 4:6;4:6
დანჩევიჩი-უორდი .................. 7:6;6:4

**ჰერტოგენბოშში. ატპ. ბალახი**

ლოდრა-ბეკერი .................. 6;7;5:7
ფერერი დ-ნავარო ი. .................. 4:6;2:6

**ნიცა. ატპ. თიხა**

პაჩანსკი-რუფინი .................. 3:6;2:6
სანტოსი პ.-ჩერვენაკი .................. 3:6;3:6
ვენტურა-სმირნოვი!ა. .................. 7:6;6:1
რეკუდერკი-გავრონი .................. 6:1;6:0
რამირეს იდალგო-დასნიერესი
6:0;6:7;6:2

**მილანი. ატპ. თიხა**

დი მაურო-პიკარი .................. 6:4;6:3
მონკური-ჰენელი .................. 6:2;6:1
ოდესნიკი-ვანოცი .................. 6:4;6:1
ვოლანდრი-ნასო .................. 1:6;7:6;6:2
პუერტა-არანგურენი .................. 7:5;6:2

**ისტბურნი. ვტა. ბალახი**

ჩენგი-ვოზნიაკი .................. 6:7;3:6
სტოსური-ვოზნიაცკი .................. 1:6;7:5;1:6
მედინა გარიგესი-ბამერი .................. 6:1;7:5
რადვანსკაკა ა-ლი .................. 6:1;6:0
დემენტიევა-რაზანო .................. 0:6;6:3;6:7
ვოზნიაცკი-მაკაროვა .................. 6:3;6:2
რადვანსკა!ა.-რაზანო .................. 6:7;5:7
ბარტოლი-მედინა გარიგესი . 6:1;6:4

**ჰერტოგენბოშში. ვტა. ბალახი**

ვიკმაიერი-ბარიოლი .................. 6:1;6:1
სკიავონე-გოვორცოვა .................. 6:1;6:3
პენეტა-ტანასუგარნი .................. 6:2;3:6;3:6

## დღის კალენდარი

**19 ივნისი**



წლის 160-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 205 დღე.

### საეკლესიო კალენდარი

სულთმოფენობიდან მეორე შვიდეული. პარასკევი.

ხსენება ღირსთა მამათა: ბესარიონ საკვირველმოქმედისა, მეგვიპტელისა (IV-V) და ილარიონ ახლისა (845); ღირსთა ქალწულმოწამეთა: არქელაიასი, თეკლესი და სუსანასი (293).

ღირსი მამა ბესარიონ საკვირველმოქმედი ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში იჩენდა დიდ ღვთისმოსაობას. მონაზვნური ცხოვრების უფრო ახლოს გაცნობის სურვილით აღვსილმა წმიდა ადგილებში იმოგზაურა. იყო იერუსალიმშიც. შინ დაბრუნებული ბერად აღიკვეცა.ღმერთმა წმიდანს სასწაულმოქმედების ნიჭი უბოძა. წმიდანმა ღრმა სიბერეში მშვიდობით მიაბარა სული უფალს.

ღირსი მამა ილარიონ ახლის მშობლები ჭეშმარიტი ქრისტიანეები იყვნენ. 20 წლის ასაკში იგი ბერად აღიკვეცა ბიზანტიის მახლობლად ასიქიის სავანეში, საიდანაც იგი დალმატიის სავანეში გადავიდა. იქ იგი ღირსი მამა გრიგოლ დეკაპოლიტის მოწაფე გახდა.ხატთმბრძოლ იმპერატორ თეოფილეს დროს ღირსი მამა ილარიონი დააპატიმრეს, მხეცურად სცემეს და კუნძულ აფისიაზე გადაასახლეს.თეოფილეს სიკვდილის შემდეგ წმიდა ილარიონი დალმატიის მონასტერს დაუბრუნდა, იღუმენობა მიიღო და იქვე მშვიდად გარდაიცვალა 845 წელს.

წმიდა ქალწულმოწამენი არქელაია, თეკლე და სუსანა იმპერატორ დიოკლეტიანეს მიერ წამოწყებულ ქრისტიანთა დევნის დროს ევნენ.

### დაიბადნენ:

1623 — ბლეზ პასკალი, ფრანგი ფილოსოფოსი, მათემატიკოსი, ფიზიკოსი. გარდაიცვალა 1662 წელს.

1834 — ედგარ დეგა, ფრანგი ფერმწერი - იმპრესიონისტი. გარდაიცვალა 1892 წელს.

1887 — სირილ ჰინშელვუდი, ინგლისელი ფიზიკოს-ქიმიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 1967 წელს.

1924 — ვახტანგ გურგენიძე, ისტორიკოსი, მწერალი. გარდაიცვალა 1998 წელს.

1945 — აუნგ სან სუი კუი, მიანმას (ბირმის) ოპოზიციის ლიდერი, მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი.

### გარდაიცვალნენ:

1806 — კიტაგავა უტამარო, გამოჩენილი იაპონელი ფერმწერი და ფერადი გრავიურის ოსტატი.

1953 — ცოლ-ქმარი ეტელ და იულიუს როზენბერგები სიკვდილით დასაჯეს შეერთებულ შტატებში ჯაშუშობისთვის საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ.

### მოვლენები:

1862 — აშშ-ს მთელ ტერიტორიაზე გაუქმდა მონათმფლობელობა.

1947 — ამერიკელმა მფრინავმა ალბერტ ბოიდმა თვითმფრინავით ფ-80 პირველმა შეძლო განეხორციელებინა 1000 კმ?სთ სიჩქარით ფრენა.

1965 — ჩამოაგდეს ალჟირის პრეზიდენტი ბენ ბელა.

### ღირსსახსოვარი დღეები:

აშშ — მონათა გათავისუფლების დღე.

არგენტინა — დროშის დღე.

ქუვეიტი — დამოუკიდებლობის დღე.

ტრინიდადი და ტობაგო - შრომის დღე.

ალჟირი - რევოლუციის დღე

ტეხასის შტატი — ემანსიპაციის დღე

**მედიანიუსი**

# უცნაური ნიშნები გზაზე



ტაილანდში, სოფელ ხუანგ კონგის მახლობლად, ადგილობრივმა უხუცესებმა საგზაო ნიშნის „მანქანიდან გვამების გადმოგდება აკრძალულია“ დადგმა გადაწყვიტეს.

ეს გადაწყვეტილება მათ მას შემდეგ მიიღეს, რაც კაუჩუკის პლანტაციის ტერიტორიაზე ორი ქალის გვამი აღმოაჩინეს.

ტაილანდური სოფლის გარდა, სხვადასხვა ფორმატის ამკრძალავი ნიშნები მსოფლიოს მრავალ დასახლებულ პუნქტშიც არსებობს.

ასე მაგალითად, ბრიტანეთის ქალაქ უორინგტონის ვაგზალში მიმდინარე წლის გაზაფხულიდან კოცნა აკრძალეს. შესაბამისი ნიშნები რკინიგზის სადგურის მთელ ტერიტორიაზეა განთავსებული.

ვაგზლის ხელისუფლებისა და სატრანსპორტო კომპანია „ვირჯინ თრეინსის“ წარმომადგენლების თქმით, ერთმანეთის მოალერსე წყვილები ბაქნებზე მგზავრების მოძრაობას უშლიან ხელს.

ისიც აღსანიშნავია, რომ რამდენიმე კვირის შემდეგ ეს ნიშნები უფრო ირონიული „ცოტა სწრაფად მაკოცეთი“ შეცვალეს.

ჩეხეთში, შუა საუკუნეების ატმოსფეროთი გაჟღენთილ პატარა ქალაქ კრუმლოვში, ძველი ციხე-კოშკი მდებარეობს, რომლის სიმბოლოსაც დათვი წარმოადგენს. ტრადიციის თანახმად, ამ ციხე-კოშკის გარშემო თხრილში დათვია გაშვებული. ნიშანი, რომელიც ჩეხებმა ცხოველის ვოლიერთან დაკიდეს, თვალსაჩინოდ წარმოადგენს, თუ რატომ არ შეიძლება ვოლიერის კედელზე გადაძრომა.

მიუხედავად იმისა, რომ საბერძნეთში საჯაროდ გაშიშვლება არ შეიძლება, კუნძულ კრიტზე მრავალი ნუდისტური პლაჟი მდებარეობს. ერთ-ერთი ასეთი პლაჟის ხელმძღვანელობამ შესასვლელთან ნიშანი წარმოადგინა, რომელიც თვალნათლივ მიუთითებს, რომ საცურაო კოსტიუმითა და ფოტოაპარატებით პლაჟზე შესვლა აკრძალულია.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში საავტომობილო გზებზე შეიძლება ნახოთ ნიშანი, რომელიც ადგილობრივი ფაუნის წარმომადგენლების შესახებ გვაფრთხილებს. ასე მაგალითად, ტაილანდში საგზაო ნიშნები მძღოლებს მოხეტიალე სპილოების შესახებ აფრთხილებს, რომლებიც გზებზე მოძრაობას საგრძნობლად ართულებენ.

„ფრთხილად, კენგურუ!“ — ავსტრალიისათვის ეს ნიშანი უცხო ხილი არ არის. მას იმ ადგილებში აყენებენ, სადაც ეს ხტუნია ცხოველები მოძრაობას განსაკუთრებით უშლიან ხელს.

ახალ ზელანდიაში, დასახლებულ პუნქტ ომარუს მახლობლად, პატარა, ცისფერი პინგვინების კოლონია ბინადრობს. მათთვის პატარა სახლები აქვთ გამართული. დღეს ისინი ზღვაში ატარებენ, საღამოობით უკან ბრუნდებიან. მათი მარშრუტი საავტომობილო გზაზე გადის, სადაც შესაბამისი ნიშანი კიდია.

კანადაში, კუნძულ ნიუფაუნდლენდზე, ცხენირემი ფართოდ არის გავრცელებული. ამ ცხოველთან კონტაქტი ავტომოყვარულისათვის, მინიმუმ, მანქანის რემონტით შეიძლება დასრულდეს.

კუბა იმით არის განსაკუთრებული, რომ აქ ყველა საგზაო ნიშანს ხელით ხატავენ და ამიტომ ორ ერთნაირ ნიშანს ვერსად ნახავთ. მცირე ქალაქებში ძველი, რუსული საგზაო ნიშნებია შემორჩენილი.

აშშ-ის ხელისუფლებამ მექსიკის საზღვრის მახლობლად მდებარე ამერიკული ქალაქების გზებზე გამოფინეს ნიშანი, რომელიც მძღოლს უკანონო იმიგრანტების გამოჩენის შესახებ აფრთხილებს.

„ფრთხილად, სნაიპერი!“ — ეს საგზაო ნიშანი ჩრდილოეთ ირლანდიაში შეიძლება იხილოთ. იგი 90-იანი წლების ბოლოს გამოჩნდა, მაშინ როდესაც ირლანდიის რესპუბლიკური არმიის მეამბოხეებმა რამდენიმე ბრიტანელი ჯარისკაცი მოკლეს.

გარდა ამისა, ბრიტანეთსა და აშშ-ში, აგრეთვე რუსეთში, ზოგიერთ გზაზე ტანკების გამოჩენის ნიშანიც შეიძლება ნახოთ.

# მიქელანჯელოს პირველი ტილო ნიუ იორკში წარმოადგინეს



ნიუ იორკში, მეტროპოლიტენის მუზეუმში გაიხსნა „წმინდა ანტონიუსის წამების“ ექსპოზიცია. ამ სურათს დიდი მიქელანჯელო ბუონაროტის ჩვენამდე მოღწეულ პირველ ქმნილებად მიიჩნევენ.

როგორც ვარაუდობენ, რენესანსის დიდმა ოსტატმა ეს სურათი 12 ან 13 წლის ასაკში, ანუ 1487-1488 წელს შეასრულა.

მიქელანჯელოს დღეს, უპირველეს ყოვლისა, მოიხსენიებენ, როგორც აღორძინების ეპოქის მოქანდაკეს, თუმცა ხელოვნებაში მან თავისი გზა ფლორენციაში ხატვის შესწავლით დაიწყო.

დიდი ფლორენციელი ოსტატის ბიოგრაფები ამტკიცებენ, რომ ეს სურათი იმ დროისათვის კარგად ცნობილი გერმანელი მხატვრის, ჩრდილოეთის აღორძინების წარმომადგენლის, მარტინ შონგაუერის გრავიურის მიხედვით არის დახატული.

შონგაუერის სურათზე წმინდა ანტონიუსი დემონების მიერ წამების დროს არის გამოსახული.

მიუხედავად იმისა, რომ ეს სურათი სპეციალისტებისათვის მე-19 საუკუნის 30-იანი წლებიდან არის ცნობილი, სპეციალისტები მას სათანადო ყურადღებას არ უთმობდნენ. მე-19 საუკუნეში სურათი პიზაში ერთმა ფრანგმა მსახიობმა შეიძინა.

მისი პირველი გამოფენა 1874 წელს პარიზში გაიმართა. სპეციალისტებმა მისი ნამდვილობით დაეჭვება მაშინვე გამოხატეს. მე-20 საუკუნის დასაწყისში სურათი ლონდონის მკვიდრმა ერთმა ოჯახმა შეიძინა და მას შემდეგ დიდი ხნის განმავლობაში გამოფენილი აღარ ყოფილა.

ხელოვნებათმცოდნეებს მიაჩნდათ, რომ ეს სურათი მიქელანჯელოს უფრო ადრეული ნამუშევრის ასლს წარმოადგენდა.

გასულ წელს სურათი „სოთბის აუქციონზე“ თითქმის ორ მილიონ დოლარად გაიყიდა, შემდეგ იგი „მეტროპოლიტენს“ ექსპერტიზისათვის გადასცეს.

სპეციალისტებმა წმინდა ანტონიუსი და გარს შემოხვეული დემონები მრავალსაუკუნოვანი ჭუჭყისა და რესტავრატორების მიერ დამატებული საღებავებისაგან გაათავისუფლეს და თანამედროვე ტექნოლოგიების საშუალებით დაამტკიცეს, რომ სურათი მართლაც დიდი ოსტატის მიერ იყო შექმნილი.

ამასთან, გამოკვლევების შედეგად გაირკვა, რომ ახალგაზრდა მიქელანჯელომ შონგაუერის კომპოზიცია შეცვალა და განავითარა.

აღსანიშნავია, რომ გამოფენაზე იმავე ტილოს ასლი, გარდა ამისა, დანიელე დე ვოლტერის მიერ შესრულებული მიქელანჯელოს პორტრეტი „წმინდა ანტონიუსის“ გვერდით არიან გამოფენილი.

ამჟამად სურათი ტექსასის შტატის ფორტ უერტის კიმბელის მხატვრული მუზეუმის საკუთრებას წარმოადგენს და მიმდინარე წლის 7 სექტემბერს მას დაუბრუნდება.

იგი პირველი ამერიკული მუზეუმია, სადაც აღორძინების ხანის დიდი იტალიელი ოსტატის ნამუშევარი იქნება დაცული.

# სტივენ სპილბერგი მორიგი ინდიანა ჯოუნსისათვის ემზადება

ამერიკელმა რეჟისორმა სტივენ სპილბერგმა ინდიანა ჯოუნსის თავგადასავლების მორიგ, მეხუთე ფილმზე დაიწყო მუშაობა.

ამ განცხადებით ბიბისის ინტერვიუში მსახიობი შია ლეფები გამოვიდა. ფილმში „ბრინჯაოს თავის ქალა“ მან ინდიანას ვაჟის როლი შეასრულა.

ძნელი სათქმელია, რომ ამ გადაწყვეტილებამ ვინმეს გაკვირვება გამოიწვია. ჯერ კიდევ გასულ წელს სცენარისტი და პროდიუსერი ჯორჯ ლუკასი, გარდა მორიგი ფილმის გადაღებისა, მთავარ როლში 66 წლის ფორდის ნაცვლად ახალგაზრდა ლაბეფის გადაღების შესაძლებლობის შესახებ ლაპარაკობდა.

— სტივენ სპილბერგმა გამომიცადა, რომ, როგორც იქნა, ფილმისათვის შესაფერისი ისტორია გამოჩნდა და ვფიქრობ, რომ იგი უკვე მასზე მუშაობას შეუდგა, — განაცხადა მსახიობმა.

დეტალებზე საუბრისაგან მან თავი შეიკავა და მხოლოდ ის აღნიშნა, რომ ფილმში სპეცეფექტები საერთოდ არ იქნება.

შეგახსენებთ, რომ „ბრინჯაოს თავის ქალამ“, რომლის ბიუჯეტმა დაახლოებით 185 მილიონი დოლარი შეადგინა, გაქირავებაში თითქმის 800 მილიონი დოლარი მოაგროვა და დაამტკიცა, რომ ინდიანა ჯოუნსის მესამე და მეოთხე ფილმებს შორის, გასული 20 წლის მიუხედავად, მის მიმართ ინტერესი არამცთუ არ შემცირებულა, არამედ, პირიქით, გაიზარდა კიდეც.

# ააკარით პირზე პლასტირი!

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ბულად იქცევიან, გარდა ამისა, ბრიტანელი ჟურნალისტის აზრით, მათი ხმა ვაჟკაცური და სასიამოვნოა და ელექტროხერხის წივილს არ ჰგავს.

ასეა თუ ისე, ლარჩერ დე ბრიტოს მრავალი მეტოქე ჰყავს. დები უილიამსები ხშირად ბაღში მომუშავე გაზონის საკრეჭ მანქანაზე ხმამაღლა ყვირიან. მათი ყვირილის ძალა 95-90 დეციბელს აღწევს, მარია შარაპოვა კი 100 დეციბელსაც ადვილად აჭარბებს. ხმამაღლობის მიხედვით მისი ხმა თქვენს ფანჯრებთან მოტოციკლის ჩართული ძრავის ხმას შეიძლება შევადაროთ.

ლარჩერ დე ბრიტოს პირადი რეკორდია 109 დეციბელი. კიდევ ათი დეციბელი რომ დაუმატოს, რეაქტიული თვითმფრინავის ძრავას გაუწევს კონკურენციას.

ბრიტანელი ჟურნალისტის აზრით, ჩოგბურთელი ქალების ყვირილი იმდენად მიუღებელია, რომ ტურნირს ტელევიზორით რომ აჩვენებენ, ადამიანებს ისეთი შთაბეჭდილება შეიძლება შეექმნას, რომ მათი მეზობელი პორნოგრაფიულ ფილმს უყურებს.

— მსაჯებს უკვე აქვთ უფლება, დააჯარიმონ ის მოთამაშე, ვისი ყვირილიც მეტოქეს უშლის ხელს. ამჟამად ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაცია კორტზე ყვირილის მიმართ შეზღუდვების შემოღების საკითხს იხილავს. მსგავსი შეზღუდვები უკვე მოქმედებს ტანისამოსის, უხამსი ჟესტების, სიტყვიერი შეურაცხყოფისა და არასპორტულ ქცევასთან დაკავშირებით.

ბრიტანელი ჟურნალისტის აზრით, კორტზე კივილი ისეთივე არასპორტული საქციელია, როგორც მსაჯისაგან მალულად მეტოქისათვის იდაყვის სახეში ჩარტყმა. დიდი ფულადი პრიზებისათვის ჩოგბურთელები მცირეოდენი უპირატესობის მოსაპოვებლად ყველაფერზე არიან მზად.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ავსტრალიის დედაქალაქი; 2. ერთწლიანი მარცვლოვანი კულტურა; 3. მთიანეთი ავღანეთში; 4. ღვინის ვაჭარი ძველად; 5. მილების სისტემის მქონე, დიდი, კლავიშებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 9. ფრანგი კინორეჟისორი; 10. დახრილი მოედანი გემების წყალში ჩასაშვებად; 14. დამუხტული ელექტრონული ნაწილაკების ამაჩქარებელი დანადგური; 15. ექიმბაშის ძველი ქართული სახელწოდება; 16. მდინარე დასავლეთ საქართველოში; 19. კახეთის კულტურულ-ადმინისტრაციული ცენტრი მე-10 საუკუნეში; 20. ტბა სამხრეთ საქართველოში; 21. მთიანეთი აფრიკაში.

**თარაზულად:** 6. კოსმეტიკურ საშუალებათა ერთობლიობა; 7. ამერიკის კონტინენტზე გავრცელებული ძალზე პატარა, ჭრელი ჩიტი; 8. ესპანური ავიაკომპანია; 11. ზღვის სიღრმეში მოპოვებული წითელი ფერის ძვირფასი ქვა; 12. ბალეტ „გედების ტბის“ პერსონაჟი; 13. გემრიელი საჭმელების მოყვარული, მცოდნე ადამიანი; 17. იტალიის ეროვნული გმირი; 18. ქართველი მოკრივე, მსოფლიო ჩემპიონი; 22. თაფლისგან მომზადებული მათრობელა სითხე; 23. სითხის გამოსახდელი მინის ლაბორატორიული ჭურჭელი; 24. ორსართულიანი ბრიტანული ავტობუსი; 25. კორიდის ცხენიანი მონაწილე.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ზეკარი; 2. ხუცური; 3. „მალთაყვა“. 4. არღანი; 6. თუთიყუში; 8. ბილონი; 11. კელასური; 12. ჯინჯილა; 16. კაისა; 17. კელია; 18. კურსი.

**თარაზულად:** 1. ზაფხული; 5. სიათა; 7. ლაშქარი; 9. ასტურია; 10. კამბუზი; 13. ნარვალი; 14. ფეტიში; 15. მილი; 19. „აჯამეთი“; 20. ბენეფისი; 21. „ნატახტარი“; 22. „მილანი“.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. მოლუსკი; 2. ესტრადა; 3. შტუტგარტი; 4. ბაგები; 5. ეტრატი; 9. „ფანტა“; 10. სნუკერი; 14. მარკეტინგი; 15. ხურცილავა; 16. ღალატი; 19. დოლმენი; 20. რუტინა; 21. „დიროლი“.

**თარაზულად:** 6. კონოსამენტი; 7. ინფანტი; 8. ბუხარა; 11. გამბიტი; 12. ადენი; 13. კრედიტი; 17. ბუტაფორია; 18. „ხვანჭკარა“; 22. ბულბული; 23. ტრიესტი; 24. ანსამბლი; 25. „ტარიბანა“.

# ბოლივიის ლიდერი პერუს მტრად გამოაცხადეს

პერუს საგარეო საქმეთა მინისტრმა ხოსე ანტონიო გარსია ბელაუნდემ მეზობელი ქვეყნის, ბოლივიის პრეზიდენტ ევო მორალესს, მას შემდეგ, რაც ბოლივიიდან პერუს ელჩი შინ გაიწვიეს, ხალხის მტერი უწოდა.

ასეთი იყო ოფიციალური პერუს რეაგირება მეზობელი ქვეყნის პრეზიდენტის განცხადებაზე, რომელიც პერუში, ამაზონის სათავეებში მიწაზე უფლებასთან დაკავშირებით მომხდარ სისხლისმღვრელ შეტაკებებს ეხებოდა.

მიმდინარე წლის ივნისში პერუს ამაზონიის რაიონში პერუს პოლიციის მიერ ინდიელების მიერ აგებული ბარიკადების აღების მცდელობისას მომხდარი შეტაკებების შედეგად არანაკლებ 34 ადამიანი დაიღუპა.

პერუს პრეზიდენტმა ალან გარსიამ მოსახლეობის უკმაყოფილება რაღაც უცხოური ძალების მოქმედებას დაუკავშირა.

როგორც ჩანს, იგი ვენესუელასა და ბოლივიას გულისხმობდა, რომლის ხელმძღვანელებიც, უგო ჩავესი და ევო მორალესი, დასავლეთისა და იმ მეზობლების მიმართ, რომლებიც აშშ-სთან მჭიდრო კავშირის დამყარებას ცდილობენ, მკვეთრი ხასიათის განცხდებებით არიან ცნობილი.

როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, პერუსა და ბოლივიას შორის ურთიერთობა ასეთი დაძაბული არასდროს ყოფილა.

ევო მორალესმა, ლათინურ ამერიკაში პირველმა ინდიელმა ლიდერმა, პერუში აბორიგენი მოსახლეობის წარმომადგენლების დაღუპვას გენოციდი უწოდა.

ამასთან, მან განაცხადა, რომ კონფლიქტი თავისუფალი ვაჭრობის პრინციპების ერთგულებამ გამოიწვია.

სავარაუდოდ, იგი აშშ-სა და პერუს შორის დადებულ შეთანხმებას გულისხმობდა, რომლის მიხედვითაც ამაზონიის აბორიგენი მოსახლეობა საფრთხეს უქმნის იმ მიწას, რომელზეც ისინი ცხოვრობენ.

პასუხად პერუს საგარეო საქმეთა მინისტრმა გარსია ბელაუნდემ განაცხადა, რომ, როგორც ჩანს, ბოლივიის ლიდერი მესიის როლის შესრულებასა და პერუს მოსახლეობის ამ ქვეყნის მთავრობისაგან გათავისუფლებას ცდილობს.

ამასთან, პერუს საგარეო პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელმა მანამდე პრეზიდენტ გარსიას მიერ გამოთქმული ბრალდებები უფრო დააზუსტა. ბელაუნდეს თქმით, მრავალი რამ მიანიშნებს, რომ პერუში დაწყებული არეულობების უკან ბოლივია იდგა.

მანამდე პერუს ლიდერმა განაცხადა, რომ ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეები მის ყველა მოქალაქეს ეკუთვნის და არა მათ, ვინც ამა თუ იმ კონკრეტულ ტერიტორიაზე დაიბადა.

# ირანში საპროტესტო აქციის შედეგად დაღუპულ ადამიანებს გლოვობენ




ირანში კვლავაც გრძელდება მანიფესტაციები, რაც პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატის, რეფორმისტი პოლიტიკოსის მირ ჰოსეინ მუსავის მოწოდებასთან არის დაკავშირებული.

მუსავიმ მოსახლეობას მოუწოდა, ხუთშაბათი დღე უშიშროების ძალებთან ორშაბათს მომხდარი შეტაკების დროს დაღუპული რვა ადამიანის ხსოვნის დღედ გამოეცხადებინათ.

მუსავიმ თავის მომხრეებს თეირანში მოკლული 8 ადამიანის ხსოვნის აღსანიშნავად მშვიდობიანი დემონსტრაციების ან მეჩეთებში თავმოყრისაკენ მოუწოდა.

გასულ პარასკევს გამართული არჩევნების შედეგად მეორე ვადით მოქმედი პრეზიდენტი მაჰმუდ აჰმადინეჟადი აირჩიეს. ოფიციალური მონაცემების თანახმად, მას ამომრჩევლების ორმა მესამედმა დაუჭირა მხარი.

ოპოზიციამ არჩევნების შედეგებს გაყალბებული უწოდა. შაბათს, არჩევნების გამოქვეყნების მომენტების შემდეგ, ირანში საპროტესტო გამოსვლები არ წყდება.

ირანის დედაქალაქში, გარდა ამისა, მაჰმუდ აჰმადინეჟადის მხარდამჭერი დემონსტრაციებიც გაიმართა.

ირანის უზენაესმა ლიდერმა აიათოლა ალი ჰამენეიმ დაპირისპირების შეწყვეტისაკენ მოუწოდა. ირანის ხელისუფლები ხმების გადათვლის მოწოდებითაც გამოვიდნენ, თუმცა ოპოზიცია ახალი არჩევნების გამართვას მოითხოვს.

შვეიცარიის ელჩს, რომელიც ირანში აშშ-ის ინტერესებს წარმოადგენს, ირანის ხელისუფლებმა პროტესტი გამოუცხადეს, რაც, მათი აზრით, ირანის საშინაო საქმეებში აშშ-ის დაუშვებელ ჩარევასთან არის დაკავშირებული.

როგორც სახელმწიფო ტელეარხმა განაცხადა, ირანის ხელისუფლებმა აშშ არეულობისაკენ წაქეზებაში დაადანაშაულეს.

აშშ-სა და ირანს შორის დიპლომატიური ურთიერთობები 1979 წელს ისლამური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ გაწყდა.

თეირანის პროტესტის პასუხად თეთრი სახლის პრესმდივანმა რობერტ გიბსმა განაცხადა, რომ აშშ-ის პრეზიდენტი ბარაქ ობამა კვლავაც დაიცავს ირანელების უფლებას, გამართონ მშვიდობიანი პროტესტი პრეზიდენტის არჩევნების შედეგთან დაკავშირებით, ამასთან, ირანის საშინაო საქმეებში ჩარევის გარეშე.

აშშ-ის ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა ჰენრი კისინჯერმა ბიბისის ინტერვიუში განაცხადა, რომ თეირანის დემონსტრაციები ირანში მიმდინარე ცვლილებების ნიშნად მიაჩნია.

კისინჯერმა განაცხადა, რომ ეს დემონსტრაციები, მიუხედავად იმისა, თუ რომელი კანდიდატი დაიკავებს პრეზიდენტის პოსტს, შემობრუნების წერტილად მიაჩნია, რადგან ისლამურ რესპუბლიკაში არჩევნების სტრუქტურის ან შედეგთან დაკავშირებით საპროტესტო მასობრივი გამოსვლები პირველად მიმდინარეობს და ირანის უზენაესმა ლიდერმა სახალხო დემონსტრაციების წინაშე პირველად დაიხია უკან.

# ევროკავშირი პაკისტანს ფულით დაეხმარა

ევროკავშირმა პაკისტანს ფულადი დახმარების სახით 100 მილიონი დოლარი გამოუყო.

ეს გადაწყვეტილება ბრიუსელში პაკისტანის პრეზიდენტის ასიფ ალი ზარდარისა და ევროკავშირისა და ნატოს ბლოკის ხელმძღვანელების შეხვედრის შემდეგ მიიღეს.

ამ შეხვედრის დროს ეკონომიკური თანამშრომლობისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები განიხილეს.

ეს ფული, უპირველეს ყოვლისა, განკუთვნილია იმ ორ მილიონამდე ლტოლვილისათვის, რომლებიც იძულებული გახდნენ, ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე სვატის დაბლობი მიეტოვებინათ.

მიმდინარე წლის აპრილში პაკისტანის ხელისუფლებმა სვატის დაბლობში თალიბანის მეამბოხეების წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედება წამოიწყეს. მას შემდეგ პაკისტანში თვითმკვლელთა თავდასხმები გახშირდა, თალიბების ლიდერი ბაითულა მეჰსუდი კი კვლავინდებურად თავისუფალია.

ნატოს შტაბბინაში გამართული პრესკონფერენციის დროს ზარდარიმ განაცხადა, რომ პაკისტანის მთავრობას თალიბების წინააღმდეგ ბრძოლის გაგრძელება აქვს გადაწყვეტილი.

პაკისტანთან მიმდინარე მოლაპარაკებები რეგიონში არსებული მდგომარეობით ევროკავშირის შეშფოთების ნიშანს წარმოადგენს. თალიბების წინააღმდეგ მიმდინარე საომარი ოპერაციის წარმატებაზე რეგიონში ნატოს მისიის წარმატება უშუალოდ არის დამოკიდებული. ევროკომისიის თავმჯდომარე ჟოზე მანუელ ბაროზუმ განაცხადა, რომ მხარს უჭერს პაკისტანს თალიბანის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მისი თქმით, ევროკავშირი 124 მილიონი ევროს გამოყოფას აპირებს, აქედან 72 მილიონი ჰუმანიტარული დახმარება იქნება, 52 მილიონი ეკონომიკურ კრიზისთან საბრძოლველად იქნება გამიზნული.

ევროპისა და პაკისტანის დიალოგის მნიშვნელოვან ასპექტად იქცა ეკონომიკური თანამშრომლობა. პაკისტანი არა ჰუმანიტარული თანამშრომლობით, არამედ ევროპასთან ვაჭრობის გაფართოებით არის დაინტერესებული.

ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის, ჩეხეთის პრეზიდენტმა, ვაცლავ კლაუსმა, განაცხადა, რომ პაკისტანთან მოლაპარაკებები წარმატებული იყო.

მისი თქმით, მოლაპარაკებების ერთი ასპექტი ჰუმანიტარული იყო, მეორე — ეკონომიკური — პაკისტანისათვის ევროპის ბაზრის გახსნა.

ევროკავშირი პაკისტანს პირველად არ ეხმარება. მანამდე ევროკომისიამ პაკისტანის გრძელვადიანი განვითარებისათვის 670 მილიონი დოლარის გამოყოფა გადაწყვიტა.

# ევროკავშირი რუსეთიდან გაზის ტრანსპორტირებაზე ზრუნავს




უკრაინის ტერიტორიის გავლით რუსული გაზის ევროპაში ტრანსპორტირების პერსპექტივებმა ევროკავშირი სერიოზულად შეაფიქრიანა და ბრიუსელში ევროკომისიის სამიტის წინ გაზის ჯგუფის საკოორდინაციო სხდომა დაინიშნა.

ევროკომისიის თავმჯდომარე ჟოზე მანუელ ბაროზუმ ევროპის გაზის კონცერნების ხელმძღვანელებთან შეხვედრის დროს არსებული ვითარება განიხილა და ენერგეტიკული უსაფრთხოების განმტკიცების გეგმები დასახა.

გასულ კვირას მუშაობა დაასრულა უკრაინასა და რუსეთში მყოფმა ევროპელი ექსპერტების მისიამ. მისმა მონაწილეებმა დასკვნები საკოორდინაციო ჯგუფის სხდომაზე წარმოადგინეს. სხდომას „გაზპრომისა“ და უკრაინული „ნაფტოგაზის“ წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

ხუთშაბათს გამართული შეხვედრის დროს საქმის ტექნიკური მხარე განიხილეს. ამასთან, ცნობილია, მოსკოვიდან და კიევიდან დაბრუნების შემდეგ ექსპერტებმა ევროკომისია გააფრთხილეს, რომ უკრაინა რუსული გაზის ასანაზღაურებელ სახსრებს ივლისისთვის ამოწურავდა.

ევროკავშირის ქვეყნებისათვის გაზის მიწოდების მთავარი პრობლემა დაკავშირებულია იმასთან, რომ უკრაინას რუსული გაზის მიწოდების ანაზღაურებისათვის საჭირო სახსრები არ გააჩნია.

უკრაინა ამჟამად გაზის მიწოდებისათვის საჭირო 4 მილიარდ დოლარს ეძებს.

„გაზპრომის“ წარმომადგენლების თქმით, უკრაინის ფინანსური პრობლემების გამო ამჟამად მიწისქვეშა საცავებში გაზის ჩატუმბვა არ მიმდინარეობს.

მიმდინარე წლის მაისში უკრაინა მიწისქვეშა საცავებში დღე-ღამეში 25-35 მილიონ კუბურ მეტრ გაზს ტუმბავდა, მაშინ როდესაც გასულ წელს ეს მაჩვენებელი 170-180 მილიონს შეადგენდა.

ამასთან დაკავშირებით რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმირ პუტინმა განაცხადა, რომ მიწისქვეშა საცავებში გაზის ჩატუმბვის გარეშე უკრაინა „ვერ გადარჩება“ და იძულებული გახდება, საექსპორტო მილიდან აიღოს გაზი.

ამასთან, უკრაინის პრემიერ-მინისტრი იულია ტიმოშენკო აცხადებს, რომ ევროკავშირში რუსული გაზის მიწოდებასთან დაკავშირებით პრობლემები არ შეიქმნება. ისიც ცხადია, რომ უკრაინის მთავრობას რუსული გაზის შესაძენად ფული არ გააჩნია. მაისში რუსული გაზის ღირებულების გადასახდელად უკრაინა იძულებული იყო, 500 მილიონი დოლარის გრივნის ემისია მოეხდინა.

რუსეთი ევროკავშირს სთავაზობს, უკრაინას დაეხმაროს. თავდაპირველად ევროკომისიის ხელმძღვანელმა ეს აზრი უარყო. ჟოზე მანუელ ბაროზუმ მაისის ბოლოს განაცხადა, რომ ევროკავშირისათვის, პრაქტიკულად, შეუძლებელი იქნება ამის გაკეთება. ამასთან, მან განაცხადა, რომ ამ იდეას 18 ივნისს, ევროკავშირის წევრი ქვეყნების ლიდერების სამიტზე განიხილავდა.

ოთხშაბათს, კიევში ვიზიტის დროს, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერმა განაცხადა, რომ ევროკავშირს გაზის პრობლემების გადაწყვეტის მიზნით უკრაინისათვის სახსრების გამოსაყოფად პოლიტიკური ნება ეყოფა.

ექსპერტების შეფასებების თანახმად, მიწისქვეშა საცავებში გაზის ჩატუმბვის მიზნით უკრაინას დაახლოებით 4.7-4.8 მილიარდი დოლარი ესაჭიროება.

უკრაინის პრემიერ-მინისტრმა იულია ტიმოშენკომ ოთხშაბათს განაცხადა, რომ ამ მიზნით 4 მილიარდი დოლარის ევროპული ბანკებიდან სესხების შესაძლებლობას იხილავს.

ტიმოშენკოს თქმით, მიმდინარეობს მოლაპარაკებები ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან.

მოსალოდნელია, რომ უკრაინისათვის კრედიტის გამოყოფის საკითხს ბრიუსელში 18-19 ივნისს განიხილავენ.

მიმდინარე წლის მაისში მოსკოვმა კიევს 5 მილიარდი დოლარი კრედიტის გამოყოფაზე უარი უთხრა.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

# სამგლოვიარო განცხადებები

მეუღლე ჟუჟუნა ჟვანია-ზუხბაია, შვილები მანანა, მზია, პაატა ზუხბაიები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან მეუღლისა და მამის

**ინგიშერ პლატონის ძე ზუხბაიას**

გარდაცვალებას.

სამოქალაქო პანაშვიდი: 18, 19 ივნისს, 15 საათზე, თემქა, XI მიკრორაიონი, II კვარტალი, კორპუსი 22ა, ბინა 52.

დაკრძალვა: შაბათს, 20 ივნისს, 15 საათზე.

გამოსვენება: საბურთალოს მაცხოვრის ამაღლების ეკლესიიდან.

---

იზო და რევაზ ხურცილავები ოჯახით იუწყებიან

**ინგიშერ პლატონის ძე ზუხბაიას**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

თამუნა და ბაჩი ლომიები ოჯახით ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობენ პაატა და თეა ზუხბაიებს მამისა და მამამთილის

**ინგიშერ პლატონის ძე ზუხბაიას**

გარდაცვალების გამო.

---

**ლერი ბორისის ძე კირვალიძის გახსენება**



ბატონი ლერი 1939 წლის 17 ივნისს დაიბადა. მთელი მისი ცხოვრება ვაჟკაცობის მაგალითია. 67 წლის ასაკში მძიმე ავადმყოფობამ სძლია და მისმა სულმა მარადისობაში გადაინაცვლა.

წელს, 2009 წლის 17 ივნისს, ბატონი ლერი 70 წლის გახდებოდა. დააკლდათ მისი სითბო ოჯახს, შვილებს, შვილიშვილებსა და ახლობლებს.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული და მსუბუქი ყოფილიყოს მასზე დაყრილი მიწა!

*ზაურ გობრონი ის ოჯახი*

---



შვილები მურად, ზოია ბუაძეები, რძლები ნანა წილოსანი, თამუნა მუჯირი, სიძე დათო პეტრიაშვილი, შვილიშვილები ოთარ, ზურიკო ბუაძეები, ივანე, მირიან პეტრიაშვილები, შვილთაშვილი ნიკა ბუაძე, ძმები ჯიმშერ, ჯენილ ფოფხაძეები, და მედიკო კობახიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ჯანიკო ბუაძე (ფოფხაძე)**

გამოსვენება: 20 ივნისს, 14 საათზე, ქ.ტყიბული, ჭავჭავაძის №15.

დაკრძალვა: ამბროლაურის რაიონის სოფელი ხონჭიორი.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

**პარასკევი 19 ივნისი**

**07.30** "ალიონი" **10.00** სერ. **"შვიდი ცოდვა"** **11.00** "სამოთხის ვაშლები" **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** დოკ. ფილმი "ჩემი ლუარას ნაპირი" **13.30** "ერისთავის სათვალე" **14.30** მოამბე რუსულ ენაზე **15.00** სერ. **"გზა ავონლეასკენ"** **16.30** ან. სერ. "ტომი და ჯერი" **17.00** სერ. **"მესამე თაობა"** **18.00** დოკ. ფ. "კიური, კიბოსთან ბრძოლის ინსტიტუტი" **18.30** დოკ. ფ. "არქიტექტურა" **19.00** სერ. **"ვერონიკა მარსი"** **20.00** მოამბე **20.30** "სიზმარვიზია" **21.00** სერ. **"ქალი სარკეში"** **22.00** ფილმების ციკლი: "დამოუკიდებლობის **1005** დღე" **23.00** წითელი ზონა **00.00** დოკ. ფილმი "დაბადებული საქართველოში" **01.00** მხ. ფილმი **"გზააბნეული ანგელოზი"** (18) **03.05** მოამბე

**19.00** ან. ფ."ტომი და ჯერი" **19.25** "სიზმარვიზია" **19.40** სერ. "შვიდი ცოდვა" **20.25** სამოთხის ვაშლები **21.15** დოკ. ფილმი "დიდი სპორტული ორთაბრძოლები" **22.00** დოკ. ფ."ბაიას კერძები" **22.50** მხ. ფ. **"მფრინავები"** (U)

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** მულტსერ. **10.00** სერ. **"სამი და"** **11.00** სერ. **"გზების რაინდი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.40** კურიერი **12.20** სერ. **"დონა ბარბარა"** **13.30** ბიზნეს-კურიერი **14.00** სერ.**"მოპარული ცხოვრება"** **15.25** სერ. **"ჩვენი ოფისი"** **15.50** სერ. **"უშნო ბეტი"** **16.50** სერ. **"დონ ხუანი და ლამაზმანი"** **18.30** სერ. **"ჩვენი ოფისი"** **19.00** სერ.**"შურისძიების ცეცხლი"** **19.50** სერ. **"დონა ბარბარა"** **21.50** თოქ-შოუ "პოზიცია" **23.00** ვანოს შოუ **00.10** პატრული **00.40** კინოჰიტი **"დარტყმული პროფესორი"** (18)(ე.მერფი)

**08.35** დოკ. ფილმი **09.05** მულტფილმი "ნორმალური ნორმანი" **18.00** სერ. **"კონონ დოილის ქრონიკები"** **11.00** სერ. **"სინიორ ვიანელო"** **11.30** სერ.**"მისი სულის მუსიკა"** **12.30** ფარული კამერა **13.10** მხ. ფილმი **"პლუტონეშის თავგადასავალი"** **15.30** სერ. **"საინფილდი"** **15.50** საბ.სერ.**"დრაკონის ბეჭედი"** **16.35** სერ.**"მისტერ მკვლელობა"** **17.30** "პულსი" **18.00** სერ. **"კონონ დოილის ქრონიკები"** **19.05** სერ. **"სინიორ ვიანელო"** **19.30** თოქ-შოუ "სტუდენტური დემოკრატია" **21.00** მხ. ფილმი **23.30** დიდი კინო **01.30** დოკ. სერ. "ტაიმსლოტი"

**08.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"ვიქტორია"** **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **11.20, 14.40** ტვ-მარკეტი **11.35** სერ. **"ძილის წინ"** **12.00** სერ. **"განრისხებული ანგელოზი"** **13.00** კაპიტალი **13.30** ჟურნალისტის დღიური **14.55** სერ. **"ყავა და ლუდი** – კაზინო" () **16.00** დღის ქრონიკა **17.35** "მე ვარ ქალი" **18.00** სერ.**"სიყვარულის აჩრდილი"** **19.05** სერ. **"ვიქტორია"** **21.00** სერ. **"განრისხებული ანგელოზი"** **22.00** ღამის შოუ **23.00** გასართობი შოუ "ქალები თუ კაცები" **00.15** სერ. **"24-4"** (U) **01.15** მხ. ფილმი **"კასანდრას ოცნება"** (15) (კ. ფარელი) **03.10** ქრონიკა **03.20** მხ. ფ. **"დინგი"** (კ. რიჩი)

**08.00, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30** "დრო" **08.15** მულტფილმი **09.30, 18.00** დოკ. ფილმი **10.30, 19.30** სერ. **"სიამაყე"** **11.45, 21.00** სერ. **"საძაგელი იხვის ჭუკი"** **12.45** მხ. ფილმი **"ჩემი დიდი ბერძნული ქორწილი"** **14.50** დოკ. ფილმი **15.30** მხ. ფ.**"დაუმარცხებელი"** **19.00** ნოვოსტი **19.15, 22.00** მუსიკა **23.00** "ექსკლუზივი" **00.00** მხ. ფილმი **"ცრუ გატაცება"** (ა. ჯოლი)

მაესტრო **08.00** მუსიკა **10.00, 11.00** პროფესია ჟურნალისტი **11.45, 12.45** უკომენტაროდ **12.00** უცნობი კავკასია **13.00** პროფესია ჟურნალისტი **13.45, 14.45** უკომენტაროდ **15.45, 16.45** უკომენტაროდ **17.00, 18.00** გამოკითხვა **17.45, 18.45** უკომენტაროდ **19.00** პროფესია ჟურნალისტი **19.45, 20.45** უკომენტაროდ **20.00** უცნობი კავკასია **21.00, 22.00** პროფესია ჟურნალისტი **22.45** უკომენტაროდ **23.00** "საკანი **5**" (პირდ.)

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2009 წლის 19 ივნისს ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი დააფიქსირა:

აშშ დოლარი — 1,6770
ევრო —2,1672
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,4357
რუსული რუბლი — 0,0464

## ამინდის პროგნოზი 19 ივნისისთვის

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 28-33, ღამით — 17-21
**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 39-33, ღამით — 21-23
**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 25-27, ღამით — 13-16





ქართული ფლორის საოცრება

## „სალხინო" უებარი წამალია



"სალხინო" აწესრიგებს შარდ-სასქესო ორგანოების მოქმედებას, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა,შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, აგვარებს თესლის ნაადრევ გამოყოფას, აღადგენს სექსუალურ სისუსტეს. წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს; პირის ღრუს, სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების: ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის; კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

პრაქტიკამ დაადასტურა ისიც, რომ "სალხინო" სარძევე ჯირკვლების დაავადებების დროს ხსნის ტკივილებს მკერდის, ბეჭის და იღლიის არეში. მასტოპათიების შემთხვევაში, უნარი აქვს გაიწოვოს სიმსივნური წარმონაქმნები. თუ გამოიყენებთ "სალხინო"-ს მშობიარობის შემდეგ (პროფილაქტიკის მიზნით), აიცილებთ მასტიტს და შეინარჩუნებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით. „სალხინო"-ში შემავალი უნიკალური ნივთიერებების არსებობა და მისი უებარი სამკურნალო თვისებები შემოწმებულია და დამტკიცებულია სხვადასხვა ქვეყნების ათეულობით სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების ლაბორატორიებში, კლინიკებსა და კათედრებზე. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

"სალხინოს" შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებ-გვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.


# ესპანეთი პირველი ნახევარფინალისტია

## ბლატერმა საყვირები დაიცვა



კონფედერაციის თასზე „ა" ჯგუფში მეორე ტურის მატჩები გაიმართა და უკვე გაირკვა პირველი ნახევარფინალისტი. ესპანეთის ნაკრებმა, ბოლო მატჩის შედეგის მიუხედავად, გაინაღდა ჯგუფიდან გასვლა, ხოლო ახალი ზელანდიის ნაკრები ერთადერთი გუნდია, რომელსაც ეს შანსი აღარ აქვს.

**ესპანეთი-ერაყი 1:0**
**1:0 ვილია (55)**

**ესპანეთი:** კასილიასი, სერხიო რამოსი, პიკე, მარჩენა, კაპრევილია, ხავი (ბუსკეტსი 82), ხაბი ალონსო, მატა, კაზორლა (სილვა 67), ვილია (გუიზა 74), ტორესი.

**ერაყი:** კასიდი, ალი ქარიმი, აბასი, მაჯიდი, აკრამი, მულა (ჯასიმი 82), მოჰამედი, შაკერი, რეჰემა, ზაჰრა (მაჰმუდი 80), საიდი (ქარიმი 60), ჰალიდი.

ესპანელთა მწვრთნელმა ვისენტე დელ ბოსკემ ახალზელანდიელებთან ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ გუნდი რამდენადმე გადაახალისა. როგორც თავად მწვრთნელმა ახსნა, მისი სურვილია, ტურნირზე რაც შეიძლება მეტი ფეხბურთელი გამოსცადოს. ალბიოლი, პუიოლი, ფაბრეგასი და რიერა სათადარიგოთა სკამზე დარჩნენ, მაგრამ ესპანელებს მათ გარეშეც ძლიერი გუნდი ჰყავთ, თუმცა ზელანდიელებთან ფეიერული მატჩის შემდეგ ერაყელებთან გუნდმა დიდი ვერაფერი სახარბიელო მატჩი აჩვენა.

ერაყელთა მწვრთნელი ბორა მილუტინოვიჩი კი ცდილობს, თავისი ფეხბურთელებიდან მაქსიმუმი გამოწუროს. სტადიონზე შეკრებილი მაყურებელი გაოცებული დარჩა პირველი ტაიმის შემდეგ ტაბლოზე დაფიქსირებული ანგარიშით, უფრო მეტად კი ესპანელთა თამაშით. მართალია, „ფურია როხამ" ერაყელებს მაღალი ტემპი შესთავაზა, მაგრამ კარში დარტყმას პრაქტიკულად ვერ ახერხებდა. ფერნანდო ტორესი და დავიდ ვილია მცველებს ვერ ჯაბნიდნენ, მათი მოუმზადებელი დარტყმები კი მიზანს მიღმა მიდიოდა. თავდამსხმელთა დახმარება რამდენჯერმე მცველებმაც სცადეს, მაგრამ ვერც მათმა მცდელობამ გამოიღო შედეგი. აზიელები პირველი ტაიმის შედეგით კმაყოფილნი დარჩნენ, რასაც ვერ ვიტყვით მაყურებელზე — ერაყელები მთელი ტაიმის განმავლობაში მხოლოდ იმას ცდილობდნენ, ბურთი არ გაეშვათ, მათი ერთადერთი ნომინალური თავდამსხმელი კი ესპანელ მცველებში ისე იყო ჩაკარგული, რომ, იყო თუ არა მოედანზე, საკითხავი ჩანდა.

მეორე ტაიმში ესპანელებმა გადაწყვიტეს, „თამაშისთვის" თავი დაენებებინათ და უფრო აგრესიულად შეუტიეს. ვილიამ რამდენიმე კარგი მომენტი გააფუჭა, თუმცა 55-ე წუთზე კაპდევილიას ჩაწოდებულს ყველაზე მარჯვედ დაუხვდა და მატჩის ერთადერთი გოლი გაიტანა.

ესპანელებს კიდევ ჰქონდათ მომენტები, მაგრამ ვერ გამოიყენეს, ხოლო ერაყელებს საერთოდ არაფერი შეუქმნიათ მეტოქის კართან. პირინეიელები უკვე ნახევარფინალში არიან და მეტოქეს ელოდებიან.

ესპანელებმა ზედიზედ მე-14 მატჩი მოიგეს, ხოლო 34 მატჩია არ წაუგიათ, რაც ერთით ჩამორჩება ბრაზილიის ნაკრების მიღწევას. მის გასამეორებლად პირინეიელებს სამხრეთ აფრიკასთან დარჩენილი ჯგუფური მატჩის არწაგებაც ყოფნით, ხოლო გაუმჯობესებაზე ნახევარფინალში უნდა იფიქრონ, და, შესაძლოა, თვით ბრაზილიასთან შეხვედრაში.

— ესპანელებს ყოველთვის ჰყავდათ კარგი ფეხბურთელები. ისინი სიამოვნებას იღებენ თამაშით. ვფიქრობ, ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია გამარჯვების მისაღწევად. ესპანეთს ახლა ისეთი თაობა ჰყავს, როგორც ბრაზილიას — 70-იან და საფრანგეთს 90-იან წლებში. რაოდენ არ უნდა გაგიკვირდეთ, ამ მარცხით მოხარული ვარ, მეტიც, აღფრთოვანებული. კმაყოფილი ვარ ჩემი გუნდის თამაშით და იმით, რომ


გაგრძელება მე-9 გვერდზე


# აკარით პირზე პლასტირი!



მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი და ალბათ ყველაზე კონსერვატიული საჩოგბურთო ტურნირის, უიმბლდონის დაწყების წინ ინგლისელმა სპორტულმა ჟურნალისტებმა კვლავ ქალი ჩოგბურთელების მიერ კორტზე გამოცემული ხმის საკითხი დასვეს.

— რამე მოუხერხეთ ამ ჰარპიებს, რომლებსაც გაუმართლებლად დიდ ფულს უხდიან, ვთქვათ, პლასტირით აუკარით პირი, — აცხადებს გაზეთ „დეილი მეილის" ჟურნალისტი ჯული უელჩი.

მისი აზრით, ადრე ქალების ჩოგბურთის ცქერა საკმაოდ მოსაწყენი იყო, ახლა კი პირდაპირ აუტანელია. მისი აზრით, ჩოგბურთელი ქალების ყვირილი ძალიან აგრესიული და მიუღებელია.

წარსულში კორტზე ასეთი მიუღებელი ქცევის მაგალითს მონიკა სელეში წარმოადგენდა. მისი კარიერის დასრულების შემდეგ ესტაფეტა რუსმა მარია შარაპოვამ გადაიბარა.

მიუხედავად ამისა, უელჩის უკმაყოფილების ობიექტად შარაპოვას ნაცვლად ნაკლებად სახელოვანი 16 წლის პორტუგალიელი მიშელ ლარჩერ დე ბრიტო იქცა, რომელმაც სახელი არა იმდენად თამაშით, რამდენადაც კორტზე კივილით გაითქვა.

მიმდინარე წლის მაისში, საფრანგეთის ღია ჩემპიონატის დროს, მიშელის კივილით დაღლილმა მაყურებელმა სტვენა დაიწყო. პორტუგალიელის კივილზე მისმა მეტოქემაც კი დაიჩივლა, რომელმაც იგი მესამე წრეში დაამარცხა.

ჩოგბურთელ მამაკაცებთან სხვაობას ჩოგბურთელი ქალები მომეტებული ყვირილით ცდილობენ. ენერგიისა და კუნთების დეფიციტს ისინი სწორედ დეციბელებით ავსებენ.

წარსულში უფრო მამაკაცები, მაგალითად, მაკინროი და აგასი იყვნენ ცნობილი კორტზე ყვირილით, ამჯერად კი მამაკაცები კორტზე გაცილებით თავშეკავე-


გაგრძელება მე-10 გვერდზე


## ასტროპროგნოზი 19 ივნისისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!** ეს დღე მშვიდად გაატარეთ.

**ვერძი** — პოზიტიური დღეა, თამამად იმოქმედეთ. **კურო** — რისკი არ არის გამართლებული, ეს დღე მშვიდად გაატარეთ. **ტყუპები** — მშვენიერი დღე გაქვთ წინ, თქვენი საქმე კარგად მიდის. **კირჩხიბი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **ლომი** — ახალ სამსახურში თავს კომფორტულად იგრძნობთ, უფროსობას თვალში მოხვდებით. **ქალწული** — ეს დღე საკუთარ თავს დაუთმეთ, სხვები მოიცდიან. **სასწორი** — გზიდან კარგ ამბავს გაიგებთ, გახარებუოლი ხართ. **ღრიანკალი** — რისკი არ არის გამართლებული, ეს დღე მშვიდად გაატარეთ. **მშვილდოსანი** — ეს დღე მშვიდად ჩაივლის, მნიშვნელოვანი არაფერი მოხდება. **თხის რქა** — ზედმეტი აქტიურობა არ ღირს, არ აჩქარდეთ. **მერწყული** — საღამოს ახალ ამბავს გაიგებთ, გახარებული ხართ. **თევზები** — სახლში იყავით, საღამოს სტუმრები გეწვევიან.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. სინათლის ნაწილაკი, კვანტი; 2. ესპანური წესით დამზადებული ღორის ლორი; 3. საკონდიტრო ნაწარმი; 4. ტვირთის შესანახი სათავსო გემზე; 6. თანამედროვე, მრავალადგილიანი სამგზავრო თვითმფრინავი; 8. სქელი, ტყავისებრი ფოთლების მქონე ოთახის დეკორატიული მცენარე; 11. არგენტინის ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელი; 12. თოკზე მოსიარულე ჯამბაზი; 16. სახელმწიფო ევროპაში; 17. შიკრიკი, ამბის მომტანი; 18. ბარიტის საბადო რაჭაში.

**თარაზულად:** 1. უძველესი ქართული ცეკვა, რომელიც ახალი წლის პირველ დღეს სრულდებოდა; 5. შოკოლადის ხე; 7. ცხენოსნობის ერთ-ერთი სახეობა; 9. ფრინველთა კვერცხების შემსწავლელი დისციპლინა; 10. მსუბუქი, აივნიანი სახლი ინდოეთში; 13. საზაფხულო ფეხსაცმელი; 14. ორსახოვანი ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 15. ღვინის მწარმოებელი ქართული ფირმა; 19. საღამოს სადილი; 20. გასუფთავებული ნატეხი შაქარი; 21. „ფორმულა-1"-ში მონაწილე ავტომრბოლელთა გუნდი; 22. სამომსახურეო ჯიშის ძაღლი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## იუმორი



— არაყი მხოლოდ თავიდან არის ძვირი, შემდეგ მის ფასს მნიშვნელობა არ აქვს...

* * *

— თუკი ღობეებსა და კედლებზე წარწერა „სასქესო ასო" გამოჩნდა, კრიზისს ინტელიგენციამდეც მიუღწევია...

* * *

ტიპმა მაღაზიაში ერთი ფუთი მარილი იყიდა. გამოვიდა და ამბობს:

— რაღაც, ძალიან ცოტაა, ალბათ, დამაკლეს არამზადებმა!

ერთი კილომეტრი გაიარა.

— არა, რას ერჩი, მგონი, მართლა ერთი ფუთი მომცეს...

კიდევ ერთი კილომეტრის შემდეგ:

— ხომ ვუთხარი, ერთი ფუთი მინდა-მეთქი, იმათ კი რამდენი ჩაუყრიათ!..

* * *

— გუშინ ჩემთან ძმაკაცი მოვიდა და ხუთ წუთში სერვერი გამიტეხა.

— რა, ჰაკერია?

— ჰაკერი კი არა, იდიოტია, მაგიდიდან გადმოაგდო...

მოამზადა გენადი თვაურმა

## რამდენად იმპულსური ხართ — ტესტი



1. მალე გლლით რუტინა?
2. თუ მიგაჩნიათ, რომ დაგეგმვა სიცოცხლეს სიამოვნებას აკარგვინებს?
3. სწრაფად იღებთ გადაწყვეტილებას?
4. თუ ყოფილა, რომ რაღაცას აკეთებთ, შემდეგ კი ნანობთ ამას?
5. თუ გიყიდიათ ტანისამოსი წუთიერი იმპულსის ზეგავლენით?
6. თუ გიყიდიათ რამე პროდუქტი წუთიერი იმპულსის ზეგავლენით?
7. თუ გიყიდიათ ტანისამოსი, რომელიც მერე აღარ ჩაგიცვამთ?
8. თუ გიყიდიათ წიგნი, რომელიც შემდეგ არ წაგიკითხავთ?
9. თუ მიგიღიათ ოდესმე ისეთი მიწვევა, რის შემდეგაც გინანიათ?
10. თუ შეგქმნიათ პრობლემები იმის გამო, რომ ჯერ მოქმედებთ, შემდეგ კი ფიქრობთ?
11. თუ ყოფილა, რომ უკანასკნელ მომენტში გადაგიწყვეტიათ, სად წახვიდოდით დასასვენებლად?
12. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაზე ბევრ დროს კარგავთ?

### პასუხები

**დადებითი პასუხების რაოდენობის მიხედვით:**

**0-4 ქულა:** საკმაოდ კეთილგონიერი ხართ იმისთვის, რომ ნაჩქარევი გადაწყვეტილება მიიღოთ. ხანდახან რაღაც გინდათ, იმპულსურად ჩაიდინოთ, მაგრამ ყოველთვის საღი აზრი იმარჯვებს.

**5-9 ქულა:** იმპულსებს ხანდახან ვერ უძლებთ, თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, აკონტროლებთ სიტუაციას.

**10-12 ქულა:** მიეკუთვნებით იმ ადამიანების კატეგორიას, რომლებსაც სიღრმის შემოწმებამდე წყალში თავით გადახტომა სჩვევიათ. დაუფიქრებლად მოქმედება მრავალ პრობლემას გიქმნით, თუმცა მოსაწყენად ნამდვილად არ გცალიათ.